

ტარიელ ფუტკარაძე
ეკა დადიანი
ლუიზა ხაჭაპურიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტი

ტარიელ ფუტკარაძე
ეკა დადიანი
ლუიზა ხაჭაპურიძე

ქართველურ ენა-კილოთა განდასების საკითხები

XXIX

რესპუბლიკური დიალექტოლოგიური
სამეცნიერო სესიის
მოხსენებები



2009

0

ქართველურ ენა-კილოთა განდასების საკითხები

XXIX

რესპუბლიკური დიალექტოლოგიური
სამეცნიერო სესიის
მოხსენებები

ქუთაისი
2009

1

შ ი ნ ა ა რ ს ი

დღეს ქართველოლოგ **ლინგვისტთა თუ ეთნოლოგთა** დიდი შრომაა საჭირო, რომ რუსეთის იმპერიის მიერ დეზინფორმირებული საერთაშორისო საინფორმაციო ველი შეივსოს **ქართველთა** (ზოგადად, საქართველოს) **ენობრივ-კულტურული ისტორიის** შესახებ აკადემიური, ობიექტური ინფორმაციებით და ადეკვატურად აღიწეროს თანამედროვე საქართველოს ენობრივ-ეთნიკური სიტუაცია.

ამ მიმართულებით, ვფიქრობთ, პირველ რიგში აუცილებელია ტერმინოლოგიის სფეროში **კონსენსუსი ქართველოლოგთა შორის**.

წინასიტყვაობის ნაცვლად: დღეს არის თუ არა აქტუალური ქართველური ენა-კილოების კვალიფიკაცია-კლასიფიკაციის პრობლემატიკა?5-13

ტარიელ ფუტყარაძე, ქართველური დიალექტების კლასიფიკაციის კრიტერიუმებისათვის14-40

ეკატერინე დადიანი, კიდევ ერთხელ ქართველურ ენა-კილოთა დაჯგუფების შესახებ41-99

ლუიზა ხაჭაპურიძე, იაკობ გოგებაშვილი ქართველთა სათემო კილოების შესახებ100-111

საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებს110-112

დანართი

იაკობ გოგებაშვილი, ენა და კილო 113-116

ISBN 978-9941-9102-0-3

© ტ.ფუტყარაძე, ე.დადიანი, ლ.ხაჭაპურიძე

© ქუთაისის სასწავლო უნივერსიტეტი “ლამპარის“ გამომცემლობა

წინასიტყვაობის ნაცვლად:

დღეს არის თუ არა აქტუალური ქართველური ენა-კილოების კვალიფიკაცია-კლასიფიკაციის პრობლემატიკა?

გურამ რამიშვილი:

“ქართული ენა,
როგორც ქართველთა დედაენა,
ქართველთა ეროვნულობის საფუძველია“.



“...ბიუროკრატია მესმის და
ადმინისტრაციას ააკრძალვინა ამ საგანზე წერა...”

იაკობ გოგებაშვილი

მრავალი საუკუნის მანძილზე არსებული ტრადიციული ხედვით, ქართველებს სულ მცირე 23-საუკუნოვანი **ქართულენოვანი სახელმწიფო** და **ერთი დედაენა** (ეროვნული ენა) გვაქვს¹. ამავდროულად ამტკიცებს თანამედროვე ლინგვისტური ქართველოლოგია, ისტორიოგრაფიკა და ეთნოლოგია².

¹ იხ., **ქართლის ცხოვრება**, თბ., 1955; **მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე**, ქართული სამოციქულო ეკლესიის ისტორია, I-IV ტ. თბ., 1976-2003; **მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე**: “ჩვენმა წინაპრებმა იცოდნენ, რომელია საერთო-სალიტერატურო ენა და რომელია ადგილობრივი დიალექტი“, “საქართველოს რესპუბლიკა“, 3 თებერვალი, 2007 წ. (№ 5622); **ბ. დიასამიძე**, ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში, ბათუმი, 2001 და სხვ.

² სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვისათვის იხ.: **ტ. ფუტყარაძე**, ქართველები, ნაწილი I, ქრისტიანობამდელი ეპოქა, ქუთაისი, 2005; **თ. გვანცელაძე**, ენისა და დიალექტის საკითხი ქართველოლოგიაში, თბ., 2006; **მ. ნაჭყებია**, საქართველოს ეთნოლინგვისტური ტერმინები, თბ., 2006; **რ. შეროზია**, ქართველური სალიტერატურო ენისა და სულხან-საბას “სიტყვის კონის“ ზოგი საკითხისათვის, ქართველური მეცნიერება, XI, ქუთაისი, 2007; **მ. ტაბიძე**, სახელმწიფო ენის მდგომარეობა, როგორც სახელმწიფოს სიძლიერე-სისუსტის ერთ-ერთი მახასიათებელი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: საქართველო და მსოფლიო, ბათუმი, 2008, 14-15 ნოემბერი; **რ. თოფჩიშვილი**, ქართველთა ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის პრობლემები, თბ., 2008; **რ. გუჭეჯიანი**, ქართველ მთელი მენტალობის ისტორიიდან, თბ., 2008, გვ. 191-197; **თ. ბერაძე**, ქართული იდენტობის ძირითადი ეტაპები, ეთნოლოგიური კრებული, თბ., 2008, გვ. 3-9; **რ. თოფჩიშვილი**, **ქ. ხუციშვილი**, **რ. გუჭეჯიანი**, თეორიული ეთნოლოგია, თბ., 2009; **თ. ბერაძე**, **ბ. ნორაჯა**, ქართული სალიტერატურო ენა და ქართული კულტურა - საქართველოს ყველა ეთნოგრაფიული მხარის შემოქმედების ნაყოფი, ქართველური მეცნიერება, 2009, ქუთაისი, 2009, გვ. 19-29. იხ., აგრეთვე, **საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის “ქუთაისური საუბრები XII“ მასალები** (სიმპოზიუმი მიეძღვნა საქართველოში მოციქულთა შემობრძანებასა და ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას), 13-14 ნოემბერი, 2009 წ.

საქართველოში რუსეთის იმპერიის დამკვიდრების შემდეგ იმპერიის მესვეურნი შეეცადნენ, დაემკვიდრებინათ მოსაზრება, რომ საქართველო თითქმის არასოდეს ყოფილა ერთიანი, ხოლო ქართველთა სხვადასხვა "ეთნოსი" 3000 წელზე მეტია სამ-ოთხ განსხვავებულ ენაზე ლაპარაკობს. მაგ., დღესაც მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცნობილი სპეციალისტი, **პროფ. იური კორიაკოვი** "მსოფლიოს ენათა რეესტრით" ცდილობს დაარწმუნოს მთელი მსოფლიო, რომ **დამოუკიდებელი ეთნოსებია (EG):** მეგრელი, ლაზი, ქართველი, ბალელი (ზემო სვანი) და ქვემო სვანი, ხოლო დამოუკიდებელი ენებია: მეგრული, ლაზური, ქართული, ზემოსვანური (ბალური ენა) და ქვემოსვანური.

თანამედროვე საინფორმაციო ქსელშიც ძირითადად საბჭოთა კვალიფიკაციებია გავრცელებული; მაგ., მსოფლიოს ვირტუალური ისტორიის ვებგვერდზე, აზიის განყოფილებაში საქართველოს შესახებ დევს *P.J. Hillery*-ის რუკა, რომლის მიხედვითაც საქართველოში არაქართველების - **ეთნიკური უმცირესობის - ენებია:** 1. ჩეჩნური; 2. წოვა-თუშური; 3. ხუნძახური; 4. უდური; 5. აზერბაიჯანული; 6. სომხური; 7. ლაზური ანუ ჭანური; 8. მეგრული; 9. აფხაზური; 10. სვანური; 11. ოსური³.

ამგვარი კვალიფიკაციების კვალად, უცხოელ თუ ქართველ სპეციალისტთა ერთი ნაწილი თვლის, რომ, ევროსაბჭოს რეკომენდაციების მიხედვით, **უმცირესობის ან რეგიონული ენის სტატუსი** უნდა მიენიჭოს საქართველოში არსებულ 12 ენას: რუსულს, სომხურს, აზერბაიჯანულს... მეგრულს, სვანურს.

მდრ., "ევროპული ქარტია" მიზნად ისახავს ავტოქთონი **ეთნიკური უმცირესობის დედაენის დაცვას**⁴. კიდევ ერთხელ შევნიშნავ: მეგრული, ლაზური და სვანური ქართველთა საშინაო

³ <http://vlib.iue.it/history/asia/georgia.html>.

⁴ საკითხის ისტორიისათვის იხ., ტ. ფუტკარაძე, "ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ" და საქართველოში ენობრივი პოლიტიკის დავებების საკითხი, კავკასიოლოგიური სერია, V, თბ., 2009 <http://www.scribd.com/doc/12621676/T-Putkaradze-European-Charter-for-Regional-or-Minority-Languages-and-An-Issue-of-Plannig-Linguistic-Policy-in-Georgia>

მეტყველებებია და **არა ეთნიკური უმცირესობების ენები საქართველოში.**

სამწუხაროდ, უკვე **ევროკავშირის ექსპერტებიც** უშვებენ შეცდომას და აცხადებენ, რომ ქართული, მეგრული, ლაზური და სვანური დამოუკიდებელი ეთნოსების თუ **სუბეთნოსების** ენებია; მათი აზრით, ამ "ენების" არსებობა დასტურია ქართველი ერის არაკონსოლიდირებულობისა; მაგ., ევროკავშირის მიერ შექმნილი საერთაშორისო საგამოძიებო კომისიის დასკვნის მიხედვით (თავმჯდომარე, შვეიცარიელი დიპლომატი ჰედი ტალიავინი), თითქოსდა, ქართველი ნაციის არაკონსოლიდირებულობას სხვა მიზეზებთან ერთად განაპირობებს ქართულისგან განსხვავებული მეგრული, ლაზური და სვანური "ენების" არსებობა⁵.

⁵ <http://www.ceiiig.ch/Report.html> (ტომი, II, გვ. 2). **History of an Ambivalent Relationship:** "Georgian national identity claims historical origins dating as far back as the establishment of an autocephalous Georgian church in the 4th century and the emergence of the Georgian language with its own alphabet in the 5th century. Nevertheless, for centuries Georgia was divided into diverse local sub-ethnic entities, each with its own characteristic traditions, manners, dialects and, in the case of the Mingrelians, Lazs and Svans, with separate languages similar to Georgian. The process of ethnic consolidation and nation-making had not been completed (A standard work on this process is: Ronald Grigor Suny, *The Making of the Georgian Nation*, Bloomington/Indianapolis, 1994). Earlier Georgian history culminated in the united Georgian Kingdom of the 11th to 13th centuries, when Georgia was a regional power in the Caucasus. In ensuing periods it split up into several political entities such as the kingdom of Kartli and Kakheti in the east and the kingdom of Imereti and principalities like Samegrelo and Svaneti in the west. Georgia weakened after repeated attacks by foreign powers like the Mongols and Timurides. From the 16th century onward, Ottoman Turkey and Safavid Iran began to subjugate western and eastern regions of Georgia respectively". Targmani:

ისტორია და ამბივალენტური ურთიერთობა: ისტორიულად, ქართული ეროვნული იდენტობა თავის წარმოშობას მე-4 საუკუნეში ქართული ავტოკეფალური ეკლესიის ჩამოყალიბებას და მე-5 საუკუნეში ქართული ენის გამოჩენას და ანბანის შექმნას უკავშირებს. თუმცა, საქართველო საუკუნეების მანძილზე სხვადასხვა ადგილობრივ სუბ-ეთნიკურ ერთეულებად იყო დაყოფილი, რომელთაგან თითოეულს ჰქონდა თავისი საკუთარი ტრადიციები, ზნე-ჩვეულებები, დიალექტები და, მეგრელების, ლაზების და სვანების შემთხვევაში კი - სხვა ენები, რომლებიც ჰგავს ქართულს. ეთნიკური კონსოლიდაციის და ერად ჩამოყალიბების პროცესი არ იქნა დასრულებული (A standard work on this process is: Ronald Grigor Suny, *The Making of the Georgian Nation*, Bloomington/Indianapolis, 1994; *საინტერესოა: ამ ავტორის ძველი გვარია მირზოიანი*). საქართველოს ადრეულმა ისტორიამ

სინამდვილეში ქართული ენა მეგრელისა თუ სვანისთვისაც ისტორიული დედაენაა (ეროვნული ენაა); **ქართული სამწიგნობრო ენა, როგორც ქართველთა ეროვნული თვითშემოქმედება, ქართველი ერის გამაერთიანებელი მრავალსაუკუნოვანი დულაბია**, ხოლო მეგრულ-ლაზურ-სვანური იდიომები ზოგადქართული ენის - დედაენის - მეორეული სახესხვაობები არიან. შდრ., ვინც ფიქრობს, რომ, მაგ., მეგრელისთვის ქართული დედაენა არ არის, ქართველთა ამ ჯგუფს ართმევს (უუცხოებს) ჭყონდიდლების, მინჩხის, მერჩულეს თუ რუსთველის მიერ შექმნილ დიდ სამწიგნობრო კულტურას.

ქართველური ენა-კილოების კვალიფიკაციის საკითხს აქტუალურებს “რეგიონული ან უმცირესობის შესახებ ევროპული ქარტიის” რატიფიკაციის აუცილებლობაც (იხ. ქვემოთ). ჩვენს სინამდვილეში საკითხს ართულებს ისიც, რომ არ არსებობს კონსენსუსი იმ **კრიტერიუმების** შესახებ, რომელთა მიხედვით უნდა აღიწეროს **საქართველოს ენობრივი სიტუაცია**.

ბუნებრივია, პრობლემურია საკუთრივ ქართველური იდიომების ენად თუ კილოდ გამიჯვნაც, ვინაიდან საბჭოთა იმპერიის პერიოდში პოლიტიზებული დებულებები **საკმაოდ მყარადაა გამჭდარი საზოგადოებრივ ცნობიერებაში**. ენათმეცნიერები თავს ვერ დავიმშვიდებთ იმით, რომ ენა-კილოდ კვალიფიკაცია საკუთრივ ლინგვისტიკის სფეროს სცილდება; შდრ., მაგ., **ჯ. ლაონზი: სხვაობა ახლომონათესავე ენებსა და დიალექტებს შორის უპირატესად პოლიტიკური და კულტურული რიგისაა, ვინემ საკუთრივ ენობრივისა;**

კულმინაციას XI-XIII საუკუნეებში მიაღწია, როცა ჩამოყალიბდა გაერთიანებული ქართული სამეფო, რომელიც გახდა **ერთ-ერთი წამყვანი სახელმწიფო კავკასიის რეგიონში**. შემდეგ პერიოდში საქართველო რამდენიმე პოლიტიკურ ერთეულად დაიყო, როგორცაა ქართლ-კახეთის სამეფო აღმოსავლეთში, ხოლო დასავლეთში - იმერეთის სამეფო, სამეგრელოს და სვანეთის სამთავროები. საქართველო დაასუსტა უცხო ძალების (მონღოლები, თემურლენგის შთამომავლები...) მრავალმა შემოსევამ. მე-16 საუკუნიდან მოყოლებული, ოსმალეთი და სეფიანთა ირანი საქართველოს დასავლეთ და აღმოსავლეთ რეგიონებს გამუდმებით აწიოკებდნენ...

კრიტიკისათვის იხ.: <http://www.scribd.com/doc/21919401/T-Putkaradze-Taliavni-Komisisi-Daskvnis-Kidev-Erti-Rusuli-Pasaji>;
http://pirweli.com.ge/index.php?option=com_content&task=view&id=36778&Itemid=1.

ბ. ჯორბენაძე (1889, გვ. 118-119): ენებად და დიალექტებად დიფერენციაციის პროცესში მართლაც მონაწილეობენ პოლიტიკური და კულტურული მომენტები... “დიალექტი, ენა, ენობრივი განსტობა, ენობრივი ოჯახი ფარდობით ტერმინებს წარმოადგენენ”..

დღეს დიდი შრომაა საჭირო, რომ რუსეთის იმპერიის მიერ დეზინფორმირებული საერთაშორისო ველი შეივსოს **ქართველთა ენობრივი ისტორიისა თუ აწმყოს შესახებ** ობიექტური ინფორმაციებით.

ვფიქრობ, პირველ რიგში აუცილებელია, **აკადემიური მსჯელობით მიიღწეს კონსენსუსი** ქართველ სპეციალისტებს შორის. სწორედ ამ მიზანს ისახავდა ჩემი და ჩემი კოლეგების მოხსენებები, რომელთა თეზისები (გრცელი მასალები) გავაგზავნეთ XXIX რესპუბლიკური სამეცნიერო სესიის ორგანიზატორ დაწესებულებაში - არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტში; თუმცა მანამდე უჩვეულო ამბავი მოხდა:

როგორც წესი, რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სესიების მასპინძელი დაწესებულება ცხადდება ერთი წლით ადრე **მასპინძელ ქალაქში მოღვაწე დიალექტოლოგებთან შეთანხმებით**. 2008 წელს ახალციხეში 2009 წლისთვის მასპინძელ ქალაქად განისაზღვრა თბილისი (ენათმეცნიერების ინსტიტუტი). თუმცა მიმდინარე წლის ოქტომბერში გადაწყვეტილება რატომღაც შეიცვალა; კერძოდ, მას შემდეგ, რაც “რალაც მანქანებით” მ. ჩუხუას ნაცვლად გ. გოგოლაშვილი გახდა ენათმეცნიერების ინსტიტუტის “ქართველური ენების” განყოფილების გამგე, XXIX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სესიის ჩატარება ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიგეგმა ისე, რომ საქმის კურსში არ ვიყავით მასპინძლები - ქუთაისში მოღვაწე ენათმეცნიერები (*არავითარი ინფორმაცია არ იყო არც ქართული ენის დეპარტამენტში და არც ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტში*); კერძოდ, ენათმეცნიერების ინსტიტუტიდან უშუალოდ დაუკავშირდნენ ჩვენი უნივერსიტეტის რექტორატს. ბუნებრივია, რექტორატს ჩვენთვის გვერდი არ აუვლია და ეს ამბავი ამ გზით გავიგეთ.

ზრდილობის გამო მასპინძლობაზე უარი მაინც არ ვთქვით და წინასწარი მოლაპარაკების შემდეგ, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის (როგორც ორგანიზატორი დაწესებულების) დირექტორის მოადგილესთან - **ქ-ნ მაია მანჯგალაძესთან** არცთუ სასიამოვნო საუბრისა და, ბოლოს მაინც, შეთანხმების შემდეგ გავაგზავნეთ ჩვენი მოხსენებების მასალები (ვრცელი თეზისები).

რატომღაც ამ მოხსენებების "ბედის" განმსაზღვრელად მოგვევლინა ანონიმური **"რესპუბლიკური დიალექტოლოგიური საკოორდინაციო საბჭო"**, რომელმაც "დაბლოკა" აწსუ ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლების (ჩემი და ორი ჩემი თანამოაზრის - ე. დიანისა და ლ. ხაჭაპურიძის) **მოხსენებები** და "შეტყობინება" ქ-ნ მანანა მიქაძეს გაუგზავნა (*წესით, "ანონიმს" დიალექტოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლების შესახებ ინფორმაცია არ უნდა გავგზავნა ქ-ნი მ. მიქაძისთვის, რომელიც არ არის არც აკადემიური წევრების სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, არც ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი და არც დიალექტოლოგი*).

მე ვესაუბრე დღეს მოღვაწე დიალექტოლოგებს - თბილისელ, ახალციხელ, გორელ, ბათუმელ კოლეგებს (თედო უთურგაიძეს, მერაბ ბერიძეს, მარინე ბერიძეს, მერაბ ჩუხუას, შუშანა ფუტყარაძეს, ნიკო ოთინაშვილს...); **როგორც მოსალოდნელი იყო, მათ არაფერი იცოდნენ** "რესპუბლიკური დიალექტოლოგიური საკოორდინაციო საბჭოს" **"გადაწყვეტილების"**, მეტიც, **ფუნქციონირების შესახებ**.

ბუნებრივია, შეთანხმების დარღვევის მიზეზი ვკითხე ქ-ნ **მაია მანჯგალაძეს** (არნ.ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს). მან სატელეფონო საუბარში მითხრა, რომ **არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექციას** მონაწილეობა არ მიუღია **გოგოლაშვილი-არაბულის ამ**

გადაწყვეტილებაში⁶. ჩვენი მოხსენებების დაბლოკვა ჩემთან პირად საუბარში გაიოცა და გააპროტესტა პროფ. **თედო უთურგაიძემ**; მან ასევე მითხრა, რომ თავადაც **დიალექტთა განდასების** თემაზე უნდა ისაუბროს ქუთაისში...

ჩვენთვის **ერთი რამ დიდი ხანია აშკარაა**: ზოგს აკადემიურ ველში სათქმელი არაფერი აქვს და ნაცად დესტრუქციულ გზას ირჩევს. გთავაზობთ ე.წ. "საკოორდინაციო საბჭოს" ანონიმურ დეპეშა-წერილს, რომელიც ასე გამოიყურება:

От кого: **დიალექტოლოგიური საბჭო**

Кому: **manana-mikadze@rambler.ru**

Дата: Wed, 18 Nov 2009 07:42:16 +0400

Тема: **რესპუბლიკური დიალექტოლოგიური საკოორდინაციო საბჭო**

ქალბატონო მანანა, რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიების საკოორდინაციო საბჭომ იმსჯელა და გადაწყვიტა, რომ **მომავალში ამგვარ ფორუმებზე აღარ ჩართოს ენაკილოების კლასიფიკაციასთან დაკავშირებული თემატიკა**, როგორც უსაგნო პოლემიკისა და არცთუ იშვიათად პოლიტიკურ ვნებათა მაპროვოცირებელი საკითხი.

ამ მოსაზრებით კონფერენციაში მონაწილეობაზე უარი ეთქვა **თქვენი უნივერსიტეტის თანამშრომლებს**: ბატონ ტარიელ ფუტყარაძეს, ქალბატონებს: ეკა დადიანსა და ლუიზა ხაჭაპურიძეს.

⁶ ყველას (საქმიანს თუ ახირებულს) აქვს უფლება, თავისი აზრი იქონიოს, მაგრამ გ. გოგოლაშვილი ყოველგვარ ზღვარს გადასცდა: იხ., მისი ერთი და იმავე შინაარსის "სტატიები": "საენათმეცნიერო ძიებანში" (XI, თბ., 2004, გვ. 3-8); "ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხებში" (IX, თბ., 2005 გვ. 126-136); პასკვილურ კრებულში "ქართველური ენები და დიალექტები [ერთი "სამეცნიერო" პოლემიკის გამო]" (თბ., 2007, გვ. 97-107); არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის 67-ე სამეცნიერო სესიის მასალებში (თბ., 2008, გვ. 32-39); გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში" (№174; ხუთშაბათი, 03.09.09...)... აქამდე საჭიროდ არ ვთვლიდით, გვებასუხა მეცნიერულად უინტერესო მისი პუბლიკაციებისთვის. ახლა კი, როცა **ენათმეცნიერების ინსტიტუტის** სახელით დაიწყო სერიოზული ზიანის მომტანი მოქმედება, გადაწყვიტე, მის ზოგ მოსაზრებასთან სინქრონში (ვიმედოვნებთ, უკანასკნელად) წარმოგაჩინო ჩვენი პოზიცია: **არ მინდა, ვინმე კიდევ დაბრკოლდეს გ.გოგოლაშვილის მიზანმიმართული ღეზინფორმაციების გამო**.

ვიმედოვნებთ, რომ, თუ ვინმეს ჯერ კიდევ დარჩა ამ კუთხით გამოსათქმელი თვალსაზრისი, ამას სხვა ფორმითაც მოახერხებს.

რესპუბლიკური დიალექტოლოგიური

საკორდინაციო საბჭო.

ქვემოთ წარმოგიდგინებ XXIX რესპუბლიკური სამეცნიერო სესიისთვის განკუთვნილი ჩვენი მოხსენებების (რომელთა მასალები გავუფ ზავნეთ არნ.ჩიქობავას ინსტიტუტის დირექციას)⁷ ვრცელ ვარიანტებს (პირადად მე ვაპირებდი, კონსენსუსის აუცილებლობის შესახებ მსჯელობით დამეწყო მოხსენება).

ფიქრობთ, მკითხველი თავად გაერკვევა, თუ რამდენად აქტუალურია “ენა-კილოების კლასიფიკაციასთან დაკავშირებული” პრობლემატიკა თანამედროვე ქართველოლოგიისთვის, ასევე, საქართველოს ენობრივი სიტუაციის აღწერისა და ენობრივი პოლიტიკის დაგეგმვისათვის; გაერკვევა ასევე, მავანთა არალეგიტიმური (“საბჭო“ური), იაკობ გოგებაშვილს თუ დავესესხებით, “ბიუროკრატიული“ გადაწყვეტილებების მოტივშიც.

ტ. ფუტყარაძე

20.11.09-23.11.09

⁷ აქვე ვბეჭდავთ “ქართული ენის ისტორიის“ რედაქტორის წერილს საქართველოს უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლებისადმი.

27.11.09.

XXIX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია.

ტარიელ ფუტყარაძე

ქართველური დიალექტების კლასიფიკაციის კრიტერიუმებისათვის

მოხსენების შესავალი ნაწილი. დღევანდელი დღე ნამდვილად საინტერესოა: დღეს ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, კონსენსუსს მივალწიოთ ქართველური ენობრივი ერთეულების (იდიომების) კვალიფიკაციის შესახებ; შესაბამისად, ჯერ მოკლედ შევხეხავი საკითხის აქტუალობას.

მოხსენების ძირითადი ნაწილი.

ტერმინოლოგიური პრობლემები, მიზანმიმართული გაყალბება თუ მცდარი კვალიფიკაციები?

ტერმინები: ეთნოსი, ერი, ეროვნება; ეროვნული ენა, დედაენა, დიალექტი... პოლისემანტურია, ამიტომ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, წინასწარვე განვმარტავთ ქვემოთ გამოყენებულ ძირითად ტერმინებს.

თანამედროვე მსოფლიოში ტერმინი ეროვნება (national) ორგვარად გაიზარდა:

ეროვნება - ერთად ჩამოყალიბებული ცივილიზებული ეთნოსი; შდრ., ტომი - ველური ეთნოსი.

ეროვნება - ერთი სახელმწიფოს მოქალაქეთა ერთობლიობა.

ეროვნების ცნების ორგვარი გააზრების შესაბამისად, ორგვარად განიმარტება ეროვნული ენაც (national language); კერძოდ: 1. ტრადიციულად, ტერმინები: ეროვნული ენა (ეთნიკური ენა) და დედაენა პარალელურად გამოიყენება; შდრ.: ჰუმბოლტის აზრით, “დედაენა არის ერის სასიცოცხლო ენერჯია“. ილიას, ვაჟას, იაკობის და სხვა დიდ მოაზროვნეთა მსგავსად, ენის როლს ანალოგიურად აფასებდა არნ. ჩიქობავაც: “ენა ერის მთავარი ნიშანია“⁸; შდრ., არნ ჩიქობავა, 1952, გვ.

⁸ ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, VI, 1984, გვ. 37.

113-118: “ყველა ეროვნული ენა იმავე დროს სალიტერატურო ენაც არის“.

ქართველი ერისა და ქართული ენის მიმართება მკაფიოდ ჩამოაყალიბა ცნობილმა ენათმეცნიერმა გურამ რამიშვილმა (2000, გვ. 6-7): **“ქართული ენა, როგორც ქართველთა დედაენა, ქართველთა ეროვნულობის საფუძველია“**. ამგვარი მიდგომის მიხედვით, საქართველოში ქართველისთვის (კახელისთვის, სვანისთვის, მეგრელისთვის, აჭარელისთვის, მესხისთვის, სვანისთვის, იმერელისთვის...) სახელმწიფო ენა და ეროვნული ენა (ეთნიკური ენა, დედაენა) არის ქართული; შდრ.: საქართველოს მოქალაქე ეთნიკური სომეხის სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო ეროვნული/ეთნიკური ენა, ანუ დედაენა არის სომხური.

II. თანამედროვე კვლევათა ერთ ნაწილში თუ ნორმატიულ დოკუმენტებში, მაგ., “რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის“ მიხედვით, ტერმინი “ეროვნული ენა” (national language) გამოიყენება ოფიციალური ენისა და სახელმწიფო ენის სინონიმებად (იხ., მაგ., 69-ე განმარტება); ხოლო ტერმინები: **ღვიძლი ენა, დედაენა (own language-მე-3 განმარტ.; native language; 66-ე განმარტ.)** არის ბავშვობაში მშობლებისგან შესწავლილი ენა (= **ეთნიკური ენა**).

წარმოდგენილ ტერმინთა ამგვარად გააზრების შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქე ქართველისთვის სახელმწიფო ენა (ანუ ეროვნული ენა) და ეთნიკური ენა (დედაენა) არის ქართული. შდრ.: საქართველოს მოქალაქე ეთნიკური სომეხისთვის ეროვნული (სახელმწიფო) ენა იქნება ქართული, ხოლო ეთნიკური ენა (ანუ დედაენა) - სომხური.

ქართულენოვან სამეცნიერო ველში უფრო პოპულარულია პირველი მიდგომა, მაგ., შდრ., ბ. ჯორბენაძის კონცეფცია (1989, გვ.170): **ენა ეროვნული თვითშეგნების უპირველესი გამოვლინებაა**. ამიტომ სავსებით კანონზომიერია ერის უპირველეს ნიშნად ენის მიჩნევა, რადგან ნებისმიერი ერის ერთიანობა, კონსოლიდაცია ძირითადად სწორედ ერთიანი ენის

მქონებლობით განისაზღვრება. შდრ., ამავე ავტორის აზრით (1989, გვ. 16): **“დიალექტი არის საერთო ეროვნული ენის ნაირსახეობა და არა დამოუკიდებელი სისტემა**. ხაზგასასმელია: ეროვნული და არა სალიტერატურო ენის ნაირსახეობა, რადგან სალიტერატურო ენა თავად არის ეროვნული ენის ნაირსახეობა. უკეთ: საკუთრივ ამ ნაირსახეობათა ერთობლიობა წარმოადგენს **ეროვნულ ენას**. ამიტომაც დიალექტი სწორედ ამ ერთიანი ეროვნული ენის პოზიციიდან უნდა იქნეს შესწავლილი“.

ორივე მიდგომის მიხედვით, **დედაენა და ეთნოსის** ურთიერთგანმსაზღვრელი ცნებებია: არაცივილიზებული **ეთნოსის (ტომის)** დედაენა უმწერლობო ენაა⁹; **ცივილიზებული** (მრავალსაუკუნოვანი სამწიგნობრო და სახელმწიფოებრივი ტრადიციის მქონე) **ეთნოსი ერია, რომლის დედაენა ეროვნული ენაა**. შდრ.: **ეთნიკურ ჯგუფად** განიხილება ეთნოსის/ეროვნების ნაწილი, რომელიც ამ ეთნოსის განსახლების ძირითადი არეალის (სახელმწიფოს) გარეთ, სხვა ეთნოსის/ეროვნების მიერ შექმნილ სახელმწიფოში ცხოვრობს¹⁰, შესაბამისად, მისი ეროვნული ენა (დედაენა) შეიძლება არ იყოს სახელმწიფო ენა.

მრავალგზისაა აღნიშნული: ქართველი ერისა და მისი დედაენის მიმართების შესახებ ძველი ქართველი მემკვიდრეებისა თუ ცნობილი ქართველი მოღვაწეების ხედვა ასეთია:

ქართული ენა არის ქართველთა (მეგრელთა, სვანთა, მესხთა, იმერელთა, კახელთა...) **დედაენა ანუ ეროვნული ენა**. ამ ენის სტანდარტული ვარიანტი - ქართული სამწიგნობრო ენა - ქართველთა მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოსა და კულტურის ენაა. ქართველთა ყველა სხვა არასტანდარტული (საშინაო) მეტყველება არის დედაენის მეორეული ლოკალური

⁹ შდრ. იუნესკოს კვალიფიკაცია: http://portal.unesco.org/education/en/ev.php-URL_ID=28301&URL_DO=DO_TOPIC&URL_SECTION=201.html;

ეთნოსის უმწერლობო ენა - იდიომი, რომელიც არ არის სტანდარტული (ნორმალიზებული) და არ გამოიყენება ოფიციალურ ენად პროფესიული შემოქმედების პროცესსა თუ საქმისწარმოებაში (ეს ეთნოსი ამ მიზნით მოიხმარს სხვა საზოგადოების მიერ შექმნილ სამწიგნობრო ენას).

¹⁰ მაგ., **ქართველები თურქეთში**.

სახესხვაობები (ენაკავები, თემური კილოები, კუთხური მეტყველებები, დიალექტები...).

ტრადიციული ქართული ხედვის იგნორირებით¹¹ ზოგი დღესაც თვლის, რომ არსებობს რამდენიმე ქართველური ენა: დამწერლობის მქონე ერთი ენა (ქართული) და დამწერლობის არმქონე სამი (თუ ორი) ენა (მეგრული, ლაზური, სვანური)¹². შდრ., ავტორთა ნაწილის აზრით, სვანებს ორი ეთნიკური ენა აქვთ (ი.კორიაკოვი), ზოგის აზრით - სვანური სვანთა უმწერლობო დედაენაა, ხოლო ქართული - ეროვნული ენა; ზოგს კი, სულაც, სვანური ტომობრივ ენად მიაჩნია¹³.

ენის ლინგვისტური განმარტების მიხედვით (“ენა არის ბგერით ნიშანთა სისტემა”) შეუძლებელია იდიომისთვის ენის თუ კილოს სტატუსის მინიჭება. ენის ფუნქციებიც¹⁴ არაფრით განსხვავდება კილოს ფუნქციებისგან¹⁵.

ქვემოთ, მსჯელობის პროცესში ჩვენ ვეყრდნობით დიალექტის შემდეგ განმარტებას:

დიალექტი - ეროვნული (ეთნოსის) ენის სახესხვაობა; ერთი ენის დიალექტებს შორის გაგებინება შეიძლება იყოს და შეიძლება არ იყოს¹⁶. შდრ., მიჩნეულია, რომ დიალექტი ერთ-ერთი

¹¹ და საბჭოთა პერიოდში დამკვიდრებული პოლიტიზებული და დაუსაბუთებელი თვალსაზრისის ინერციით.

¹² იხ., მაგ., ქართული ენა (ენციკლოპედია), თბ., 2008.

¹³ ამგვარი მიდგომა ეთნიკურ ქართველთა ერთ ნაწილს (სვანებს, ასევე: მეგრელებს, ლაზებს) განიხილავს, მაგ., საქართველოს მოქალაქე ეთნიკური სომხების მსგავსად, ან მათ თვლის წერილობითი კულტურის არმქონე, უკულტურო ადამიანთა ერთობად.

¹⁴ სამყაროს “ხედვა-აღქმა”; მოვლენისა თუ ფაქტის დეტერმინირება სახელდებით; აზრის ფორმირება და გამოხატვა; კომუნიკაცია, ინფორმაციის გადაცემა, აზრის გაცვლა-გამოცვლა, ინფორმაციის შენახვა...

¹⁵ შდრ., მაგ.: “ადამიანის ენა შეიძლება დახასიათდეს როგორც პირობით ბგერით ნიშანთა სისტემა, რომელიც გამოიყენება ადამიანთა საზოგადოებაში აზრის გამოხატვისა და კომუნიკაციის, ინფორმაციისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის საშუალებად (თ. გამყრელიძე... 2003, გვ. 23-26).

¹⁶ შდრ.: <http://bse.sci-lib.com/article027018.html>: **Дialeкт** (от греч. diálektos — разговор, говор, наречие), **разновидность данного языка**, употребляемая в качестве средства общения с лицами, связанными тесной территориальной, социальной или профессиональной общностью. Территориальный **Дialeкт** всегда представляет собой часть целого другого **Дialeкта** данного языка, часть самого этого языка, поэтому он всегда противопоставлен другому **Дialeкт** или

შუალედური დონეა ენასა და თქმას შორის; იხ., მაგ., სქემა: **ენა - კილოური ჯგუფი (მეტყველება/наречие) - დიალექტი (კილო) - კილოკავი - თქმა - იდიოლექტი**¹⁷.

ქართულ თუ უცხოურ ლიტერატურაში არაერთხელ აღნიშნულია, რომ რთულია ენის, მეტყველების, კილოს, კილოკავის, თქმის კვალიფიკაცია და მონათესავე ენობრივ ერთეულთა (იდიომთა) კლასიფიკაცია¹⁸; შდრ.: ზოგჯერ დიალექტთა დაჯგუფება გეოგრაფიას ეფუძნება, ზოგჯერ სტრუქტურულ მახასიათებლებს (მოცემული დიალექტის ლექსიკას, ფონოლოგიას, მორფოლოგიას, სინტაქსს).

სპეციალისტები ხშირად ვერ თანხმდებიან, კლასიფიკაციისას რომელ კრიტერიუმს უნდა მიენიჭოს

другим **Дialeкт** Мелкие **Дialeкт** объединяются в более крупные. Самые большие могут называться наречиями, меньшие — говорами. Территориальные **Дialeкт** обладают различиями в звуковом строе, грамматике, словообразовании, лексике. Эти различия могут быть небольшими, так что говорящие на разных **Дialeкт** данного языка могут понимать друг друга (например, **Дialeкт** славянских языков); **Дialeкт** других языков могут так сильно отличаться друг от друга, что общение между говорящими затруднено или невозможно (например, **Дialeкт** немецкого или китайского языков);

¹⁷ სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვისათვის იხ.: ტ. ფუტკარაძე, 2005; თ.გვანცელაძე, 2006; ტ. ფუტკარაძე, 2008; შდრ.: ინტერნეტში განთავსებული მასალის ერთი ნაწილი:

http://ru.wikipedia.org/wiki/%D0%92%D0%B5%D1%80%D1%82%D0%B8%D0%BA%D0%B0%D0%BB%D1%8C%D0%BD%D1%8B%D0%B9_%D1%8F%D0%B7%D1%8B%D0%BA%D0%BE%D0%B2%D0%BE%D0%B9_%D0%BA%D0%BE%D0%BD%D1%82%D0%B8%D0%BD%D1%83%D1%83%D0%BC.

термину **диалект** присвоен таксономический статус на шкале с четырьмя уровнями близости:

язык — наречие — диалект — говор. *Язык или диалект:* **Диалé** (греч. διάλεκτος — «наречие» от греч. διλέγομαι «говорить, изъясняться») — разновидность языка, которая употребляется в качестве средства общения лицами, связанными между собой одной территорией. Диалект является полноценной системой речевого общения (устной или знаковой, но не обязательно письменной) со своими собственными словарём и грамматикой. Не существует единого понимания и соответственно единых критериев для разграничения **языка и диалекта**, поэтому говоря, что данный идиом является языком или диалектом, необходимо оговаривать что имеется в виду под тем или иным термином... Идиом может считаться диалектом, например, в случае, если: {1} он не является стандартизованным литературным языком; {2} его носители не имеют собственного государства или автономного образования; {3} он не является престижной формой общения...

¹⁸ მსჯელობისათვის იხ.: თ.გვანცელაძე, 2006;

უპირატესობა (ქართულის შესახებ მსჯელობა იხ., ქვემოთ) ¹⁹. უფრო რთული და პრინციპულია **უმწიგნობრო ენისა და კილოს** (ზეპირი მეტყველების) გამიჯვნა: არ არსებობს მოცემული სამწიგნობრო ენის მონათესავე უმწერლობო ენისა და კილოს გასამიჯნი **მყარი ლინგვისტური კრიტერიუმი**. როგორც წესი, ეს პრობლემა წყდება მოცემული საზოგადოების თვითაღქმის (იდენტობის, თვითიდენტიფიკაციის) და სამწიგნობრო ტრადიციის გათვალისწინებით.

ჩვენი ისტორიული სინამდვილე ასეთია:


ყველა კუთხის ქართველის ისტორიული შემოქმედებაა არსებული ქართველური სამწიგნობრო კულტურა. ქართული სამწიგნობრო ენის ისტორია თვალნათლივ აჩვენებს, რომ, სხვა ქართველთა მსგავსად, მეგრელ-ლაზებიცა და სვანებიც, მრავალი საუკუნეა ქართული ენით ქმნიან მსოფლიოში ერთ-ერთ უძველეს წერილობით კულტურას; როგორც ენობრივი სისტემა, **თანამედროვე ქართული ენა** საერთოქართველური ენის უშუალო გაგრძელებაა; საქართველოს სხვადასხვა კუთხში მის პარალელურად ფუნქციონირებს ქართველთა საშინაო იდიომები, რომლებიც ქართულთან (/ქართველურთან) მიმართებით მეორეული ქვესისტემები არიან; შესაბამისად, **ლინგვისტური რუკების** შედგენისას ქართული ენის არეალი უნდა მოიცავდეს იმ ტერიტორიას, სადაც ქართველი ერი ავტოქთონი მოსახლეობაა

¹⁹ მაგ., ბოშური კილოების კლასიფიკაციისათვის იხ.: http://romani.humanities.manchester.ac.uk/files/12_dialect_intro.shtml: One must first select the criteria on which a classification is to be based. Sometimes dialect classification is based strictly on geography, sometimes it is based strictly on the structural features – lexicon, phonology, morphology – of the dialects. In the latter case, it is necessary to select those features that are of global relevance and that can be used as a reference grid to compare the different dialects and to determine the relationships among them. Scholars often disagree on which features should be given greater attention as a basis for a classification. As a result, is not unusual to find different classification models. There is also an objective difficulty: Some dialects may share 'typical' features with two distinct dialect branches. Such transitional dialects are part of any linguistic landscape. It is therefore almost impossible to postulate clear-cut divisions between dialect groups or 'branches'...

(და იმ ადგილებსაც, სადაც დებორტირებული თუ მუჰაჯირი ქართველობა ცხოვრობს).

შდრ.: საბჭოთა პერიოდში ქართველური ენობრივი სამყარო 3-4 მონათესავე ენად კვალიფიცირდა და ქართული ენის გავრცელების არეალი ლიხის ქედით თუ ცხენისწყლით შემოიფარგლა; მაგ., ასეთია ცნობილი რუსი მეცნიერის იური კორიაკოვისა და გერმანიის მოქალაქის, ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო პროფესორის ი. გიპერტის რუკები; კერძოდ, ი. კორიაკოვის მიხედვით (<http://linguarium.iling-ran.ru/maps/14-kartv.gif>), **ერთიანი ქართველური ენობრივი სამყარო** დაყოფილია ხუთ ცოცხალ და ერთ მკვდარ ენად; შესაბამისად, თანამედროვე ქართველი ერი (ცივილიზებული ეთნოსი) წარმოდგენილია 5 ხალხად (კულტურულ და უკულტურო ეთნოსებად); კერძოდ:

მოსკოველი კოლეგის აზრით, დამოუკიდებელი ენებია: მეგრული, ლაზური, ქართული, ზემოსვანური (ბალური ენა) და ქვემოსვანური, ხოლო დამოუკიდებელი ეთნიკური ჯგუფებია (EG): მეგრელი, ლაზი, ქართველი, ბალელი (ზემო სვანი) და ქვემო სვანი:



შდრ., ი. გიპერტი:

<http://titus.uni-frankfurt.de/didact/karten/kauk/kaukasm.htm>:



1993-2003 წლებში შექმნილი ამ რუკის მიხედვით თურქე ქართული ენა არ არსებობს სამეგრელოში, აფხაზეთში, სვანეთში, ცხინვალის მხარეში²⁰, საინგილოში, ლაზეთსა და ისტორიულ ტაო-კლარჯეთში.

ამგვარი პოლიტიზებული მიდგომები რეალობას ნამდვილად არ ასახავს.

საბჭოთა სკოლაში მიღებული ცოდნის ინერციით, 1999 წლამდე მეც ვიყენებდი ტერმინს “ქართველური ენები“, თუმცა გარკვეულ უხერხულობას ვგრძნობდი ცნობილი გამოთქმების (“ენა დედაა ერისა“, “ენა - ეროვნების ძირითადი ნიშანი“...) და ბევრი სხვა უბასუხო კითხვის გამო. როგორც **სამეცნიერო პრობლემა** “ქართველურ იდიომთა კვალიფიკაცია“ ჩვენთვის აქტუალური გახდა 1999 წლის აპრილში, როდესაც **საქართველო განდა ევროსაბჭოს წევრი** და ჩვენმა ქვეყანამ აიღო ვალდებულება, ერთი წლის ვადაში მოეხდინა ევროკონვენციების

²⁰ საინტერესო “დამთხვევაა“: 2008 წლის აგვისტოს ომით, ცხინვალის მხარეში რუსებმა განახორციელეს ქართველთა გენოციდი და ამ ძირძველ ქართულ მხარეში მართლაც “წაშალეს“ ქართული ენა (იმედი გვაქვს, დროებით).

რატიფიცირება, მათ შორის, “**რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტია**“.

შეგახსენებთ, რომ ამ ქარტიის მიზანია მოცემულ სახელმწიფოში მცხოვრები ისტორიული (ავტოქთონი) ეთნოსის დედაენის დაცვა, რაც პირველ რიგში გულისხმობს **ავტოქთონი ეთნიკური უმცირესობის ენაზე უნივერსიტეტისა თუ საშუალო სკოლის გახსნას და საქმისწარმოების დაწყებას**.

მას შემდეგ 10 წელი გავიდა, მაგრამ, აღებული ვალდებულების მიუხედავად, საქართველოში ვერ მოხერხდა ამ “ქარტიის“ რატიფიცირება ერთი არსებითი მიზეზის გამო: **დღემდე ვერ ჩამოყალიბდა ის კრიტერიუმები**, რომელთა საფუძველზე უნდა მოხდეს საქართველოს ენობრივი სიტუაციის აღწერა: ქართველურენოვანი თუ სხვაენოვანი ეთნოსების დედაენისა თუ კილოების კვალიფიკაცია.

შესაბამისად, დღესაც მეტად აქტუალურია კითხვა:

რა არის ის კრიტერიუმები, რომლითაც უნდა კვალიფიცირდეს ქართველთა დედაენის, ქართველური იდიომების და საქართველოში დასახლებული სხვა ეთნოსების დედაენების სტატუსი?

ქართველურ სინამდვილეშიც რამდენიმე კრიტერიუმია შემოთავაზებული (ბგერათმეცნიერება, გაგებინება...), მაგრამ მათი გაზიარება და განზოგადება შეუძლებელია²¹. ქართველთა დედაენისა და კილოების შესახებ წინა თაობების ქართველ თუ უცხოელ მეცნიერთა კვლევების შედეგების²² გათვალისწინებით, დასახელებულ წიგნში ჩვენი მოსაზრება ასე ჩამოყალიბდა:

²¹ მსჯელობისათვის იხ.: ტ. ფუტკარაძე, 2005, გვ. 33-78.

²² წინა თაობის მეცნიერებმა (ანტონ კათალიკოსმა, მ. ბროსემ, დიმიტრი ყიფიანმა, მ. ჯანაშვილმა, ნ. მარმა. ივ. ჯავახიშვილმა. ს. ხუნდაძემ, პ. ჭარაიამ, ა. შანიძემ, არნ. ჩიქობავამ, გ. ახვლედიანმა, ვ. თოფურიაძემ, ქ. ლომთათიძემ, მ. ქალღანმა, გ. რამიშვილმა, გ. მაჭავარიანმა, თ. გამყრელიძემ, ტ. გულდავამ, ბ. ფოჩხუამ, თ. შარაძენიძემ, ა. დავითიანმა, ი. იმნაიშვილმა, ბ. ჯორბენაძემ, კ. დანელიამ, კ. ფენრიხმა, ზ. სარჯველაძემ...) დიდი ღვაწლი გასწიეს. მიუხედავად საბჭოთა რეჟიმის ანტიქართული არსისა და დაუნდობლობისა, მათ საოცარი მოცულობის სამუშაოები ჩაატარეს ქართული სამწიგნობრო კულტურისა და ქართველური ენობრივი სამყაროს კვლევის თვალსაზრისით. დღეს ჩვენთვის რომ გაიოლებულია კვლევაც და თავისუფალი მსჯელობაც, სწორედ მათი დიდი ღვაწლის შედეგია.

ქართველთა ეროვნული ენა (ისტორიული დედაენა) - ქართული ენა - საერთოქართველურთან მაქსიმალურად ახლოს მყოფი ენაა, რომელიც, როგორც **ენობრივი სისტემა**, მოიცავს ყველა ქართველურ ნაირსახეობას. ქართველთა დედაენა რეალიზებულია ერთი სამწიგნობრო ენით და ათეულობით კუთხური სახესხვაობით - დიალექტით (ქვესისტემით). ქართველთა დედაენის სტანდარტული ვარიანტი - ქართული სამწიგნობრო ენა - არის საქართველოს სახელმწიფო ენა. იქვე, ქართველური კილოები ორგვარად დავაჯგუფეთ:

I. სისინა და შიშინა კილოები:

A ჯგუფი: სისინა კილოები: ქართლური, კახური, იმერული, ლეჩხუმური, რაჭულური, გურული, აჭარული, მაჭახლური, ლივანური, იმერხეული, ტაოური, გურული, მთიულურ-გუდამაყრული, მოხეური, ხევსურული, ფშაური, თუშური, ჰერული, ფერეიდნული...

B ჯგუფი: შიშინა კილოები: ზანური (მეგრული, ლაზური); სვანური (ბალსხე-მოური, ბალსქვემოური, ლაშხური, ლენტეხური, ჩოლურული).

II. ცენტრალური, განაპირა და საქართველოს საზღვრებს გარეთ არსებული კილოები (იხ. ქვემოთ)²³.

ქართველურ კილოთა განსხვავებული კლასიფიკაციები.

ჯერ მოკლედ მიმოვიხილავთ ე.წ. სისინა კილოების იმ **საკლასიფიკაციო კრიტერიუმებსა თუ იზოგლოსებს**, რომლებიც შემოთავაზებულია ცნობილი სპეციალისტების მიერ; შემდეგ კი **წარმოვადგენთ** ქართველური კილოების **განდასების** კიდევ ორ

²³ ვრცლად იხ., ტ. ფუტყარაძე, 2005. საკითხისადმი ჩვენეული მიდგომა და წარმოდგენილი კვალიფიკაციები მიუღებელი აღმოჩნდა პირთა ერთი ჯგუფისათვის (გ.გოგოლაშვილი, მ.ძაძაძია...), რომელთაც დრო არ დაიშურეს ჩვენეული მიდგომის "კრიტიკისათვის"; მაგ., გ. გოგოლაშვილმა ხუთი წლის მანძილზე ხუთჯერ დაბეჭდა ერთი და იგივე ტექსტი; მას თუ მართლა აინტერესებს კილოთა განდასების უკეთესი კრიტერიუმის მოძებნა, ვინ უშლის ხელს? ამ "უცნაური", ჩაყინებული გადაკიდების სანაცვლოდ დრო დაუთმოს უკეთესი კრიტერიუმის ძიებას. დაინტერესებულ პირს შეუძლია, ნახოს ამ მცირერიცხოვანი ჯგუფის უარგუმენტო, მეცნიერული და აკადემიური ოპონირებისგან შორს მდგარი მასალა და თავად გააკეთოს დასკვნა, თუ ვის რა აქვს დასახული მიზნად.

ვარიანტს. წინასწარვე აღვნიშნავთ, რომ დიალექტური ჯგუფების კონფიგურაცია იცვლება შემოთავაზებული კრიტერიუმის თუ იზოგლოსის ხასიათის შესაბამისად.

1. 1920 წელს **აკად. ა. შანიძე** საკლასიფიკაციოდ იღებს მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის პრეფიქსების განაწილების წესს (1920, 144) და ქართული ენის კილოთა ორ ძირითად ჯგუფს გამოჰყოფს:

ა. აღმოსავლური: ქართლური, კახური, ქიზიყური, ფშაური, მთიულურ-გუდამაყრული, ხევსურული, მოხეური, თუშური;

ბ. დასავლური: იმერული (ზემო და ქვემო), გურული, რაჭული. სანდო მასალის არქონის გამო 1920 წელს სხვა ქართული კილოები ვერ მოხვდა ჩამონათვალში.

2. 1935 წელს, სხვადასხვა ენობრივი მონაცემების მიხედვით, **აკად. შ. ძიძიგურმა** ქართული ენის დიალექტთა ხუთი ჯგუფი გამოჰყო (1935):

ა. ინგილოური, ფერეიდნული; **ბ.** თუშური, ფშაური, ხევსურული, მოხეური, მთიულური, მთარაჭული; **გ.** კახური, ქართლური, მესხური; **დ.** ზემოიმერული, ქვემორაჭული, ქვემოიმერული; **ე.** გურული, აჭარული, იმერხეული.

დასახელებულ ნაშრომში სუსტადაა არგუმენტირებული ზემოიმერულისა და ქვემოიმერულის ორ დამოუკიდებელ დიალექტად წარმოდგენა. სამაგიეროდ, **აკად. შ. ძიძიგურის** შრომებში ნათლადაა დასაბუთებული **მთარაჭულის** ცალკე კილოდ გამოყოფის აუცილებლობა.

ვფიქრობ, ტერმინოლოგიურად გარკვეულ უხერხულობას ქმნის ზემო რაჭის მეტყველების მიჩნევა ბარის რაჭულად, თუმცა გარკვეული პირობითობით მაინც გასაზიარებელია ამგვარი კვალიფიკაცია.

3. **შ. ძიძიგური** 1975 (გვ. 139) წელს ე.წ. გეოგრაფიული (ტერიტორიული) კრიტერიუმის მიხედვით დიალექტთა სამ ჯგუფს გამოყოფს:

ა. აღმოსავლური კილოები [ქართლური, კახურ-ქიზიყური, ინგილოური, ხევსურული, ფშაური, თუშური, მთიულურ-გუდამაყრული, ფერეიდნული];

ბ. დასავლური კილოები [რაჭული, ლეჩხუმური, იმერული, გურული];

გ. სამხრული კილოები [მესხურ-ჯავახური, აჭარული, იმერხელი].

4. 1957 წელს ა. შანიძე საკლასიფიკაციო კრიტერიუმად იღებს ენობრივ-ტერიტორიულ პრინციპს და დიალექტთა განსხვავებულ კლასიფიკაციას გვთავაზობს; კერძოდ, გამოყოფს ექვს დიალექტურ ჯგუფს:

ა. **ფხოური**: ხევსურული, მოხეური, თუშური (მათ შემონახული აქვთ მრავალი არქაული მოვლენა);

ბ. **მთიულური, ფშაური** (ორივეს ბევრი საერთო აქვს ფხოურ დიალექტებთან: მთიულურს - მოხეურთან, ფშაურს-ხევსურულთან); ამ ჯგუფის დიალექტებთან ზოგიერთ მსგავსებას ავლენს **ზემორაჭული**;

გ. **ქართლური, მესხური, ჯავახური; კახური, ქიზიყური**;

დ. **დასავლური ჯგუფი**: იმერული (ზემო-, შუა- და ქვემოიმერული), გურული და რაჭული;

ე. **სამხრეთ-დასავლური ჯგუფი**: აჭარული და იმერხელი;

ვ. **ინგილოური** (ა. შანიძე, 1957, გვ. 828-832).

ამ კვალიფიკაციაში **დაუსაბუთებელია ფშაურის** გატანა ფხოური კილოების გარეთ (შდრ., ფხოვი ფშავსაც მოიაზრებს; მაგ., **შუაფხო** ფშაური სოფელია!). თუმცა, სხვა ნაშრომში ა. შანიძეს ფხოურ კილოებში შეაქვს ფშაურიც (ბ. ჯორბენაძე, 1989, გვ. 34).

5. ისევ გეოგრაფიული კრიტერიუმის, ოღონდ მთისა და ბარის მიხედვით აჯგუფებს ქართულ კილოებს **აკად. არნ. ჩიქობავა**; დაჯგუფებისას ის ითვალისწინებს ენობრივ ფაქტორებსაც და მის მიერ ქართულად მიჩნეული კილოების შემდეგ კონფიგურაციას გვთავაზობს:

ა. ბარის კილოები: ქართლური (მესხურ-ჯავახურითურთ), კახური (ქიზიყურითა და ინგილოურით), იმერული (ლეჩხუმურით), გურული, აჭარული, იმერხეური, ფერეიდნული;

ბ. მთის კილოები: ხევსურული, თუშური, ფშაური, მთიულური (გუდამაყრულითურთ), მოხეური, რაჭული. მთისა და ნაწილობრივ ბარის კილოებს უკავშირდება მოზდოკისა და ყიზლარის ქართველთა მეტყველება (არნ. ჩიქობავა, 1965, გვ. 5-6).

აქ კითხვა ისევ **რაჭულთან** მიმართებით ჩნდება:

რამდენად ლოგიკურია ბარის რაჭულის შეტანა მთის კილოებში? შდრ., მთის აჭარული აქ მოიაზრება ბარის კილოებში.

6. **ე.წ. ეთნოგრაფიული თვალსაზრისით** - საქართველოს კუთხეების მიხედვით (ოღონდ, სამეგრელოს, ლაზეთისა და სვანეთის გამოტოვებით) წარმოადგენენ ქართველთა კილოებს ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია და ი. ქავთარაძე; ისინი ქართული ენის შემდეგ კილოებს ასახელებენ: ხევსურული, მოხეური, მთიულური, გუდამაყრული, თუშური, ფშაური, თიანური, ყიზლარ-მოზდოკური, კახური, ინგილოური, ფერეიდნული, ქართლური, ჯავახური, მესხური, იმერხელი, აჭარული, გურული, იმერული, ლეჩხუმური, რაჭული (სულ 20 დიალექტური ერთეული).

“ქართული დიალექტოლოგიის“ (1961) ავტორების (ასევე, გ. ნებიერიძის მიერ; იხ. ქვემოთ) რამდენადაა არგუმენტირებული თიანურისა და ფშაურის ჩათვლა სხვადასხვა დიალექტებად?

7. ხმოვანთკომპლექსთა ცვლილების ხასიათის მიხედვით **გ. ნებიერიძე** ქართული ენის დიალექტთა 6 ტიპს გამოყოფს:

ა. ძველი ქართული, გლოლური, მთარაჭული; **ბ.** ქართული სალიტერატურო ენა, ქართლური, კახური, ქიზიყური, თიანური, ზემოაჭარული; **გ.** ხევსურული, მოხეური, მთიულური, გუდამაყრული, ფშაური, ინგილოური, ფერეიდნული; **დ.** ზემო და შუაიმერული, ლეჩხუმური, ქვემორაჭული და იმერხელი; **ე.** ქვემო იმერული და თუშური; **ვ.** გურული და აჭარული (გ. ნებიერიძე, 1965, გვ. 21).

ხმოვანთა ტრანსფორმაციის (ხმოვანთა რეგრესული ასიმილაციის) მიხედვით **ო. კახაძემ** (1981, გვ. 38) ქართული ენის კილოთა 3 ჯგუფი წარმოადგინა:

ა. გლოლური, თუშური, ღებურ-ჭიორული, ხევსურული, ფშაური, ყიზლარ-მოზდოკური, თიანური, მთიულურ-გუდამაყრული, ინგილოური, ფერეიდნული, მესხურ-ჯავახური, იმერხეული (ამ დიალექტებში სისტემატური ხასიათის ხმოვანთარეგრესული ასიმილაცია ან არ გვხვდება, ან ასიმილაცია მოუღის ერთ (ა) ან ორ (ა, ო) ხმოვანს; ბ. რაჭული და ლეჩხუმური (რომელთათვისაც დამახასიათებელია ა, ო, ე ხმოვნების ასიმილაცია; გ. აღმოსავლეთისა და დასავლეთის ბარის კილოები: ქართლური, კახური, გურული, იმერული და აჭარული (ამ კილოებში ასიმილაციას განიცდის ა, ო, ე, ი)²⁴.

8. 1989 წელს გამოქვეყნებულ ფუნდამენტურ გამოკვლევაში: “ქართული დიალექტოლოგია“ აკად. ბ. ჯორბენაძე წერს: “არსებული ტრადიციის შესაბამისად, ქართული ენის დიალექტებს წარმოვადგენთ **ეთნიკური ნიშნისა და გეოგრაფიული** გავრცელებულობის მიხედვით“ (1989, გვ. 216); იქვე ფაქტობრივად სრულყოფს აკად. ა.შანიძის 1920 წლის კლასიფიკაციას (ქართულ/ქართველურ დიალექტებს ორ ძირითად ჯგუფად წარმოადგენს):

ა. აღმოსავლეთ საქართველოს კილოები, სადაც გამოიყოფა სამი ქვეჯგუფი: 1. მთის დიალექტები: ხევსურული, ფშაური, თუშური, მოხეური, მთიულურ-გუდამაყრული; 2. ბარის დიალექტები: ქართლური, კახური; კახურის განაყოფია ინგილოური, ფერეიდნული; 3. სამხრეთ-დასავლური დიალექტი - მესხურ-ჯავახური.

ბ. დასავლეთ საქართველოს კილოები, სადაც სამი ზონა გამოიყოფა: 1. ზემო ზონის დიალექტი - რაჭული (მთარაჭული ბევრი ნიშნით უახლოვდება მთიულურსა და მოხეურს); 2. შუა ზონის დიალექტები: იმერული, ლეჩხუმური; 3. ქვემო ზონის

²⁴ შლრ., ბ. ჯორბენაძის აზრით (1988, გვ. 107-108), “გაუკეთებია“ ფორმაში აუ > ოუ > უუ > უ (გრძელი) ტრანსფორმაციის მიხედვით, დიალექტები იყოფა ოთხ ჯგუფად: ა. ხევსურული, ფშაური, მთიულური, ქართლური, კახური... (გაუკეთებს); ბ. მესხური, ზემოიმერული (გოუკეთებს); გ. გურული (გოუკეთებს/გუუკეთებს); დ. აჭარული, თუშური (გუუკეთებს).

დიალექტები: გურული, აჭარული, იმერხეული (ბ. ჯორბენაძე, 1989, გვ. 216-218)²⁵. მოგვიანებით, ამ მსჯელობის საფუძველზე დასახელებულ კილოებს გ. გოგოლაშვილი ქართული ენის **ეთნიკურ-ტერიტორიული** დიალექტებს უწოდებს (ტერმინისათვის იხ., გ. გოგოლაშვილი, 2004, გვ. 29). იგივე ავტორი დიალექტების განდასების ა. შანიძის, არნ. ჩიქობავას, შ. ძიძიგურისა და ბ. ჯორბენაძის პრინციპებსაც **“ეთნიკურ-ტერიტორიულს“** უწოდებს (2005, 129; 2007, 102).

რამდენად ზუსტია, ერთი ეთნოსის დედაენის დიალექტების განდასების საფუძველს ეწოდოს “ეთნიკურ-ტერიტორიული პრინციპი“? რამდენად ლოგიკურია ტერმინოლოგიური შესიტყვებანი: “ეთნიკური დიალექტები“, “ეთნიკურ-ტერიტორიული დიალექტები“?

შლრ., ბ. ჯორბენაძის მიხედვით, ეთნოსის სახეებს: **ერი - ტომი - თემი** შეესაბამება იერარქია: **ეროვნული ენა - კილო - კილოკავი** (ბ. ჯორბენაძე, 1989, გვ. 41): “ეთნოსის საცხოვრისის ტერიტორიაზე გავრცელებულ მეტყველებას, ჩვეულებრივ,

²⁵ ბ. ჯორბენაძის დასახელებულ ნაშრომზე მითითებით და **ბ. ჯორბენაძის სახელით განსხვავებულ კლასიფიკაციას აქვეყნებს** გ. გოგოლაშვილი (რომელსაც თავისი სახელით რაიმე კლასიფიკაცია თუ დამატებითი არგუმენტები არსად გამოუქვეყნებია); კერძოდ, 2005 წელს გამოქვეყნებულ “ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხებში (ტ. IX, გვ. 129) და 2007 წელს გამოქვეყნებულ “კრებულში“: “ქართველური ენები და დიალექტები“ (გვ. 101) გ. გოგოლაშვილი ერთსა და იმავეს წერს: თითქოსდა, ბ. ჯორბენაძის მიერ ქართული ენის კილოები სამ ძირითად ჯგუფადაა განდასებული: I. აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტები; II. სამხრეთ-დასავლური დიალექტი (მესხურ-ჯავახური) და III. დასავლეთ საქართველოს დიალექტები. რთული სათქმელია, გ. გოგოლაშვილმა სხვადასხვა დროს (ორჯერ!) რა მოტივაციით გამოაცხადა დამოუკიდებელ ჯგუფად ბ. ჯორბენაძის პირველი ჯგუფის მესამე ქვეჯგუფი; შლრ.: ბ. ჯორბენაძეს ამგვარი კლასიფიკაცია შემთხვევით არ წარმოუდგენია; ის საგანგებოდ მსჯელობს დიალექტთა გამოყოფის პრინციპების შესახებ (გვ. 30) და გამოყოფს საკუთრივ ენობრივ, ეთნიკურ და სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ კრიტერიუმებს; იხ., აგრეთვე, ბ. ჯორბენაძე, გვ. 216: “ქართული (ქართველური) [ხაზგასმა ჩემია - ტ.ფ.] დიალექტების განდასება შესაძლოა სხვადასხვა თვალსაზრისით მოხდეს; კერძოდ: ა) არეალოგიური თვალსაზრისით... ბ) ლინგვისტური გეოგრაფიის პრინციპით... გ) ეთნიკურ-ტერიტორიული თვალსაზრისით. ამჯერად, არსებული ტრადიციის შესაბამისად, ქართული ენის დიალექტებს წარმოვადგენთ **ეთნიკური ნიშნისა და გეოგრაფიული** გავრცელებულობის მიხედვით“.

ტერიტორიულ დიალექტს უწოდებენ. საქართველოს ეთნიკურ კუთხეებში (ხევსურეთში, ხევში, ქართლში, კახეთში, იმერეთში, გურიაში...) გავრცელებული მეტყველება ამ გავებით ტერიტორიული დიალექტებია, თუმცა არსებითად აქ ეთნიკურ დიალექტებთან გვაქვს საქმე, კერძოდ, ტომობრივ მეტყველებასთან“ (გვ. 42).

ჯერ ერთი: ქართულ სინამდვილეში “ერი-ტომი-თემი/ეროვნული ენა-კილო-კილოკავი“ იერარქიებში სად მოიაზრება მეგრული და მეგრული? მაგ., სვანები ერია თუ ტომი? თუ ტომია, პატივცემული მკვლევარი რატომ არ უწოდებს სვანურ მეტყველებას კილოს? შდრ., ზოგის აზრით, სვანური ტომობრივი ენა.

მეორეც: რამდენადაც ethnik(os) ფუძე მიემართება ეთნოსს, **ერს (ეროვნების)**, რამდენად ზუსტია, მაგ., იმერეთის მიმართ გამოთქმა: “ეთნიკური კუთხე“?

მე დიდ პატივს ვცემ წინა თაობების ჩვენს დიდებულ მკვლევრებს, ვინც დიდძალი მასალა მოიპოვეს, გააანალიზეს და შთამბეჭდავი სააზროვნო ველი შეგვიქმნეს, მაგრამ ვერ გავიზიარებთ დებულებას, რომ, მაგ., ერთ-ერთი ქართული (ქართველური) ტერიტორიული დიალექტი - თანამედროვე იმერული კილო - არის “ტომობრივი ეთნოსის მეტყველება“.

თანამედროვე სამეცნიერო ველში ერის, როგორც აწმყოს კატეგორიის, შემადგენელ ნაწილად ნამდვილად არ განიხილება ტომი²⁶. შდრ., ეთნოლოგთა კვალიფიკაციით, ტომი არის ეთნოსის²⁷ არსებობის უკულტურო პერიოდის სახეობა, ანუ ცივილიზებული ერის წინარე სახე.

²⁶ მსჯელობისათვის იხ., რ. თოფჩიშვილი, 2008, გვ. 48.

²⁷ შდრ., **ეთნოსის ცნების** შესახებ ბ. ჯორბენაძის მსჯელობა: ეთნოსი - ენის, ტერიტორიის, ეკონომიკისა და ფსიქიკური (სულიერი) წყობის საერთოობა. ეთნოსის უმაღლესი სახეა ერი. მარტივი სახეობა კი **თემური ერთიანობაა**. მათ შორის ტომობრივი გაერთიანებაა. სწორედ ეს უკანასკნელია, ქართველ ერში ქართლურ, კახურ, ხევსურულ, თუშურ, იმერულ, გურულ, აჭარულ, მესხურ, ჯავახურ... ეთნოსად რომ გამოიყოფა“. ერის ნიშანია ენა, ხოლო **ტომობრივი ეთნოსის** მეტყველება არის ამ ენის ნაირსახეობა (1989, გვ. 29); ამ მსჯელობიდან გამომდინარეობს დიალექტის ერთ-ერთი მისეული კვალიფიკაციაც:

“დიალექტი უნდა განიშარტოს, როგორც ამა თუ იმ ენის მეტყველებრივი ნაირსახეობა, გავრცელებული გარკვეულ ტერიტორიაზე ან **ეთნიკურ**,

ჩემი აზრით, ასევე საკამათოა, რომ **ერის (ეთნოსის)** დედაენის ტერიტორიულ ვარიანტებს დღეს ვუწოდოთ **ტომობრივი ნაირსახეობანი** ან **ეთნიკური კილოები**, რამდენადაც, მაგ., იმერეთის თუ სამეგრელოს მკვიდრი მოსახლეობა ქართული ეთნოსის ნაწილია და არა - დამოუკიდებელი ეთნოსი. შესაბამისად, უფრო ზუსტი იქნება, თუკი ტერმინოლოგიური შესიტყვებების: **“ეთნიკურ-ტერიტორიულ პრინციპი“**, **“ეთნიკურ-ტერიტორიული დიალექტები“** ნაცვლად გამოვიყენებთ საერთაშორისო ველში დამკვიდრებულ ვარიანტებს: დიალექტთა კლასიფიკაციის **“ტერიტორიული პრინციპი“**, **“ტერიტორიული დიალექტები“**.

ქართველური იდიომების განდასებისას ჩვენთვის ამოსავალია იერარქია: **ერი/ეროვნება/ეთნოსი - თემი** (ეთნოსის ნაწილი - ტერიტორიული თუ სოციალური პრინციპით გაერთიანებული თამანდროვე საზოგადოება) და **დედაენა - დიალექტი** (დედაენის სახესხვაობა/კილო). ჩვენს შემთხვევაში: ქართველი ერის ეროვნული ენაა, დედაენაა ქართული (ანუ ქართველური ენა), ხოლო ქართველთა დედაენის ტერიტორიული სახესხვაობებია (კილოებია) ქართველთა საშინაო მეტყველებანი, რომელთა სახელდება და კლასიფიკაცია განსხვავებულად შეიძლება მოხდეს.

როგორც თავიდანვე აღინიშნა, საკლასიფიკაციო ერთეულის შესაბამისად, სხვადასხვაგვარად დაჯგუფდება ყველა ენის კილოები; შემოგთავაზებთ ქართველურ დიალექტთა დაჯგუფების სამ ჩვენეულ ვარიანტს:

I. ქართველურ დიალექტთა დაჯგუფება ე.წ. **ცენტრი-პერიფერიის** პრინციპით. ეს პრინციპი, პირველ რიგში, გულისხმობს მოცემული იდიომის ფონემატური,

სოციალურ, პროფესიულ, ასაკობრივ ჯგუფში. ამის მიხედვით გვაქვს ტერიტორიული, **ეთნიკური**, სოციალური, პროფესიული დიალექტები“ ბ. ჯორბენაძე, 1989, გვ. 8). ჩვენი აზრით, უფრო ზუსტი იქნებოდა წარმოდგენილი დეფინიცია, რომ ამოგველო ერთი სიტყვა - **ეთნიკური**. შდრ., იქვე: ბ. ჯორბენაძე, 1089, გვ. 36: “ენათმეცნიერული თვალსაზრისით მეგრულ-ჭანური და სვანური ქართულის მოძმე ენებია, მაგრამ **ეთნიკურ-პოლიტიკური თვალსაზრისით** მათ იგივე სტატუსი აქვთ, რაც დიალექტებს...”

მორფოლოგიური, სინტაქსური და სემანტიკური სტრუქტურების **სიახლოვე-სიშორეს სამწიგნობრო ენის მონაცემებთან**. აქ ასევე მოკლედ აღვნიშნავთ, რომ ხალხურ მეტყველებაზე ქვეყნის კულტურულ-პოლიტიკური ცენტრის ენობრივი “წინის” სიდიდე არსებითად განსაზღვრავს სტანდარტული და დიალექტური კოდების ურთიერთზემოქმედების ხარისხს: სამწიგნობრო ენას უფრო შორდება კულტურულ-პოლიტიკურ ცენტრთან შორს მცხოვრები ფართო საზოგადოების მეტყველება (და არა - კულტურული თუ პოლიტიკური ელიტისა)²⁸. ცენტრი-პერიფერიის პრინციპის მიხედვით, ქართველთა დედანას სტანდარტული ვარიანტის გარდა აქვს შემდეგი კილოები:

ტ. ცენტრალური კილოები: კახური, ქართლური, იმერული, ლეჩხუმური, გურული.

ჯ. განაპირა კილოები: მესხური კილოები: აჭარული, ლივანური, მაჭახლური, იმერხეული, ტაოური²⁹, სამცხური, ჯავახური;

პერული კილოები: კაკური, ალიაბათური;

ფხოვური კილოები: ჩადმათუშური, ფშავური, ხევსურული, მოხეური, მთიულურ-გუდამაყრული; აქვე, “ასოცირებულ” დიალექტად შეიძლება განვიხილოთ წოვათუშურიც, რომელიც შეიცავს როგორც ჩეჩნურ-ინგუშურის, ასევე, ქართულის მსგავს ფენებს;

რაჭული კილოები: ბარისრაჭული, მთარაჭული;

სვანური კილოები: ლაშხური, ლენტეხური, ჩოლურული, ბალსქვემოური, ბალსზემოური;

ზანური კილოები: მეგრული, ლაზური (ხოფური, ვიწურ-არქაბული, ათინური).

ლ. საქართველოს ისტორიული ტერიტორიის გარეთ არსებული ქართველთა კილოები: ფერეიდნული, “ჩვენებურების ქართული” (ბურსა-ინეგოლში, ადაფაზარ-იზმითში, გონენსა და მცხოვრებ მუჰაჯირთა მეტყველება) და ყიზლარ-მოზდოკურ-პლასტურკური ქართული³⁰.

²⁸ უფრო ვრცელი მსჯელობა გვაქვს წიგნში: “ქართველური დიალექტოლოგია” (თანაავტორი - ე. დადიანი); წიგნი დიდი მოცულობისაა, ამიტომ მისი დაბეჭდვა დაგვიანდა უსახსრობის გამო.

²⁹ შდრ., პროფ. ი. კორიაკოვი ტაოურს რატომღაც მკვდარ კილოდ თვლის.

³⁰ შდრ., გ. გოგოლაშვილის აზრით, ყიზლარ-მოზდოკური აღარ არსებობს და ამიტომ გაუმართლებელია მისი შეტანა ჩამონათვალში (2007, გვ. 105). შდრ., **მ. ნაჭყებია**ს კლასიფიკაცია: ა) ქართველური ენის ზანური ჯგუფი (დიალექტები):

II. ქართველურ დიალექტთა დაჯგუფება აუ > ოუ > უუ/უ ტრანსფორმაციის მიხედვით:

ტ. პირველი საფეხური (აუ): ქართლური კახური, ფშაური, ხევსურული, მთიულურ-გუდამაყრული, მთარაჭული;

ჯ. მეორე საფეხური (ოუ): ფერეიდნული, ინგილოური³¹, მოხეური, მესხურ-ჯავახური³²;

ლ. პარალელურად მეორე და მესამე საფეხური (ოუ/უუ): ბარის რაჭული, იმერული, გურული;

ბ. მესამე საფეხური (უუ/უ): აჭარული, იმერხეული, ლივანური, მაჭახლური, ტაოური, მეგრული, ლაზური, სვანური³³.

III. დიალექტთა დაჯგუფება ე.წ IV სერიის მიხედვით:

ქართველურ ქვესისტემებში დამოუკიდებელ უღვლილების ერთეულებად გამოყოფილია ე.წ. IV სერიის ფორმები - ნა-/ნო-პრეფიქსიანი ზმნური ყალიბები³⁴; კერძოდ, ამგვარი მწკრივები

მეგრული, ჭანური. ბ) ქართველური ენის სვანური ჯგუფი (დიალექტები): ბალსზემოური, ბალსქვემოური, ლენტეხური, ლაშხური, ჩოლურული. გ) ქართველური ენის დასავლური ჯგუფი (დიალექტები): რაჭულ-ლეჩხუმური, გურული, იმერული, აჭარული. დ) ქართველური ენის აღმოსავლური ჯგუფი (დიალექტები): ქართლურ-კახური, ქართლურთან ახლოს დგას მესხურ-ჯავახური (სამცხურ-ჯავახური), კახურთან - ქიზიყური. ე) ქართველური ენის ფხოვური ჯგუფი (დიალექტები): ხევსურული, მოხეური, თუშური, ფშაური, მთიულური (გუდამაყრულითურთ)“ (მ. ნაჭყებია, 2004, გვ. 68). დანარჩენი დიალექტების შესახებ მკვლევარი იქვე შენიშნავს: “თანამედროვე საქართველოს გარეთ არსებული დიალექტები - ინგილოური (აზერბაიჯანში), იმერხეული (თურქეთში) და ფერეიდნული (ირანში) ენობრივი სიახლოვისა და მიხედვით გადანაწილდება შესაბამის ჯგუფებში, ან “გარკვეული” პრინციპით შეიძლება ცალკე ჯგუფად იქნეს გამოყოფილი“.

³¹ ვ. კუზიბაბაშვილი, 1997.

³² ადრეულ გამოკვლევებში აუ > ოუ > უუ/უ პროცესი მიჩნეული იყო ქართული ენის დასავლურ და აღმოსავლურ კილოთა გასამიჯნ კრიტერიუმად.

³³ ვრცლად იხ.: ო. კახაძე, 1981; ბ. ჯორბენაძე, 1995, გვ. 317-333; ტ. ფუტყარაძე, 1998.

³⁴ აღნიშნული ზმნური ფორმების კვალიფიკაციის შესახებ იხ.: ი. ყიფშიძე, 1914, გვ. 089; არნ. ჩიქობავა, 1936, გვ. 146; ვ. თოფურია, 1967, გვ. 130-136 (ვ. თოფურია მათ I სერიაში აერთიანებს; შ. ძიძიგური, 1938, გვ. 129-130; მ. ალავედი, 1941, გვ. 234; ო. კახაძე, 1954, გვ. 173-174; გ. როგავა, 1953; ქ. ძიწენიძე, 1973, გვ. 91-92; ზ. ჭუმბურიძე, 1986; ა. ონიანი, 1998.

გვაქვს: მეგრულში, იმერულში, ლეჩხუმურში, რაჭულში და სვანური კილოებში. ჩვენი აზრით, ეს ზმნური ყალიბები საერთოქართველური წარმომავლობისაა (და არა საკუთრივ მეგრულისა, რომლის გავლენადაც იყო მიჩნეული იმერული ფორმებიც); ამოსავალია ნა-პრეფიქსიანი წარმოება.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, ქართველური კილოები ორ ჯგუფად განდასდება:

ტ.. მეგრული, იმერული, ლეჩხუმური, რაჭული, სვანური (ბალსზემოური, ბალსქვემოური, ლენტეხური, ლაშხური...);

ღ. ლაზური, აჭარული, გურული, იმერხეული, ტაოური, სამცხურ-ჯავახური, ქართლური, კახური, თუშური, ინგილოური, ფერეიდნული და სხვ.

დამოწმებული ლიტერატურა

გრ. ბერიძე, ქართული ენის ჯავახური კილო, თბ., 1988.
თ. ბერაძე, ტერმინი, თემი, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, 81, №1, 1976.
თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი.შადური, ნ. შენგელაია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბ., 2003.
ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961.
თ. გვანცელაძე, ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის ძირითადი კრიტერიუმები და ქართველური ენობრივი სამყარო: ქართველური მემკვიდრეობა, ტ. VII, ქუთაისი, 2003
თ. გვანცელაძე, არის თუ არა გაგებინება ენის დიალექტისაგან გამიჯვნის კრიტერიუმი? ენათმეცნიერების საკითხები, №1, თბ., 2004.
თ. გვანცელაძე, ქართველური ენები თუ ქართველური დიალექტები? წიგნში: ტ. ფუტყარაძე, ქართველები, I ნაწილი, ქუთაისი, 2005.
თ. გვანცელაძე, ენისა და დიალექტის საკითხი ქართველოლოგიაში, თბ., 2006.
გ. გოგოლაშვილი, სვანური ენის დიალექტური დაყოფისათვის: საენათმეცნიერო ძიებანი, XVI, თბ., 2004.
გ. გოგოლაშვილი, დიალექტთა განდასებისათვის ქართულში: არნ. ჩიქობავას საკითხავები, XV, თბ., 2004.

გ. გოგოლაშვილი, ქართული ენის დიალექტური დანაწევრებისა და დიალექტთა განდასების საკითხისათვის: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IX, თბ., 2005.
რ. გუჯეჯიანი, ქართველ მთიელთა მენტალობის ისტორიიდან, თბ., 2008.
ლ. ეზუგბაია, პირველი სუბიექტური პირის ალომორფები ლაზურში: ქართველოლოგიური კრებული, №4, თბ., 2005.
ვ. თოფურია, შრომები, ტ .I, (ზმნა), თბ., 1967.
ვ. თოფურია, გარდამავალი დიალექტის საკითხისათვის სვანურში კილოების მონაცემთა მიხედვით: თსუ შრომები, ტ. 14, 1965; შრომები, II, თბ., 2002.
ვ. თოფურია, სვანური დიალექტები და მათი თავისებურებანი: შრომები, II, თბ., 2000.
რ. თოფიშვილი, საქართველოს ეთნოლოგია, თბ., 2008.
გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბ., 1966.
ო. კახაძე, ხმოვანთა ასიმილაციის ზოგიერთი საკითხის თაობაზე ქართველურ ენებში: იკე-ს წელიწდეული, ტ. XVIII, თბ., 1981.
ვ. კუზიბაბაშვილი, ხმოვანთა სისტემა ინგილოურში: მაცნე (ენალიტერატურის სერია), №4, თბ., 1991.
ვ. კუზიბაბაშვილი, ტ. ფუტყარაძე, მესხურ და ჰერულ დიალექტთა ადგილისათვის ქართველურ სამეტყველო კოდთა სისტემაში: ჯავახეთი, ისტორია და თანამედროვეობა, I, ახალციხე, 2002.
ა. მარტიროსოვი, ჯავახურის მესხურთან მიმართების საკითხისათვის: ა.პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის შრომები, VIII, თბ., 1950.
ა. მარტიროსოვი, ქართული ენის ჯავახური დიალექტი, თბ., 1984.
ა. მარტიროსოვი, ქართული დიალექტოლოგიის ისტორიისათვის, თბ., 1972.
მ. ნაჭყებია, მეგრულისა და ლაზურის ურთიერთმიმართების საკითხისათვის: ქართველოლოგიური კრებული, IV, 2005.
ა. ონიანი, ენა და დიალექტი (ქართველური დიალექტები თუ ქართველური ენები?); ენათმეცნიერების საკითხები, №1, 2003.
ა. ონიანი, ისევ ქართველური ენებისა და დიალექტების შესახებ; ენათმეცნიერების საკითხები, თბ., 2003.
გ. რამიშვილი, დედაენის თეორია, თბ., 2000.
მ. ტაბიძე, ენობრივი ვარიანტების კვლევის საკითხისათვის: ქართველური მემკვიდრეობა, VII, ქუთაისი, 2003.

- მ. ფალავა, ქართული ენის სამხრული კილოების ფონემატური სტრუქტურა, ავტორეფერატი, 2004.
- ტ. ფუტყარაძე, ხმოვანთკომპლექსთა ტრანსფორმაციისათვის ქართულში: საენათმეცნიერო ძიებანი, VIII, 1999.
- ტ. ფუტყარაძე, ქართველთა დიალექტების დაჯგუფებისათვის: არნ. ჩიქობავას საკითხავები, XII, მასალები, თბ., 2001.
- ტ. ფუტყარაძე, ქართველები, ზოგადქართული სამწიგნობრო ენა და ქართველთა დიალექტები (ისტორიული მიმოხილვა): ქართველური მემკვიდრეობა, VI, ქუთაისი, 2002.
- ტ. ფუტყარაძე, მონათესავე ენობრივ ერთეულთა კვალიფიკაციის საკითხისათვის თანამედროვე მეცნიერებაში (ენა და კილო): ქართველური მემკვიდრეობა, VII, ქუთაისი, 2003.
- ტ. ფუტყარაძე, ქართველები, ნაწილი I, ქრისტიანობამდელი ეპოქა, ქუთაისი, 2005.
- ტ. ფუტყარაძე, სათავე და პერსპექტივა ქართული სამწიგნობრო ენისა, თბ., 2006.
- ტ. ფუტყარაძე, ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ“ და საქართველოში ენობრივი პოლიტიკის დაგეგმვის საკითხი, ქართველოლოგიური სერია, V, თბ., 2009.
- შ. ფუტყარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.
- შ. ფუტყარაძე, ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების თავისებურებანი ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების მიხედვით, სადოქტორო დისერტაცია, თბ., 1995.
- ქართველური ენები და დიალექტები, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი, “Volkswagen-Stiftung“-ის პროექტი “ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში“, თბ., 2007.
- მ. ქურდიანი, საერთოქართველური ენა და მისი დიფერენციაციის თანამიმდევრობის პრობლემა: ქართველური მემკვიდრეობა, I, ქუთაისი, 1999.
- შ. ძიძიგური, ქართული ენის მთარაჭული დიალექტის ძირითადი თავისებურებანი: ენიმკის მოამბე, III, 1937.
- შ. ძიძიგური, მესხური დიალექტის აღწერითი ანალიზი: ენიმკის-ს მოამბე, X, თბ., 1941.
- შ. ძიძიგური, ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საერთო საფუძველი ქართულ კილოებსა და ზანურში: იკე, I, თბ., 1946.
- შ. ძიძიგური, ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, თბ., 1970.
- შ. ძიძიგური, საენათმეცნიერო საუბრები, თბ., 1975.

- ქ. ძიწენიძე, ზემოიმეული კილოკავი, თბ., 1973.
- ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში: კრებ. “არილი“, ტფ., 1925: ა. შანიძე, თხზ., ტ. II, თბ., 1981.
- ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში (1920 წ.): თხზ., ტ. II, თბ., 1981.
- არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტფ., 1936.
- არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965.
- სტ. ჩხენკელი, ყიზლარ-მოზდოკური ქართული: ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, V, ტფ., 1936.
- პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1997.
- ბ. ჯორბენაძე, ქართული ენის დიალექტური დაყოფის საკითხისათვის ლინგვისტური გეოგრაფიის მონაცემების მიხედვით, იკე-ს წელიწდეული, თბ., 1988.
- ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989.
- ბ. ჯორბენაძე, ქართველურ ენათა დიალექტები, თბ., 1995.
- III. Дзидзигури, Опыт классификации диалектов грузинского языка, Тезисы на степень кандидата наук). Академия наук Союза ССР, 1935.
- И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, С.П., 1914: ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბ., 1994.
- А. Кизириа, Занский язык, Языки народов СССР, VI, М., 1967.
- Г. Небиеридзе, фонологический анализ вокализма грузинского языка, Автореферат канд. диссертации, Тб., 1965.
- А. Шанидзе, Принципы классификации грузинских диалектов, Труды объединенной научной сессий Академии наук СССР и Академии наук закавказских республик по общественным наукам (29 марта ÷ 2 апреля 1954 г.).
- G. Rosen, Ossetische Sprachlehre nebst einer Abhandlung Uber das Mingrelische, Suanische und Abchasische, Berlin, 1846.
- M. Brosse, De la langue georgienne, 1834.
- R. Erckert, Die Sprachen des Kaukasischen Stammes, Wien, 1895.

ტარიელ ფუტკარაძე

ქართველური დიალექტების კლასიფიკაციის კრიტერიუმებისათვის³⁵

ქართველებს ერთი დედაენა და ორ ათეულზე მეტი დიალექტი გვაქვს. კვლევის პროცესში დიალექტოლოგები სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით ახდენენ იდიომთა კვალიფიკაციასა და კლასიფიკაციას. საკლასიფიკაციო კრიტერიუმების თუ იზოგლოსების შესაბამისად, შეიძლება შეიცვალოს დიალექტური ჯგუფების კონფიგურაციაც და რაოდენობაც; მაგ., აკად. ა. შანიძე საკლასიფიკაციოდ იღებს მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის პრეფიქსების განაწილების წესს (1920, 144) და ქართული ენის კილოთა 2 ძირითად ჯგუფს გამოჰყოფს:

I. აღმოსავლური: ქართლური, კახური, ქიზიყური, ფშაური, მთიულურ-გუდამაყური, ხევსურული, მოხეური, თუშური; II. დასავლური: იმერული (ზემო და ქვემო), გურული, რაჭული. სანდო მასალის არქონის გამო 1920 წელს სხვა ქართული კილოები ვერ მოხვდა ჩამონათვალში.

მოგვიანებით (1954), “ძირითად ლინგვისტურ მახასიათებელთა” მიხედვით, ა. შანიძე დიალექტთა განსხვავებულ კლასიფიკაციას გვთავაზობს; კერძოდ, გამოყოფს ექვს დიალექტურ ჯგუფს:

1. **ფხოური**: ხევსურული, მოხეური, თუშური (მათ შემონახული აქვთ მრავალი არქაული სიტყვა და ფორმა); შდრ., ა. შანიძე, 1915: “ხევსურული, მოხეური, თუშური და ფშაური ერთ ვიწრო ჯგუფს შეადგენს, რომელსაც, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მოსაზრების გამო, მე **ფხოურს** ვუწოდებ“).

2. **მთიულური, ფშაური** (ორივეს ბევრი საერთო აქვს ფხოურ დიალექტებთან: მთიულურს - მოხეურთან, ფშაურს-ხევსურულთან, მაგრამ განვითარების ახლანდელ ეტაპზე შესამჩნევად განსხვავდებიან მათგან); ამ ჯგუფის დიალექტებთან ზოგიერთ მსგავსებას ავლენს **ზემორაჭული**;

3. **ქართლური, მესხური, ჯავახური; კახური, ქიზიყური**;

³⁵ მაია მანჯალაძისადმი გაგზავნილი მოხსენების მოკლე შინაარსი (ვრცელი თეზისები).

4. **დასავლური ჯგუფი**: ზემო-, შუა- და ქვემოიმერული, გურული და რაჭული;

5. **სამხრეთ-დასავლური ჯგუფი**: აჭარული და იმერხეული;

6. ინგილოური... შდრ.:

უფრო ადრე, 1935 წელს, სხვადასხვა ენობრივი მონაცემების მიხედვით აკად. შ. ძიძიგურმა ქართული ენის დიალექტთა 5 ჯგუფი გამოჰყო: 1. ინგილოური, ფერეიდნული; 2. თუშური, ფშაური, ხევსურული, მოხეური, მთიულური, მთარაჭული; 3. კახური, ქართლური, მესხური; 4. ზემოიმერული, ქვემორაჭული, ქვემოიმერული; 5. გურული, აჭარული, იმერხეული (შ. ძიძიგური, 1935).

იგივე შ. ძიძიგური 1975 წელს ე.წ. გეოგრაფიული (ტერიტორიული) კრიტერიუმის მიხედვით დიალექტთა სამ ჯგუფს გამოყოფს: 1. აღმოსავლური კილოები [ქართლური, კახურ-ქიზიყური, ინგილოური, ხევსურული, ფშაური, თუშური, მთიულურ-გუდამაყური, ფერეიდნული]; 2. დასავლური კილოები [რაჭული, ლეჩხუმური, იმერული, გურული]; 3. სამხრული კილოები [მესხურ-ჯავახური, აჭარული, იმერხეული] (შ. ძიძიგური, 1975, გვ. 139).

ისევ გეოგრაფიულ კრიტერიუმის, ოღონდ მთისა და ბარის მიხედვით აჯგუფებს ქართულ კილოებს აკად. არნ. ჩიქობავა; დაჯგუფებისას ის ითვალისწინებს ენობრივ ფაქტორებსაც და მის მიერ ქართულად მიჩნეული კილოების შემდეგ კონფიგურაციას გვთავაზობს:

I. ბარის კილოები: სალიტერატურო ქართული ენის საყრდენი დიალექტი - ქართლური (მესხურ-ჯავახურითურთ), კახური (ქიზიყურითა და ინგილოურით), იმერული (ლეჩხუმურით), გურული, აჭარული, იმერხეური, ფერეიდნული;

II. მთის კილოები: ხევსურული, თუშური, ფშაური, მთიულური (გუდამაყურითურთ), მოხეური, რაჭული. მთისა და ნაწილობრივ ბარის კილოებს უკავშირდება მოზდოკისა და ყიზლარის ქართველთა მეტყველება (არნ. ჩიქობავა, 1965, გვ. 5-6).

ე.წ. ეთნოგრაფიული თვალსაზრისით - საქართველოს კუთხეების მიხედვით (ოღონდ, სამეგრელოს, ლაზეთისა და სვანეთის გამოტოვებით) წარმოადგენენ ქართველთა კილოებს ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია და ი. ქავთარაძე; ისინი ქართული ენის შემდეგ კილოებს ასახელებენ: ხევსურული, მოხეური, მთიულური, გუდამაყური, თუშური, ფშაური, თიანური, ყიზლარ-მოზდოკური, კახური, ინგილოური, ფერეიდნული,

ქართლური, ჯავახური, მესხური, იმერხეული, აჭარული, გურული, იმერული, ლეჩხუმური, რაჭული (სულ 20 დიალექტური ერთეული).

ხმოვანთკომპლექსთა ცვლილების ხასიათის მიხედვით **გ. ნებიერიძე** ქართული ენის დიალექტთა 6 ტიპს გამოყოფს: 1. ძველი ქართული, გლოლური, მთარაჭული; 2. ქართული სალიტერატურო ენა, ქართლური, კახური, ქიზიყური, თიანური, ზემოაჭარული; 3. ხევსურული, მოხეური, მთიულური, გუდამაყრული, ფშაური, ინგილოური, ფერეიდნული; 4. ზემო და შუაიმერული, ლეჩხუმური, ქვემოაჭარული და იმერხეული; 5. ქვემო იმერული და თუშური; 6. გურული და აჭარული (გ. ნებიერიძე, 1965, გვ. 21).

იმავე **ხმოვანთა ტრანსფორმაციის** (ხმოვანთა რეგრესული ასიმილაციის) მიხედვით **ო. კახაძემ** (1981, გვ. 38) ქართული ენის კილოთა 3 ჯგუფი წარმოადგინა: 1. ჯგუფი: გლოლური, თუშური, ლებურ-ჭიორული, ხევსურული, ფშაური, ყიზლარ-მოზდოკური, თიანური, მთიულურ-გუდამაყრული, ინგილოური, ფერეიდნული, მესხურ-ჯავახური, იმერხეული (ამ დიალექტებში სისტემატური ხასიათის ხმოვანთა რეგრესული ასიმილაცია ან არ გვხვდება, ან ასიმილაცია მოუღის ერთ (ა) ან ორ (ა, ო) ხმოვანს; 2. ჯგუფი: რაჭული და ლეჩხუმური (რომელთათვისაც დამახასიათებელია ა, ო, ე ხმოვნების ასიმილაცია; 3. ჯგუფი: აღმოსავლეთისა და დასავლეთის ბარის კილოები: ქართლური, კახური, გურული, იმერული და აჭარული (ამ კილოებში ასიმილაციას განიცდის ა, ო, ე, ი).

1989 წელს გამოქვეყნებულ ფუნდამენტურ გამოკვლევაში: “ქართული დიალექტოლოგია” აკად. ბ. ჯორბენაძე **“ეთნიკური ნიშნისა და გეოგრაფიული გავრცელებულობის მიხედვით”** ქართული ენის დიალექტებს ორ ჯგუფად წარმოადგენს (1989, გვ. 216-218):

I. აღმოსავლეთ საქართველოს კილოები, სადაც გამოიყოფა სამი ქვეჯგუფი: ა) მთის დიალექტები: ხევსურული, ფშაური, თუშური, მოხეური, მთიულურ-გუდამაყრული; ბ) ბარის დიალექტები: ქართლური, კახური; კახურის განაყოფია ინგილოური, ფერეიდნული; გ) სამხრეთ-დასავლური დიალექტი - მესხურ-ჯავახური.

II. დასავლეთ საქართველოს კილოები, სადაც სამი ზონა გამოიყოფა: ა) ზემო ზონის დიალექტი - რაჭული (მთარაჭული ბევრი ნიშნით უახლოვდება მთიულურსა და მოხეურს); ბ) შუა ზონის დიალექტები: იმერული, ლეჩხუმური; გ) ქვემო ზონის დიალექტები: გურული, აჭარული, იმერხეული.

ბ. ჯორბენაძის დასახელებულ ნაშრომზე მითითებით და **ბ. ჯორბენაძის სახელით განსხვავებულ კლასიფიკაციას აქვეყნებს** გ. გოგოლაშვილი (რომელსაც თავისი სახელით რაიმე კლასიფიკაცია თუ დამატებითი არგუმენტები არსად გამოუქვეყნებია); კერძოდ, 2005 წელს გამოქვეყნებულ “ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხებში (ტ. IX, გვ. 129) და 2007 წელს გამოქვეყნებულ “კრებულში”: “ქართველური ენები და დიალექტები” (გვ. 101) გ. გოგოლაშვილი ერთსა და იმავეს წერს: თითქოსდა, ბ. ჯორბენაძის მიერ ქართული ენის კილოები სამ ძირითად ჯგუფადაა განდასებული: I. აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტები; II. სამხრეთ-დასავლური დიალექტი (მესხურ-ჯავახური) და III. დასავლეთ საქართველოს დიალექტები.

რთული სათქმელია, გ. გოგოლაშვილმა სხვადასხვა დროს (ორჯერ!) რა მოტივაციით გამოაცხადა დამოუკიდებელ ჯგუფად ბ. ჯორბენაძის პირველი ჯგუფის მესამე ქვეჯგუფი. გ. გოგოლაშვილისვე აზრით, ა. შანიძის, არნ. ჩიქობავას, შ. ძიძიგურისა და ბ. ჯორბენაძის მიერ ქართული ენის **ეთნიკურ-ტერიტორიული** დიალექტების (ტერმინისათვის იხ., ბ. ჯორბენაძე, 1989, გვ. 29, 40; გ. გოგოლაშვილი, 2004, გვ. 29) “განდასება” ხდება **“ეთნიკურ-ტერიტორიული პრინციპით”** (2005, გვ. 129; 2007, 102); არც ეს აზრია სინამდვილის ადეკვატური.

მოცემული ყველა კლასიფიკაცია გარკვეულწილად პირობითი და მეტნაკლებად საკამათოა; მაგ., დაისმება კითხვები:

- ა. შანიძეს ფშაური კილო ზოგჯერ რატომ (არ) შეაქვს ფხოურ კილოებში?
- მკვლევართა მიერ რამდენადაა არგუმენტირებული ზემომიერულისა და ქვემოიმერულის წარმოდგენა ორ დამოუკიდებელ დიალექტად?
- არნ. ჩიქობავამ რატომ მიიჩნია ჯავახური მეტყველება ქართლური კილოს ნაწილად?
- შ. ძიძიგურის მიერ ზემო რაჭის მეტყველება რატომ ითვლება ბარის რაჭულად?
- “ქართული დიალექტოლოგიის” (1961) ავტორებისა თუ გ. ნებიერიძის მიერ რამდენადაა არგუმენტირებული თიანურისა და ფშაურის ჩათვლა სხვადასხვა დიალექტებად?
- რამდენად ადეკვატურია: ე.წ. “ეთნიკურ-ტერიტორიული პრინციპი” და ტერმინები: “ეთნიკური დიალექტი”? “ეთნიკურ-ტერიტორიული დიალექტი”? და სხვ.

პრობლემური კითხვების ანალიზის შემდეგ მოხსენებაში ქართველური ქვესისტემები დაჯგუფდება:

1. ე.წ. **ცენტრი-პერიფერიის** პრინციპით, რომელიც, პირველ რიგში, გულისხმობს მოცემული იდიომის ფონემატური, მორფოლოგიური, სინტაქსური და სემანტიკური სტრუქტურების **სიანლოვე-სიშორეს სამწიგნობრო ენის მონაცემებთან**: ეროვნული ენის სტანდარტულ სახესხვაობას მით უფრო შორდება მოცემული კუთხური (საშინაო) მეტყველება, რაც უფრო შორსაა ამ კილოზე მეტყველი ფართო საზოგადოება კულტურულ-პოლიტიკური ცენტრისგან.

2. ეროვნული ენის ქვესისტემებში წარმოდგენილი სამეტყველო ბგერების რეფლექსების მიხედვით.

3. ეროვნული ენის ქვესისტემებში წარმოდგენილი ე.წ. IV სერიის მწკრივების მიხედვით.

ეკა დადიანი

კიდევ ერთხელ ქართველურ ენა-კილოთა დაჯგუფების შესახებ

ქართველთა ენობრივი სამყაროს შედგენილობის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში არსებული მოსაზრებები ორ ძირითად ჯგუფად შეიძლება დავყოთ:

ა) **ერთი ენა, ათეულობით დიალექტი**: ქართული (ქართველური) ენობრივი სამყარო, ისევე როგორც ქართველი ერი, ერთიანია; ქართველთა ეროვნული ენა - ქართული ენა წარმოადგენს ერთიან სისტემას, რომელიც ქვესისტემების სახით მოიცავს ქართულ სალიტერატურო ენასა და ცალკეულ კუთხეთა მეტყველებებს/დიალექტებს, მათ შორის მეგრულ-ლაზურ და სვანურ კილოებს. **ქართველთა ერთი ენის თეორია** საფუძველს იღებს საისტორიო ქართული მწერლობიდან (“ქართლის ცხოვრება”); ქართველთა ერთ ენას ასახელებენ ძველი თუ ახალი თაობის მკვლევრები: ი. გიულდენშტედტი, ფრ. ალტერი, მ. ბროსე, რ. ერკერთი... პ. ჭარაია, ს. ხუნდაძე... ტ. ფუტყარაძე, თ. გვანცელაძე, მ. ტაბიძე, რ. შეროზია, მ. ნაჭყებია...).

ბ) **რამდენიმე ენა, ათეულობით დიალექტი**: ქართველური ენობრივი სამყარო შედგება სამი/ოთხი ენისგან: ქართული, მეგრული/ლაზური, სვანური. თითოეული მათგანი წარმოადგენს ცალკე ენობრივ სისტემას, რომელიც, თავის მხრივ, შედგება ქვესისტემებისაგან/დიალექტებისაგან. მათგან დამწერლობა საკუთრივ “ქართულს” აქვს, მეგრულ-ლაზურ-სვანური კი “უმწერლობო ქართველური ენებია”. ეს მოსაზრება სათავეს იღებს XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, გაბატონებული იყო საბჭოთა პერიოდში და დღეს მას იზიარებს ენათმეცნიერთა არცთუ მცირე ნაწილი.

მონათესავე ენობრივ ერთეულთა დაჯგუფება სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით ხდება (ისტორიულ-ეთნოგრაფიული, გეოგრაფიული, ლინგვისტური, ცენტრი-პერიფერიის პრინციპით და სხვ.).

ზოგადად, ენა-დიალექტის მიმართების საკითხი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარად არის გადაწყვეტილი, კერძოდ, ამა თუ იმ სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, სხვადასხვა

კრიტიკის (ეთნოკულტურული, სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური, ლინგვისტური, რელიგიური...) გათვალისწინებით.

ქართველ მკვლევართა ნაწილი ქართველურ ენა-კილოთა კვალიფიკაციისას ძირითადად ლინგვისტურ პრინციპს ანიჭებს უპირატესობას. მათი აზრით, მეგრულ-ჭანურ-სვანური მეტყველებები ლინგვისტური თვალსაზრისით არის ენები, სოციოლინგვისტურად ანუ სოციალური სტატუსის მიხედვით კი დიალექტებია³⁶. ლინგვისტურ კრიტიკიუმებად ასახელებენ **ბგერათმესატყვისობას³⁷** და **გაგებინებას³⁸**.

ლინგვისტურ კრიტიკიუმად სამართლიანად განიხილება “სისტემურობის პრინციპი“. საკითხისადმი მიდგომა აქაც განსხვავებულია: მკვლევართა ნაწილის აზრით, ქართველურ ენა-კილოთა **ენობრივი სისტემა** ძირითადად მსგავსია/ერთიანია (ტ.ფუტკარაძე, 2003, გვ.206; 2005, გვ. 66-67; რ.შეროზია, 2007, გვ.390-392); მეორე ნაწილი კი ამტკიცებს, ქართული, მეგრული-ლაზური და სვანური, როგორც **ენობრივი სისტემები**, პრინციპულ სხვაობებს წარმოაჩენენ (კ.გაბუნია, 2004).

თავიდანვე აღვნიშნავთ: ისევე როგორც სხვა კრიტიკიუმები, სისტემურობის პრინციპიც არ არის უნივერსალური, ვინაიდან “ენის“ სტატუსის მქონე ყველა კონტინენტზე ერთნაირად ვერ მიესადაგება (მაგ., სისტემური ერთგვარობა აქვს მოლდავეურსა და რუმინულს, მაგრამ დღემდე ენებად იწოდება).

ამდენად, დღემდე ცნობილი არც ერთი ე.წ. “ლინგვისტური კრიტიკიუმი“ არ არის უნივერსალური³⁹, მაგრამ, ჩვენი აზრით, ყველაზე უფრო საინტერესოა და, შესაბამისად, მეტ მსჯელობას მოითხოვს ე.წ. “სისტემურობის კრიტიკიუმი“, ვინაიდან **ქართულ**

³⁶ ნ.მარი, 1905; ბ.ჯორბენაძე, 1989; ა.ონიანი, 2003; კ.გაბუნია, 2004...

³⁷ სამეცნიერო ლიტერატურაში ნათლად დასაბუთებული, რომ “ბგერათმესატყვისობის კრიტიკიუმი“ ვერ გამოდგება ენა-კილოთა განსასხვავებლად: ბევრ მონათესავე ენას შორის რეგულარული ბგერათმესატყვისობა არ დასტურდება (რუსული, ბელორუსული...); გარდა ამისა, იგი დასტურდება დიალექტებად (კილოკავებად, თქმებად, ქცევებად...) მიხეულ ერთეულებს შორისაც კი (დაწვრილებით იხ. თ. გვანცელაძე, 2003, გვ. 103-105). აქვე აღვნიშნავთ, რომ გარკვეული ბგერათმემართება დასტურდება ლაზურისა და მეგრულის კილოკავებს შორის, მაგ.: ხოფ. **ი** - ვიწ-არქ., ათინ. **უ**, ან სენაკ. **ი**, **უ** - ზუგდ.-სამურზ. **გ** (არნ.ჩიქობავა, 1936, გვ.11, 20; ს.უღენტი, 1953, გვ. 45-46...).

³⁸ გაგებინება ლინგვისტური კრიტიკიუმი არაა (დაწვრ. იხ.: ტ.ფუტკარაძე, 2005; თ.გვანცელაძე, 2006...)

³⁹ მსოფლიო პრაქტიკა უფრო ექსტრალინგვისტურ კრიტიკიუმებს ანიჭებს უპირატესობას.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში ზოგადაა აღნიშნული ქართველურ ენა-კილოთა შორის არსებული მსგავსება-განსხვავებანი.

ქართველურ ენა-კილოების ერთგვაროვანი ენობრივი მოვლენები აღრიდანვე იქცევა ქართველოლოგთა ყურადღებას; ბევრი ენობრივი ფაქტი გაანალიზებულია პ.ჭარაიას, არნ.ჩიქობავას, ვ.თოფურიას, შ.ძიძიურის, გ.როგავას, ა.კიზირიას, ო.კახაძის, ბ.ჯორბენაძის და სხვათა ნაშრომებში.

წარმოდგენილ ნაშრომში შევეცდებით კონკრეტული მასალის ანალიზის საფუძველზე (სამეცნიერო გამოკვლევებზე დაყრდნობით) შედარებით ვრცლად განვიხილოთ ქართველური ენა-კილოებისთვის დამახასიათებელი ძირითადი ენობრივი ნიშნები და ვაჩვენოთ, თუ რა დონის მსგავსება-განსხვავებთან გვაქვს საქმე; კერძოდ: **ქართველური იდიომები უფრო დამოუკიდებელი ენობრივი სისტემებია თუ საერთო ერთი ენობრივი სისტემის ქვესისტემები/ვარიანტები?**⁴⁰.

I. ქართველურ ენა-კილოთა ფონემატური სტრუქტურა

თანამედროვე ქართველური იდიომები ფონემათა რაოდენობისა და მათი პარადიგმატული მიმართების თვალსაზრისით არსებითად არ განსხვავდება **საერთო-ქართველურისა და სამწიგნობრო ქართულისაგან**. წარმოდგენილია ყველა ის ფონემა (ხმოვანი, თანხმოვანი), რომელიც ისტორიულად სალიტერატურო ქართულ ენას ახასიათებდა⁴¹:

ხმოვნები: ა ე ო ი უ (ი და უ სონანტური ბუნების ბგერებია).

თანხმოვნები: ხშულები: ბ, ფ, პ; დ, თ, ტ; გ, ქ, კ; ჯ, ყ; აფრიკატები: ძ, ც, წ; ჯ, ჩ, ჭ. ნაპრალოვნები: ზ, ს; ჟ, შ; ლ, ხ; ჰ. სონორები: ვ, მ, ნ, რ, ლ.

ძირითადი ფონემების გვერდით ქართველურ დიალექტებში დასტურდება სალიტერატურო ენისაგან განსხვავებული ბგერები; ხმოვანთაგან: გრძელი ხმოვნები, ნეიტრალური გ ხმოვანი, პალატალიზებული (უძლავტიანი) ხმოვნები, მოკლე ხმოვნები, შემართვა-დამართვის ხმოვნები (მკვეთრი, ფშვინვიერი,

⁴⁰ სასტატე ვარიანტში ვრცელ მასალას წარმოვადგენთ. XXIX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სესიისთვის განკუთვნილ მოხსენებაში, რეგლამენტის გამო, ვაპირებდით წარმოგვედგინა მხოლოდ ძირითადი დებულებები.

⁴¹ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების წარმოდგენისას აღარ ვუთითებთ სათანადო სამეცნიერო ლიტერატურას (სრული მასალა წარმოდგენილი იქნება მონოგრაფიაში).

იოტიანი)... თანხმობანთაგან: ჯ (რომელიც ძველ ქართულში გამოიყენებოდა), ე, ჟ.

გრძელი ხმოვნების მიღების წესი ქართველურ კილოებში საერთოა; მიიღება: ა) იდენტურ ხმოვანთა შერწყმით, ბ) დაკარგული ბგერის საკომპენსაციოდ, გ) ტონური მახვილის შედეგად... გვხვდება: სვანურ კილოებში, თუშურში, მთიულურში, აჭარულში, სამცხურში, ფერეიდნულში, ნაწილობრივ მეგრულში.⁴²

ნეიტრალური გ ბგერა მეტ-ნაკლებად ყველა ქართველურ კილოში დასტურდება. ნიშანდობლივია სვანური და მეგრული მეტყველებისათვის. სვანურ კილოებში **გ** ხმოვანი ძირითად ხმოვანთა რიგში განიხილება. **გ** ბგერა ზოგადად წარმოადგენს: ა) ხმოვანი ფონემის პოზიციურ (რედუცირებულ) ვარიანტს, ბ) მავრცობ ხმოვანს, გ) თანხმობანთაგანს.⁴³

პალატალიზებული (უძლავუტიანი) ხმოვნები (ჟ, რ, ა) დასტურდება: მოხეურში, სამცხურში, ჯავახურში, იმერხეულში, ლივანურში, ტაოურში, ჰერულ და სვანურ კილოებში (გარდა ლამხურისა). მოხეურში, სამცხურში, ჯავახურში, მთიულურში **ვე, ვი** კომპლექსის შემცველ სიტყვებში ვლინდება, ისინი ფონემების დონეზე არ გამოიყოფა. იმერხეულში, ლივანურში, ტაოურში პალატალიზებული ხმოვნები ძირითადად თურქულ სიტყვებში ვლინდება, საკუთრივ ქართული წარმომავლობის სიტყვებში არ ჩანს. სვანურ კილოებში პალატალიზებული ხმოვნები ფონემებს წარმოადგენს, ხოლო ჰერულ კილოებში ფონემიზაციის პროცესი სრულყოფისაკენ მიდის.⁴⁴

მოკლე ხმოვნები გვხვდება ხევსურულსა და თუშურში. როგორც წესი, წარმოდგენილია სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში. წარმოადგენს სრულ ხმოვანთა პოზიციური ვარიანტს.⁴⁵

⁴² იხ. ძირითადი ლიტერატურა: არნ.ჩიქობავა, 1924; ქლომთათიძე, 1946; ს.ჟღენტი, 1953; ა.ონიანი, 1962; გ.მაჭავარიანი, 1963; თ.უთურგაიძე, 1969; ბ.ჯორბენაძე, 1989; ბ.ჯორბენაძე, 1998. ვ.თოფურია, 2002...

⁴³ გ ბგერის წარმომავლობისა და დისტრიბუციისათვის დაწვრი. იხ.: ს.ჟღენტი, 1953; ნ.იმნაძე, 1981; ბ.ჯორბენაძე, ქართული 1998; ტ.ფუტყარაძე, 1998; მ.ფალავა, 2004; ე.დადიანი, 2007...

⁴⁴ ძირითადი ლიტერატურა: ვ.თოფურია, 1928; ს.ჟღენტი, 1949; გრ.იმნაიშვილი, 1953; გ.მაჭავარიანი, 1963; მ.ქალღანი, 1969; ა.ონიანი, 1969; გ.მაჭავარიანი, 1970; თ.უთურგაიძე, 1979; ა.შანიძე, 1981; ვ.კუზნეცაშვილი, 1991; ბ.ჯორბენაძე, 1998; ტ.ფუტყარაძე, 1997; ტ.ფუტყარაძე, 1998.

⁴⁵ დაწვრი. იხ.: თ.უთურგაიძე, 1960; თ.უთურგაიძე, 1969; ა.ჭინჭარაული, 1960; ბ.ჯორბენაძე, 1998.

ხმოვანთა შემართვისა და დამართვის სამივე სახეობა (მკვეთრი, ფშვინვიერი და რბილი) მეტ-ნაკლებად ყველა კილოში გვხვდება. მკვეთრი შემართვა-დამართვა ძირითადად დასტურდება ექსპარესიულ სიტყვებში (შორისდებულები, ნაწილაკები), გრაფიკულად ე ან ნიშნით გადმოიცემა.

მკვეთრი შემართვა: თუშ.: **ც** უამბუ „უამბო“... მოხ.: **ც** ის „ის“, **ც** არა „არა“... ჰერ.: **ც** უთქომ „უთქვამს“... ჭან.: **ც** არ (ათინ.) „ერთი“, **ც** იდეს < იდეს (ათინ.) „წავიდნენ“, **ც** იკითხუ „იკითხა“... მეგრ.: **ც** ეს „ეს“ **ც** აუ „აუ“... სვან.: **ც** ახ, **ც** ოხ, **ც** ომტ (ვ.თოფურია, 1979, გვ. 159).

მკვეთრი დამართვა: თუშ.: გნც კეთ „გააკეთა“, გწც კეთ „გაუკეთა“... ხევს.: დასტურებ **ც** „დასტურები“, ჰოც, არც, პც ...

ფშვინვიერი შემართვა-დამართვა **ჭ** ნიშნით გამოიხატება. დასტურდება: სვან., ჭან., მეგრ., თუშ., ინგ., მესხ., ქვ.ქართლ...

ფშვინვიერი შემართვის ნიშნები: სვან.: ბზ. ჰარაყ „არაყი“, ჰავეჯ „ავეჯი“, ჰალგ „ალაგი“, ბქვ. ჰეჭუ „ეჭვი“... ლხმ., ჩხხ. ჰარაყ „არაყი“, ჰარიქა „არიქა“... ჭან.: ვიწ-არქ. ჰადა „ეს“, ჰეა „ის“, ჰამუქ „ამან“, ჰაშო „ასე“, ჰასთერი/ასთერი „ასეთი“... თუშ.: ჰაბა „აბა“, ჰარიქ „არიქა“... ჰერ.: ჰეგი „ეგი“, ჰეს „ეს“, ჰომობს „ომობს“, ჰალალ „ალალი“... სამცხ.: ჰამას „ამას“, ჰაკვანი „აკვანი“, ჰეკალი „ეკალი“... ჯავახ.: ჰამას „ამას“, ჰეჭვი „ეჭვი“, ჰეგრე „ეგრე“... მეგრ.: ჰაი, ჰატ, ჰა...

რბილი შემართვა **ძ** ნიშნით აღინიშნება. დასტურდება: ჰერულში, თუშურში, მოხეურში, მეგრულში, ჭანურში, სვანურში... მაგ.: ჰერ.: ძ-ემაგ (/ჭემაგ), ძ-ეხლა „ახლა“, ძ-ერთი (/ჰერთი)... თუშ.: ძ-ამ, ძ-ახლ, ძ-აგრ... მოხ.: ძ-ეს, ძ-ეგ, ძ-ენა, ძ-ერთი... ჭან.: ჰმატი „ცული“, ძოფმა „სავსე“, ჰფურჭა (/ჭურჭა) „ჭინჭალა“... (ს.ჟღენტი, 1953, გვ. 29-30). მეგრ.: ძაძამი „ძალიან“, მაძალური „მოლაღური“... (ს.ჟღენტი, 1953, გვ. 31). სვან.: ძორი „ორი“, ძემდ „ათი“...

ჯ თანხმობანი დაცულია სვანურ და ფხოურ კილოებში. შედარებით იშვიათია კახური დიალექტის ქიზიყურ კილოკავში, ფერეიდნულში, მესხურ კილოებში (იმერხეულში, ლივანურში, ტაოურში), ჰერულში, ქართლურში (არაგვისა და ქსნის ხეობათა მეტყველებაში). მაგ.:

სვან.: ლიწმდე (*ლი ჯემდე „ყეფა“), ლიწჩე (*ლი ჯიჩე)... (ვ.თოფურია, 1979, გვ. 45); ფხოური: ჯელი, ფევი, ჯორცი, ჯევი, ჯმა, ჯევისბერი... ჰერ: ჯარი, სანჯავი... იმერხ.: ბაჯალა, ჯერჯი, ჯელი, ჯარი, ჯევი, ჯელი, ჯიდი... (შ.ფუტყარაძე, 1995, გვ. 6; მ.ფალავა, 2005, გვ. 47); მაჭახლ.: ჯერთვისი, ჯევიდი, ჯმა, ჯარი... (შ.ფუტყარაძე, 1995, გვ. 24); ტაოური: თოჯი, ჯმა, ფერჯული... (შ.ფუტყარაძე, 1995, გვ. 30).

ქ კბილბაგისმიერი ყრუ ფშვინვიერი ბგერა, როგორც **ჯ** ფონემის პოზიციური ვარიანტი, კილოებში თავს იჩენს ყრუ ფშვინვიერი და ყრუ მკვეთრი ბგერების წინ: **ქ-კითხულობ, ქ-თქვი,**

ძ-ფურცლავ, ძ-სინჯავ, ამბაძ-ს, კლაძ-ს... მეგრ.: ძ-თასუნქ „ვეთსავ“, ძ-ქუნუნქ „ვეფთავ“... ჭან.: მო-ძ-თი „მოვედი“... ჭანურში ძ უმთავრესად უცხო სიტყვებში დასტურდება: ძუკარა (თურქ.) „ღარიბი“, ეძენდი (თურქ.) „ბატონი“, ოძრიდი (ბერძნ.) „წარბი“, კარაძი (ბერძნ.) „ლურსმანი“... ჰერულში (ალიაბათურში) ძ ჩვეულებრივ, ჩნდება გარკვეულ პოზიციებში ფონეტიკურ ნიადაგზე: ძ-ჭამ, ძ-ჭრი, ძ-თლი (გრ.იმნაიაშვილი, 1963, გვ. 82).

ს ბგერა შორისდებულებისა და ჩვენებითი ნაცვალსახელების დასაწყისში (ხმოვნის წინ) შეიძლება ყველა დიალექტში შეგვხვდეს. იგი ფონემად არ ჩაითვლება და ძირითადად ხმოვნის მაგარი შემართვის შედეგად ვითარდება.

მეგრულ-ჭანურში ს ბგერა ძირითადად წარმოადგენს ყ-ს პოზიციურ ვარიანტს: ყუჯი „ყური“, ყვალი „ყველი“...

ს ბგერა დამახასიათებელია თუშური კილოსათვის. თ. უთურგაიძის აზრით, თუშურში ს ბგერა დამოუკიდებელ ფონემად უნდა გამოიყოს, ვინაიდან ს ზოგჯერ მნიშვნელობათგანმასხვავებლის ფუნქციით დასტურდება, მაგ.: დს ოდ (მამაკაცის სახელი) და დაოდ (ნათესავი ქალი), ხ ის ოდ (მამაკაცის სახელი) და ხიო (ხევა ზმნის II კავშირებითის ფორმა).⁴⁶

ჩამოთვლილი ბგერები (გარდა ვ-ისა) მეორეული, პოზიციურად მიღებული ბგერებია. ამ თვალსაზრისით მეგრულ-ლაზური და სვანური მეტყველებები ქართული ენის დიალექტებისაგან ფაქტობრივად არაფრით განსხვავდებიან.

საერთოქართველური ენის ხმოვანთა ისტორიული დიალექტური ვარიანტები (ხმოვანთშესატყვისობანი). საერთოქართველური ხმოვნები დიალექტებში ნაირგვარ ცვლილებებს განიცდის. ამა თუ იმ ხმოვანს მეგრულ-ჭანურ-სვანურში სხვა ვარიანტი შეესაბამება. სამეცნიერო ლიტერატურაში ხმოვანთა შეუპირობებელი მონაცვლეობა, რომელსაც მორფოლოგიურ-სემანტიკური დატვირთვა არა აქვს, ხმოვანთმონაცვლეობად, ალტერნაციად ან სუბსტიტუციად სახელდება. ძირითადად სამწიგნობრო ქართულსა და მეგრულ-ჭანურს შორის დადგენილი ამგვარი ხმოვანთმონაცვლეობის შემთხვევები ბგერათშესატყვისობის

⁴⁶ დაწვრ. იხ.: ი.ყიფშიძე, 1914; არნ. ჩიქობავა, 1936; ს.აღლიანი, 1953; თ.უთურგაიძე, 1960; გრ. იმნაიაშვილი, 1963; ნ.კიზირია, 1980; ნ. იმნაძე, 1981; ბ.ჯორბენაძე, 1998; ნ.ქუთელია, 2005...

სახელითაა ცნობილი (სალიტერატურო ქართულსა და სვანურ კილოებს შორის ხმოვანთა მიმართება ძირითადად იდენტურია).

საერთოქართველურსა და მეგრულ-ჭანურ-სვანურს შორის ცნობილია ხმოვანთშესატყვისობის შემდეგი შემთხვევები:

- ს.ქართვ. ა > მეგრ.-ჭან. ო: კოჩი „კაცი“, ოში „ასი“, დო „და“...
- ს.ქართვ. ე > მეგრ.-ჭან. ა: მა „მე“, დლა „დღე“, მაფა „მეფე“...
- ს.ქართვ. ი > მეგრ.-ჭან. ე: მაყარე (მეგრ.) „მაყარი“, ქოთუმე (ჭან.) „ქათამი“...⁴⁷

მსგავსი შემთხვევები სპორადულად სხვა დიალექტებშიც გვხვდება, კერძოდ:

ა>ო: ტანიანი>ტონიანი (კაკ.), დედა>დედო (აჭარ.), ჭაპანი>ჭოპანი (მობ.), მზარეული>მზორეული (ქართლ.)...

ე>ა: ჯებირი>ჯაბირი, ქეიფი>ქაიფი/ქაიბი (ხევს.), ზეთ>ზაით, კიდე>კიდავ, მერე>მამრე (მობ.)...

ი>ე: იყო>ეყო (ჰერ.), მანდილი>მანდელი (ხევს.), ხესავით>ხესავეთ (იმერ.), უნაგირი>უნაგერი (რაჭ.)...

როგორც ვნახეთ, მეგრულ-ჭანურის მსგავსი მიმართება ხმოვნებს შორის რაოდენობრივ დონეზე სხვა ქვესისტემებშიც გამოვლინდება. მეგრულსა და ჭანურში, სხვა დიალექტებთან შედარებით, ხმოვანთმონაცვლეობას რეგულარული და კანონზომიერი ხასიათი აქვს.

ქართულ-ზანური შესატყვისობის შესახებ არნ.ჩიქობავა აღნიშნავს, რომ სხვაობას იწვევს არტიკულაციის ცვლა, კერძოდ, ზანურში მოხდა ბგერათა წარმოქმნის (წარმოების) უკან გადაწევა. მკვლევრის აზრით, აღნიშნული პროცესი ერთბაშად არ

⁴⁷ ე: მონაცვლეობის შესახებ გ.როგავა აღნიშნავს, რომ ზანურში ე ხმოვნის გადასვლა ი ხმოვანში პოზიციური ხასიათისაა. ამ შემთხვევაში უნდა მოქმედებდეს ზოგი კილოსათვის დამახასიათებელი ეა ხმოვანთა კომპლექსის გადასვლა ია-ში: მწარე-მწარია, ეამა-იამა (ფშ.)... აქ საქმე გვაქვს ხმოვანთა დისიმილაციასთან, უკეთ, გარკვეულ ხმოვანთა კომპლექსის დიფთონგიზაციასთან: ეა>ია/და. მეგრულში დისიმილაციას ადვილი აქვს მაშინაც, როცა ე და ა ხმოვნები თანხმოვნითაა გათიშული: დედა>დიდა, ვენახი>ბინეხი, ენა>ნინა, ნეტავი>ნიტე, მტევა>ნიტეანი, მწვევარი>წიარი... (იხ. გ.როგავა, 1975).

ხმოვანთა მონაცვლეობის მსგავსი ფაქტები დასტურდება მეგრულსა და ჭანურს შორის:

ა>ე: უაშხა/უეშხა (მეგრ.) „კვირა“, ჭაჭა/ჭეჭა (ჭან.)... (მდრ.: რაბე (კაკ.)/რებე (ალიაბათ.), ფაყი (ალიაბათ.)/ფეყი (კაკ.) „ფეხი“)

ი>ე: დიხა(მეგრ.), დეხა(ჭან.) „მიწა“; ქოთომი (მეგრ.), ქოთუმე (ჭან.) „ქათამი“.

უ>ი: ჭან. ქური/მეგრ. ქირი, ჭან. ჟური/მეგრ. ჟირი, ჭან. ჯუმა/მეგრ. ჯიმა, ჭან. გურული/მეგრ. გირინი...

ვიწ-არქ. ლუმეცი/ხოფ. ლიმეცი, ვიწ-არქ. ნუსა/ხოფ. ნისა, ვიწ-არქ. ფუქუ-რი/ხოფ. ფიქირი „ყვავილი“... (მდრ.: შააჟდინა (ალიაბათ.)/შააჟდუნა (კაკ.)...

მომხდარა, იგი თანდათან ვითარდებოდა და საბოლოოდ ჩამოყალიბდა როგორც გარკვეული ბგერათმეცნიერების (არნ.ჩიქობავა, 1938, გვ. 6-9, 441-442). აქვე ისმის კითხვა: თუკი არტიკულაციის უკან გადაწევა მოხდა, რატომ განიცადა ეს მხოლოდ ფონემათა მცირე ნაწილმა (მაგ., დ, თ, ტ რატომ არ გადაიწია d, ც, წ-დ)? გარდა ამისა, ა > ო პროცესის განსახორციელებლად საკმარისი არ არის ენის უკან გადაწევა; ა > ო ლაბიალიზაციაა, შესაბამისად, არტიკულაციის წინ გადმოწევა უფროა (მდრ., აგრეთვე: და - და, და - დო (კავშირი), შენ - სი ტიპის მიმართებები)...

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მეგრულ-ჭანურში ს.ქართვ. ა ხმოვანი ყველა შემთხვევაში კი არ გადადის ო-ში, არამედ ზოგჯერ ა უცვლელი რჩება. ასევე გამონაკლისები აქვს ს.ქართვ. ე : ზან. ა შესატყვისობასაც.⁴⁸

საერთოქართველური ენის თანხმოვანთა დიალექტური ვარიანტები (თანხმოვანთმესატყვისობანი). საერთოქართველური ენის თანხმოვნები ქართველურ ქვესისტემებში ძირითადად უცვლელია. განსხვავებულ სურათს ქმნიან სიბილანტები.

ზანურსა და სვანურში სიბილანტთა ცვლილება კანონზომიერ და რეგულარულ ხასიათს ატარებს და თანხმოვანთმესატყვისობის სახელით არის ცნობილი.

ა) სისინა თანხმოვანთა რეფლექსები

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მეგრულ-ჭანურ-სვანურში შიშინა თანხმოვნები ს.ქართველური სისინა თანხმოვნების შესატყვისად არის შედეგი არტიკულაციის უკან გადაწევისა (არნ.ჩიქობავა, 1938, გვ.6-9, 441-442; ს.ჟღენტი, 1949, გვ.130-133; გ.როგავა, 1953, გვ.42-43; ვ.თოფურია, 1960, გვ.150).

გარკვეულ შემთხვევებში საერთოქართველური სისინა თანხმოვანი მეგრულ-ჭანურ-სვანურში იმავე სისინა თანხმოვნით არის წარმოდგენილი, მაგ.:

ს.ქართვ. მძაღ, მეგრ. ძღღ, სვან. მგ-ძიღ; ს.ქართვ. ცხემლა, მეგრ. ცხემური/ციხემური, სვან. ცხუმ/ციხემ/ციხიმ....

კანონზომიერ შესატყვისობათაგან გადახვევები სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვაგვარადაა ახსნილი:

⁴⁸ საერთოქართველურ ხმოვანთა რეფლექსები ლიტერატურაში სხვადასხვაგვარადაა გაანალიზებული; იხ.: ი.ყიფშიძე, 1914; არნ.ჩიქობავა, 1938; გ.მაჭავარიანი, 1958; თ.გაყრელიძე, გ.მაჭავარიანი, 1965; ტ.ფუტყარაძე, 1989; ტ. ფუტყარაძე, 1990; ტ.ფუტყარაძე, ე.დადიანი, 2005...

მკვლევართა ნაწილი (გ. მაჭავარიანი, კ. შმიდტი, გ. წერეთელი, მ. ქურდიანი...) ვარაუდობს საერთოქართველურში სპირანტებისა და აფრიკატების სამი რიგის (წინა, შუა და უკანა) არსებობას.

ნაწილი მეცნიერებისა (გ. როგავა, მ. ჩუხუა...) სისინა თანხმოვნების შემცველ სიტყვაფორმათა არსებობას მეგრულ-ჭანურ-სვანურში ქართულის გავლენით ხსნის: ან შეთვისებულია ქართულიდან ან კიდევ ქართულის გავლენითაა სახეცვლილი.

უფრო ლოგიკურია იმის აღნიშვნა, რომ საერთოქართველურ სიტყვათა ერთი ნაწილი უცვლელად არის შემონახული ქართველურ დიალექტებში, ხოლო მეორე ნაწილი ფონეტიკურად თუ სემანტიკურად არის სახეცვლილი. ბგერათცვლილების გამომწვევი ფონეტიკური ფაქტორები დღეს უცნობია.

ბ) შიშინა თანხმოვანთა რეფლექსები

ს.ქართველურ შიშინა თანხმოვნებს მეგრულ-ჭანურსა და სვანურში, როგორც წესი, ბგერათკომპლექსი შეესატყვისება: შიშინა თანხმოვანი + უკანაენისმიერი ხშული: **ს.ქართვ.** (ნა)ბიჯი, მეგრ. გე-ბიჯ-აფა “დაბიჯება”, **სვან.** ბიჯ “ნაბიჯი”; **ს.ქართვ.** შუილი, მეგრ. შქვითი, ლაზ. შქვითი/შქითი, სვან. იშგუილ...

ს.ქართვ. *ჟ ფონემის არსებობა საეჭვოდ მიიჩნევა. ა.შანიძის აზრით, ჟ მეორეული ბგერაა. შესაბამისად, შესატყვისობა ჟ:ჟგ/ზგ არ არის დადასტურებული.

ბოლოდროინდელი გამოკვლევების მიხედვით, ს.ქართველურში გამოვლენილია ისეთი ფუძეები, რომლებიც ადასტურებენ ბგერათმესატყვისობას: ქართ. ჟ - ზან. ჟღ/ჟგ, რაც უტყუარს ხდის ს.ქართვ. *ჟ ფონემის რეკონსტრუქციას.⁴⁹

აღნიშნული ბგერათფარდობანი მეგრულ-ჭანურ-სვანურში ხშირად დარღვეულია:

ა) ს.ქართვ. შ-ს შესატყვისად **ს** გვაქვს: ს.ქართვ. შენ - მეგრ.-ჭან. სი - სვან. სი...

ბ) ს.ქართვ. შიშინა თანხმოვნების შესატყვისად წარმოდგენილია სისინა თანხმოვნიანი კომპლექსი (**ძგ, ცქ, წკ, სქ/სგ**): ს.ქართვ. შუენის, შევნიერი - მეგრ. სქვამი - სვან. მუსგჟან „მშვენიერი“...

⁴⁹ მაგ.: ს.ქართვ. ჟღეტ, ზან. ჟგართ/ჟგარტ “დახეთქება, მაგრად ცემა, დაბეგვა“ (ვ.შენგელია, 1996, გვ. 28).

ს.ქართვ. ჟრობა (გურ.) “ნელი ხარშვა“, დამჟღნარი “ხილი დამჟღნარი“ (საბა), ზან. ჟღირაფა/ბჟღირაფა “ჭკნობა“; ს.ქართვ. ჟუვილი “დაბუჟებული ხორცის ჩხვლეტა“ (საბა), ზან. ჟღირინი, უჟღირუანს “უხურს, სჩხვლეტს, უბჟუის“ (რ.აბაშია, 2003, გვ. 5-9).

გ) შიშინა თანხმომავანი უცვლელია, არ განივითარებს უკანენის- მიერ თანხმომავნებს. მაგ.: ს.ქართვ. **ღრეჯა** - მეგრ. **ღრანჯუა** “დაღეჯა” - სვან. **მე-ღლიჯ/მე-ლიჯ** “დაკრეჭილი (კბილი)”...

დ) სვანურს ორი ყრუ თანხმომავნისაგან შედგენილი ბგერათკომ- პლექსი არ ახასიათებს: დისიმილაციის საფუძველზე მეორე ყრუ თანხმომავანი მუდგერდება. ამავე დროს ხდება აფრიკატთა სპირან- ტიზაცია, მაგ.: **ჭ>ჭკ>შკ**: ქართ. **ჭედვა** - მეგრ.-ლახ. **ჭკადუა** - სვან. **ლი- შკად-ი** “ჭედვა”...⁵⁰

სიბილანტ თანხმომავნთა მეგრულ-ჭანურ-სვანურის მსგავსი რეფლექსები იშვიათად სხვა დიალექტებშიც დასტურდება, მაგ.:

სისინა>შიშინა: უკამი<სკამი, ქიშტი<ქისტი (მოხ.), უშტვენს< უსტვენს (კახ.), ნეშტო<ნესტო, შტოლი<სტოლი (ზ.იმერ.), შტრაფილი< სტრაფილი (ქართლ.)... შუგაზე ჟის<ზის (ჭერ.), ჟდმარტლი<ზდმარტლი (ალგ. ქართლ.)... ამოვჯირკვე<ამოვძირკვე... გაბეჩება <გაბეცება (კახ., ჯავახ.), დერჩიკი<დერციკი (კახ.)... ჭირინტა<წირინტა (ალგ. ქართლ.), ნაჭვრეთი<ნაწვრეთი „ნაჭრილობევი“ (ხევს.), ჭვეთი<წვეთი (გურ.)...

შიშინა>თანხმომავნთკომპლექსი: ჭკდე<ჭდე (ხევს., მთ., თუმ.), ჭკნავი<ჭნავი (აჭარ.), ჭკორტლ<მჭვარტლი (ჭერ.), ჭკრიალი<ჭრიალი (ლენხ.)... (იხ. ბ.ჯორბენაძე, 1995, გვ.51-57).

როგორც ვხედავთ, ქართველურ ქვესისტემებს შორის განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ დიალექტთა ნაწილში თანხმომავნთმონაცვლეობას ინტენსიური და კანონზომიერი ხასიათი აქვს, ნაწილში კი სპორადულად ვლინდება. ამ შემთხვევაში

⁵⁰ შიშინა თანხმომავნების ნაირგვარი რეფლექსი სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვაგვარადაა ახსნილი, კერძოდ, მკვლევართა ნაწილი (არნ.ჩიქობავა, 1938; გ.როგავა, 1960) მიიჩნევს, რომ ბგერათფარდობაში **შ** - **სქ/სგ** ამოსავალია სისინა ვარიანტი. ქართულში თავდაპირველი **ს>შ**, მეგრულ-ჭანურ-სვანურში კი **ს** არ შეცვლილა, ოდნოდ მის შემდეგ დაირთო უკანაენისმიერი თანხმომავნი; მ.ჩუხუას აზრით, სისინა რიგის სიბილანტებში არტიკულაციის უკან გადაწევა სისინა>შიშინა გარდაქმნის გარდა მიიღწეოდა სისინა სიბილანტის მომდევნოდ უკანაენისმიერ ნშულთა განვითარებით (მ.ჩუხუა, 2003). თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი ვარაუდობენ, რომ **შქ/შგ** და **სქ/სგ** კომპლექსები ერთი და იმავე **შ** ფონემის რეფლექსებია, რომელიც შეპირობებულია პოზიციით, კერძოდ: **შ-შქ/შგ>სქ/სგ** პროცესი მეგრულ-ჭანურ-სვანურში შეიძლება აიხსნას **ვ/ჟ** ბგერის არსებობით, აგრეთვე, **შ** ბგერის პალატალური ბუნებით. **შ** ს-სთან შედარებით უფრო პალატალურია. პალატალური და ლაბიალური ბგერები ერთმანეთის მეზობლად ვერ ძლებს, ამდენად, ენაში კანონზომიერი პროცესი განვითარდა: **შ>ს** (თ.გამყრელიძე, 1959; გ.მაჭავარიანი, 1965).

შიშინა თანხმომავნებს მუდმივად ახასიათებს თავისთავადი ლაბიალიზაცია. თუ ასეთ თანხმომავანს მოსდევს ლაბიალური ხმომავნი, თანხმომავნი, მაშინ ხდება დე-ლაბიალიზაცია, შიშინა თანხმომავნთა გასისინება (ტ.ფუტყარაძე, 2005, გვ. 272).

მნიშვნელოვანია არა რაოდენობრივი ხასიათის განსხვავება, არამედ ის, რომ ამ მოვლენას ერთი საერთოქართველური საფუძველი წარმართავს. მოვლენათა არაერთგვაროვანი ხასიათი სხვადასხვა მიზეზით შეიძლება აიხსნას.

„საკუთრივ რომელიმე დიალექტისათვის არაკანონზომიერი პროცესი საერთოქართული პოტენციის გამოვლინებაა... ის, რაც ამჟამად ცალკეული ფაქტების სახით დაჩნდება მავან დიალექტში, შესაძლოა ისტორიულად ყოფილიყო მისთვის დამახასიათებელი ან შემდგომ გახდეს მისი ფონეტიკური იერ-სახის განმსაზღვრელი“ (ბ.ჯორბენაძე, 1998, გვ. 150).

“ის, რაც ამჟამად ქართველურ ენათა ბგერათშესატყვისობად განიხილება, ისტორიულად ამ ენათა დიალექტებისათვის დამახასიათებელი მოვლენა იყო“ (ბ.ჯორბენაძე, 1995, გვ. 56).

“მონათესავე ენებსა და იმავდროულად მათსავე დიალექტებში საკმაოდ მრავლადაა საერთო საფუძვლის მქონე მოვლენები“ (ბ.ჯორბენაძე). ე. ი. თვისებრივი სხვაობა არ არსებობს ფუძენასა და თანამედროვე ვარიანტს შორის. საერთოქართველურშიც ბუნებრივად უნდა დაფუძვლათ სიტყვაფორმათა პარალელურობა თანამედროვე ვითარების ანალოგიურად (ტ.ფუტყარაძე, 1996, გვ.23-24).

ვფიქრობთ, დასადგენია მიზეზები, რა შემთხვევებში მივიღეთ საყოველთაოდ ცნობილი ბგერათშესატყვისობანი. საინტერესოა ის ფაქტი, რომ გ. ელიავას ლექსიკონში **ჭ** ბგერით დაწყებული იდენტური სიტყვები შეადგენს 40%-ს, შესატყვისობა გვაქვს 29%-ში, ხოლო 31% საკვლევიან. ბგერი იდენტური სიტყვა მკვლევრებს ლექსიკონში არ შეაქვთ. ამდენად, გაუმართლებლად გვეჩვენება საერთოქართველურში ორი **ჭ**-ს (ან ორი **წ**-ს, **ძ**-ს, **ც**-ს) რეკონსტრუირება, ასევე, იდენტური ფორმების სესხებით ახსნა. სავარაუდოა, რომ კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობის სახელით ცნობილი მიმართებანი სათავეს იღებს საერთოქართველურშივე არსებული ფონეტიკური ვარიანტებიდან. ამას გვაფიქრებინებს მსგავსი ფაქტების არსებობა ქართველურ ქვესისტემებში.

ამდენად, უფრო ლოგიკური ჩანს ე.წ. ქართველური შესატყვისობების მიზეზი ფონეტიკურ გარემოცვაში, ან სხვა ფაქტორებში ვეძიოთ და არა “არტიკულაციის უკან გადაწევაში”.

ფონეტიკურ ცვლილებათა ტენდენციები⁵¹ ქართველურ ქვესისტემებში ძირითადად საერთოა. მრავალფეროვან ფონეტიკურ პროცესთაგან რამდენიმეს შევხებით:

მეტათეზისის შემთხვევები ქართველურ ქვესისტემებში საკმაოდ ხშირია. აქ ნიმუშად I პირის **ვ-** ნიშნის მეტათეზისს განვიხილავთ⁵².

ვ- პრეფიქსის მეტათეზისი გვხვდება: თუშურში, ჰერულში, მეგრულში, სვანურ კილოებში. იშვიათად: იმერულში, აჭარულში, ჯავახურში...

ფონეტიკური პროცესი აიხსნება თავკიდურ პოზიციაში წარმოქმნილი არაბუნებრივი კომპლექსის გამარტივების ძლიერი ტენდენციის არსებობით. **-ვ** პრეფიქსის გაინფიქსება დასტურდება როგორც თანხმოვნით დაწყებულ ფუძეებთან, ისე ხმოვანპრეფიქსებთან შეხვედრისას.

I. სიტყვის თავკიდურად მორფემათა ზღვარზე **ვ-** პრეფიქსისა და ფუძისეული თანხმოვნისაგან შედგენილი ბგერათკომპლექსის **ვ/ჟ+C** ცვლილება კილოებში შეიძლება ორგვარად წარიმართოს, კერძოდ:

ა) ერთ შემთხვევაში **ვ-/ჟ-** პრეფიქსი გადაინაცვლებს ფუძისეული თანხმოვნის მომდევნოდ და წარმოიქმნება ქართველურისთვის უფრო ბუნებრივი კომპლექსი (**C+ვ-/ჟ-**), მაგ.: თუშ.: **ვ-** დაობ>დ-**ვ-**აობ, **ვ-**ტირი>ტ-**ვ-**ირი, **ვ-**ჩეჩ>ჩ-**ვ-**ეჩ, **ვ-**ჭამ>ჭ-**ვ-**ამ... იმერ., აჭარ.: **ვ-**ხნავ>ხ-**ვ-**ნავ... (მსგავსი ფაქტები სამეცნიერო ლიტერატურაში ახსნილია ენის მისწრაფებით, შექმნას მზარდი ნაპრალოვნობის კომპლექსები) (თ.უთურგაიძე, 1976).

სვანურ კილოებში I პირის ნიშანი თანხმოვნით დაწყებულ ფუძეებთან, ჩვეულებრივ, ინფიქსად იქცევა, მაგ.: ზ.სვ., ლნტ. ტ-**ჟ-**იხე „ვაბრუნებ“, მიღებულია ***ჟ-**ტიხ-ე ფორმისაგან, ბქვ. რ-**ჟ-**აგდი „ვლაპარაკობ“, ფორმისთვის ამოსავალია ***ჟ-**რაგდი ფორმა

⁵¹ ხმოვანთა რედუქციის შესახებ ქართველურ ქვესისტემებში მრავალრიცხოვანი ლიტერატურა არსებობს: ი.ყიფშიძე, 1914; მ.ნიკოლაიშვილი, 1984; ს.უღენტი, 1953; თ.უთურგაიძე, 1976; ა.შანიძე, 1981; მ.ციკოლია, 1950; მ.ციკოლია, 1954; ბ.ჯორბენაძე, 1998...

ხმოვანთკომპლექსთა ტრანსფორმაციისათვის ქართველურ ქვესისტემებში იხ.: ი.ყიფშიძე, 1914; არნ.ჩიქობავა, 1936; ა.ლონტი, 1936; ვ.თოფურია, 1954; მ.ციკოლია, 1954; კ.კუბლაშვილი, 1959; ბ.ჯორბენაძე, 1995; შ. ძიძიუაძე, 1998; ო.კახაძე, 1981; ო.კახაძე, 1999; გ.კარტოზია, 2005; ნ. ქუთელია, 2005...

⁵² დაწვრილებით იხ.: ტ.ფუტყარაძე, ე.დადიანი, 2004.

(ვ.თოფურია, 1967, გვ.10). შდრ. ლაშხურის ვითარება, სადაც I სერიაში ზმნებს **ჟ** პრეფიქსი არ გააჩნიათ, მაგ.: ტვხე „ვაბრუნებ“, ტენხი „ვბრუნდები“, ვარგლი „ვლაპარაკობ“...

თუკი ფუძე იწყება ლაბიალური თანხმოვნით და მას მოსდევს ე, ი ხმოვნები, პალატალიზებული ხმოვნების მქონე სვანურ დიალექტებში (ბზ., ბქვ., ლნტ.) **ჟ** ნიშანი მეტათეზისის შემდეგ ე, ი ხმოვნებს ერწყმის და ვიღებთ პალატალიზებულ (უმლაუტიან) ო, **ჟ** ბგერებს, მაგ.: ბზ. პორნი, ლნტ. პორენი „ვფერენ“, მიღებულია ასე: პორნი<პ-**ჟ-**ერნი<ჟ-პერნი, ბზ. ბოჭკუნი<ბ-**ჟ-**ეჭკუნი<ჟ-ბეჭკუნი „ვსკდები“ (ვ.თოფურია, 1967, გვ.10).

ანალოგიური ვითარება გვაქვს ჰერულში, ოლონდ, სვანურისაგან განსხვავებით, ჰერულში პალატალიზებული ხმოვნები მიიღება ნებისმიერი თანხმოვნის მეზობლად, მაგ.: **ვ-**ფ-იქრობ>ფ-**ვ-**იქრობ>ფ-**ჟ-**ქრობ, **ვ-**რ-ეცხავ>რ-**ვ-**ეცხავ>რ-**ჟ-**ცხავ...

ბ) მეორე შემთხვევაში თავკიდურ პოზიციაში არსებული თანხმოვანთ-კომპლექსი (**ვ+C**) მარტივდება **ვ-**ს გადასმით მომდევნო მარცვლის შემდეგ, მაგ.: იმერ., ჯავახ.: **ვ-**ნახე>ნა-**ვ-**ხე (შდრ. ინგ. ნოხენ<ნ-**ვ-**ახე<ნ-**ვ-**ახე); სვან. (ეცერ.): **ჟ-**ფემგნი>ფემგჟნი „ვიხსნები“, **ჟ-**ნეცხნი>ნეცხ-**ჟ-**ნი „ვიღვიძებ“...

მეგრულში **ვ-** პრეფიქსი ფუძისეული მარცვლის მომდევნოდ გადაჯდება გარკვეულ შემთხვევაში, კერძოდ, ბაგისმიერი (**ბ ფ პ მ**) თანხმოვნებით დაწყებულ ფუძეებთან (ამასთანავე, **ვ-** ნიშანი იცვლება მომდევნო თანხმოვნის გავლენით):

ვ-ბარუნქ > ბა-**ვ-**რუნქ > ბა-**ბ-**რუნქ „ვბარავ“

ვ-ფორუნქ > ფო-**ვ-**რუნქ > ფო-**ბ-**რუნქ „ვფარავ“

ვ-პუტორუნქ > პუ-**ვ-**ტორუნქ > პუ-**პ-**ტორუნქ „ვპუტავ“

აღნიშნული ფონეტიკური მოვლენა გამოხატულებაა გარკვეული ენობრივი კანონზომიერებისა. ცნობილია, რომ ქართულში (შესაბამისად, ქართველურ ქვესისტემებშიც) იდენტური ან ერთი ლოკალური რიგის ბგერები (ფონემები) ერთიმეორის მომდევნოდ არ გვხვდება ერთი მორფემის ფარგლებში სიტყვის თავკიდურად (თ. უთურგაიძე, 1976, გვ. 78).

ასევე, არაბუნებრივი ჩანს ქართველური კილოებისათვის **ვ/ჟ+ი** ბგერათმიმდევრობა და მისი სუპერაცია სხვადასხვა გზით ხდება.

მეგრულში **ვ-** პრეფიქსი **ი** ხმოვანპრეფიქსის მეზობლად ვერ ძლებს და, როგორც წესი, ინფიქსად იქცევა. პროცესი გარკვეული წესის დაცვით მიმდინარეობს:

1. თუ ფუძე არაბაგისმიერი თანხმონით იწყება, მეტათეზის კონტაქტურია, **ვ-** ნიშანი გადაისმის ზმნური ხმოვანპრეფიქსის მომდევნოდ ფუძის წინ, მაგ.: **ვ-ი-რღუქ>ი-ვ-რღუქ>ი-ბ-რღუქ** “ვიზრდები”, **ვ-ი-ჰყანქ>ი-ვ-ჰყანქ>ი-ბ-ჰყანქ** “ვიწყებ”...

2. ხოლო თუკი ფუძის თავკიდულად ბაგისმიერი თანხმონია წარმოდგენილი, მაშინ ადგილი აქვს დისტანციურ მეტათეზისს, **ვ-** მორფემა ფუძის პირველივე მარცვლის მომდევნოდ გადაჯდება (ც.ჯანჭლავა, 1989, გვ.44), მაგ.: **ვ-ი-ბირქ>ი-ბ-ი-ვ-რქ>ი-ბი-ბ-რქ** “ვმღერი”, **ვ-ი-ფიქრენქ>ი-ფი-ვ-ქრენქ>ი-ფი-ფ-ქრენქ** “ვიფიქრებ”...

პროცესს ვერ აბრკოლებს ზმნისწინისა თუ ნაწილაკის დართვა, მაგ.: **ქი-ბი-ბ-რქ** “ვიმღერებ”, **მი-ფი-ფ-ქრენქ** “მოვიფიქრებ”...

ვ- ნიშნის მეტათეზისი უცხოა ჰანურისათვის. თუმცა ჰანურში (ძირითადად ვიწურ-არქაბულსა და ხოფურ კილოკავებში, იშვიათად ათინურში) არის ტენდენცია, თავკიდურ პოზიციაში ხმოვანთა წინ **ვ-** პრეფიქსი **ბ-**თი შეიცვალოს და ამით თავიდან იქნას აცილებული **ვ+ი** მიმდევრობა, მაგ.: **ბ-ი-დი** “წავედი”, **მღრ. მეგრ. ი-ბ-დი**, **ბ-ი-მგარ** “ვტირი” **მღრ. მეგრ. ი-მ-გარქ**, **ბ-ი-შქვიდერ** “ვიხრჩობი” **მღრ. მეგრ. ი-ფ-შქვიდუქ**, **ბ-ო-რე** “ვარ” **მღრ. მეგრ. ვ-ორექ**...

ვ+ი ბგერათმომდევრობა ჰერულში შეიძლება პალატალიზებული **ჟ** ხმოვნით შეიცვალოს: **ვიცი>ჟცი**, **ვიქ>ჟქ** “ვმერები”...

ვ+ი ბგერათმომდევრობა თავკიდურ პოზიციაში არაბუნებრივი ჩანს როგორც დიალექტებისათვის, ასევე სალიტერატურო ქართულისათვის. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომულშიც, ო.ქაჯიას მეგრულ-ქართულ ლექსიკონსა და ვ.თოფურიასა და მ.ქალდანის სვანურ ლექსიკონშიც ძალზე იშვიათია ისეთი ფუძეები, რომელთაც თავკიდურად **ვ+ი** მიმდევრობა უდასტურდებათ. არც ისაა შემთხვევითი, რომ საერთოქართველურისათვის მხოლოდ ერთადერთ ფორმაში, ისიც დუბლეტურ **ვინ/მინ** ნაცვალსახელში აღდება **ვ+ი** ბგერათმომდევრობა.

ვ- პრეფიქსის მეტათეზისის შემთხვევებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ: მორფემათა ზღვარზე მორფონოლოგიური ცვლილებები ქართველურ ქვესისტემებში საერთო ფონემატური კანონზომიერების საფუძველზე მიმდინარეობს და იგი შეპირობებულია არაბუნებრივი ბგერათკომპლექსის მოშლის ტენდენციით.

ლაბიალურ კომპლექსთა ცვლილებანი

ქართველურ ქვესისტემებში **ვა**, **ვე**, **ვი** კომპლექსები შემდეგი ფონეტიკური ნაირსახეობებით რეალიზდება, კერძოდ:

ა) ვა (ჟა) > ო, ბ) ვე (ჟე) > ო / ო, გ) ვი (ჟი) > უ / ჟ.

ვა(ჟა)>ო გავრცელებულია: ფხოურ კილოებში, ქართლურში, ინგილოურში, ფერეიდნულში, რაჭულში, იმერულში, ლეჩხუმურში, გურულში, აჭარულში, სამცხურში, ტაოურში, მეგრულში... მაგ.: **ოყი<ვაყი**, **სიტყო<სიტყვა**, **სხო<სხვა** (ხევს.), **ყოლი<ყვაილი**, **ყოვი<ყვაი**, **ზოვი<ზვაი** (ფშ.), **ძოლი<ძვალი**, **გაგოგებინა<გაგოგებინა** (მოხ.), **ოჯშამი<ვაჯშამი**, **ცხორი<ცხვარი**, **უყორს<უყვარს** (მთ.-გულ.), **მარცოლი<მარცვალი**, **გადაუსომს<გადაუსვამს** (ქართლ.), **სომს<სვამს**, **ხოვი<ხვაი**, **შაუშო<შაუშვა** (კახ.), **ოჩქებ<ვაჩქებ**, **გოქავ<გვაქვს**, **იცომს<იცვამს** (ინგ.)... **წოგორთო<წაგორთო<წავგართვა**, **ცხორი<ცხვარი**, **ძოლი<ძვალი** (ფერ.)... **სხომის<სხვამის**, **იცომს<იცვამს**, **ჩასო<ჩასვა**, **გაუშო<გაუშვა** რაჭ. (ზ. რაჭ., გლოლ.), **სხოგან<სხვგან**, **მიართო<მიართვა** (იმერ.), **მეირთომს<მეირთვამს** (ლეჩხ.), **სხოგან<სხვგან** (გურ., აჭარ.), **უსომდა<უსვამდა**, **მარხო<მარხვა** (მესხ.), **ქობაი<ქვაბი** (ტაოური), **უყორს<უყვარს** “უყვარს”, **ლორანს<ლვარანს** “ყვირის”, **თოლი** “თვალი”, **ქორა<ქვარა** „მუცელი“ (მეგრ.)...

2. **ვე(ჟე)>ო** პროცესიც მეტ-ნაკლებად ყველა დიალექტში გამოვლინდება:

ქოლ<ქველ “მთლად, სრულად” (ხევს.), **ქოყანა/ხოყანა** “ქვეყანა” (ფშ.), **გოძანის** “გვეძანის”, **ჩონ** “ჩვენ” (მოხ.), **გოდვა** “გვედვა”, **ქოით** “ქვევით” (მთ.-გულ.), **უშოფს** “უშეფეს”, **ქოით** “ქვევით” (ქართლ.), **ნაკორჩხალი** “ნაკვერჩხალი”, **დაჩოული** “დაჩვეული” (კახ.), **გობარა** “გვებარა” (ფერ.), **შობოდა** “შვრებოდა”, **წოულობა** “წვეულება” (ზ.რაჭ., ქვ.რაჭ.), **ყოლიფერი** “ყველაფერი”, **მოყობა** “მოყვება” (იმერ.), **ახოვს** “ახვევს”, **სოლდება** “სველდება” (ლეჩხ.), **გუშოფს** “გაუშვებს, ჩოულება” “ჩვეულება” (აჭარ.), **შედლობენ** “შედღებენ” (იმერ.), **ქომოთ<ქვემოთ** (ლივან.), **ყოლი<ყველი**, **ქომო<ქვემო** (ტაოური - შ.ფუტკარაძე, 1995, გვ.16,31); **ჩონი<ჩვენი**, **ხოწნები<ხვეწნები** (ტაოური; მ.ცინცაძე, 2001).

ვე (ჟე)>ო დასტურდება ინგ., მოხ., ნაწილობრივ სამხრ. ქართლურსა და სამცხურ კილოებში: **კვერცხი<კორცხი** (ინგ.), **გვერდი<გორდი** (მოხ.), **ქვევრი<ქრვრი** (სამცხ.), **თვე>თო** (ქართლ.)...

3) **ვი (ჟი)>უ** შედარებით იშვიათია: **მშუდობა** “მშვიდობა”, **აკურდების** “აკვირდების” (მოხ.), **საკურველი** “საკვირველი” (მთ.-გულ.), **წუვი** “წვივი”, **ყოული** “ყვილი” (ქვ.ქართლ.), **გუთხრეს** “გვითხრეს”, **გუდვა** “გვიდვა” (ფერ.), **რასაკურველია** “რასაკვირველია”, **წუმა** “წვიმა” (რაჭ.-გლოლური, რივნისთაური), **გათხოული** “გათხოვილი”, **წუმს** “წვიმს” (იმერ.), **ღუნო** “ღვინო, ალუს ხე” “ალვის ხე” (ლეჩხ.)...

ვი (ჟი)>ჟ გვხვდება: ინგილოურში, მოხეურში, ნაწილობრივ სამცხურ-ჯავახურსა და ქვ. ქართლურში: **წჟმა** “წვიმა”, **გჟან**

“გვიან“ (ინგ.), “შუდი“ “შვილი“, გუთხრა “გვითხრა“ (მოხ.), კუცი “კვიცი“, ძმისთჳნ “ძმისთვიან“ (სამცხ.-ჯავახ.), წყული “წყვილი“ (ქვ. ქართლ.).⁵³

II. ბრუნვათა სისტემა

მეგრულ-ჭანურ-სვანურში თვისობრივად ერთგვარია ბრუნვათა სისტემა (როგორც ბრუნვის ნიშნები, ისე ბრუნების პროცესი). ცალკეულ ბრუნვებს განვიხილავთ სალიტერატურო ენასთან და სხვა დიალექტებთან მიმართებით.

სახელობითი ბრუნვის ნიშნის ალომორფები ქართველურ ენა-კილოებში არის: **ი/ა/0**, რომლებიც დიალექტების მიხედვით ასე ნაწილდება:

-ი/-ა ალომორფი ხმოვანფუძიან სახელებთან გამოვლინდება⁵⁴: ქართლურში, კახურში, ფშაურში, მოხეურში, თუშურში, ხევსურულში, მთიულურ-გუდამაყურულში, იმერულში, აჭარულში, გურულში, სამცხურში, ჯავახურში, კაკურში...

ქვემოიმერულში, ზემოგურულში, ლეჩხუმურში, მეგრულში, სვანურში **ა** ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებთან (გარდა ერთმარცვლიანი ფუძეებისა) სახ.ბრუნვის ნიშანი ერწყმის ფუძისეულ **ა-ს** და ბოლოკიდურად **-ე** გვაქვს: **აი>ეი>ეა>ე**:

ზ.გურ.: ბალანე, ბაბუე, ძამიე (ს. ულენტი); ლეჩხ.: იასონე, ვასილე, ტარიელე... (მ.ალავიძე, 1941, გვ.232); ქვ.იმერ.: ბეზიე, კალათე, ბიცოლე (კ.კუბლაშვილი, 1985, გვ.98); მართაიე, ყველე, ნუცაიე... (ქ.ძოწენიძე, 1973, გვ.233); დეიდე... (ო.კახაძე, 1981, გვ.183-192); სვან.: მარა+ი(ე?)>მარე კაცი“ (ვ.თოფურია, 1954, გვ.450); მეგრ.: ბამბე, ჭინკე, ტომარე, კართე...

მეგრულში ე-ს შეხორცება ფუძესთან დამთავრებულია: იგი ყველა ბრუნვაში გადაჰყვება სახელს (მოთხრ. ბამბე-ქ, მიც. ბამბე-ს... (ვ. თოფურია, 1954, გვ. 450).

⁵³ დასტურდება პირუკუ პროცესიც: **ო>ვა, ო>ვე, უ>ვი**. მაგ.: საბანავა<საბანაოდ (კახ.), ხორბალი> ხვარბალი, ღურბინდი>ღვირბინდი (მოხ.), ხორაგი>ხვარაგი (იმერ.)... ორაგული>ვერაგული (ხევს.), ოსი<ვასი, ორსული< ვარსული, გორგი<გივარგი, ნიორი<ნივარი, ეყოფა<ეყვავა (მთ.); გატყორცნა> გატყვარცნა... ტოტ(ლშხ.)>ტვეტ(ჩოლ.) “ხელი“, თხუმ (ლშხ.)>თხვიმ (ჩოლ.) “თავი“... მეგრ.: ჭვიტუა<ჭუტუა “მოჭუტვა“...

⁵⁴ ხმოვანფუძიან სახელებთან სახ. ბრუნვაში **ა/0** ალომორფთა გამოვლენა უკავშირდება ქართული ენის ფონემატური სისტემის დაწოლას მორფოლოგიურ სისტემაზე. ფონემატური კანონზომიერებით ერთი მორფემის ფარგლებში იკრძალება ხმოვანთა უშუალო თანმიმდევრობა (თ.უთურგაიძე, 1976, გვ.26). ენა მისწრაფვის, ხმოვანთკომპლექსი აქციოს ერთმარცვლოვან სემანტიკად: **აი>აი, აე>აი, ოუ>ოუ, ოა>ოა** (ტ.ფუტყარაძე, 1998).

იმერულ-გურულ-ლეჩხუმურში -ე ხმოვანი ძირითადად დაცულია სახელობით, ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში დასტურდება, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც ე დაბოლოებულიანი ფორმა ფუძედ გაიზარება და ე სხვა ბრუნვებშიც გაყვება: ბიცოლეი, ბიცოლემ, ბიცოლეს... (ბ.ჯორბენაძე, 1989, გვ.459).

აღნიშნული ერთგვაროვანი მოვლენები ლიტერატურაში ერთიან კონტექსტშია განხილული. ვ.თოფურიას აზრით, ამ საერთო მოვლენას საერთო საფუძველი აქვს: წარმოიშვა წმინდა ფონეტიკურ ნიადაგზე ასიმილაციის გზით უთუოდ სხვადასხვა დროს და სხვადასხვა გავრცელებულობით და ინტენსივობით (ვ.თოფურია, 1954).⁵⁵

სახელობითის ი ნიშანი ბოლოთანხმოვნიან სახელებთან ხშირად იკარგება და სახელი ფუძის სახითაა წარმოდგენილი. ეს მოვლენა განსაკუთრებით დამახასიათებელია სვანური და ფხოვური დიალექტებისათვის; გვხვდება, აგრეთვე, მეგრულში, ფერეიდნულში, კაკურში, ქართლურში... მაგ.: დიდ თოვლი (ფშ.); აქ ვალ აღარ გვაქვს... (ხევს.); კახელებ მთაში მიდიოდნენ (ქართლ.); ვარ წაუყონი (კაკური)... კოჩ მურს “კაცი მიდის“, ბომ ჭარუნს “ბიჭი წერს“ (მეგრ.)... ჭაშ აჭმე “ქმარი თიბავს“, ვან ავნი “ხარი ხნავს“ (სვან.).

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნული მოვლენა დახურული მარცვლისკენ ქართული ენის მიდრეკილებით არის ახსნილი (თ. უთურგაიძე, 1976, გვ. 132).

ამგვარად, სახელობითი ბრუნვის ნიშანი (**ი/ა/0**) საერთოა ყველა ქართველური ქვესისტემისათვის.

მოთხრობითი ბრუნვა სალიტერატურო ქართულში **-მა/-მ** ალომორფებით აღინიშნება. ქართველურ დიალექტებში მოთხრობითი ბრუნვა გაფორმებულია განსხვავებული ნიშნებით: **ქ** (მეგრ.-ჭან), **-ემ/-დ...** (სვან).

სპეციალურ ლიტერატურაში არქაული სამწიგნობრო ენისა და ქართველური კილოების მონაცემები ერთ კონტექსტში განიხილება.

ქართველური ერგატივის ნიშნის ძირითადი ალომორფი უკავშირდება ჩვენებითი **ნაცვალსახელისგან მომდინარე დეტერმინაციულ “მან“** მორფემიდან.

საყოველთაოდ გაზიარებული თვალსაზრისის მიხედვით, **-მა/-მ** სუფიქსი მომდინარეობს **მან III** პირის ნაცვალსახელისგან

⁵⁵ ამავე აზრს ავითარებენ მ.ქალღანი (1974) და ბ.ჯორბენაძე (1995).

(არნ.ჩიქობავა, 1939, გვ.168,173; გ.კლიმოვი, 1962, გვ.55; გ.დეტერსი, 1930, გვ.95).

ბ.კიკვიძისა და გ.მაჭავარიანის აზრით, სვანურშიც გვაქვს **მან/ამან** განმსაზღვრელი ნაწევარი, რომლისგანაც მიღებულია ერგატივის -ემ/-მ ნიშანი. ძველი ქართულის მოთხრობითისთვის დამახასიათებელი **ამან** ნაცვალსახელი უნდა აღდგეს სვანურ-ი -ემ/ნ ნიშნისთვისაც და **ამნემ** “ამან” ფორმის ფუძისთვისაც: *ამან>*ამან-ემ>ამნ-ემ; სადაც -ემ მეორეული დანართია (ბ.კიკვიძე, 1958, გვ. 91).

გ.მაჭავარიანის აზრით, ქართველურ ენათა დიფერენციაციის პერიოდში მოთხრობითი ბრუნვა გაფორმებული არ იყო. ქართველურ ენებში ეს ბრუნვა საერთო პრინციპის მიხედვით - ნაცვალსახელური წარმოშობის ელემენტების გამოყენებით გაფორმდა. მკვლევრის აზრით, სვანური -მ უშუალოდ არ მომდინარეობს ქართული -მან ნაწევარისგან; სვანურშიც არსებობდა ძველი ქართულის ტიპის “განსაზღვრელი ბრუნება” (მსაზღვრელი იყო *-ამან ჩვენებითი ნაცვალსახელისგან მომდინარე ნაწევარი); სუბსტანტივისა და პოსტპოზიციური ნაწევარის ერთად ბრუნების გამო, ენკლიტიკურად დართული ნაწილაკი შეერწყა სუბსტანტივს: *მარ-ად ა-მა-ნ(ა)/ე-მა-ნ(ა) > *მარამან/*მარემან > *მარამ/მარემ (გ.მაჭავარიანი, 1960, გვ. 102-103).

სარწმუნოა სვანურ კილოებში გამოვლენილი მან-იანი ერგატივის -მ ნიშნის ქართველურობა (ვიდრე მისი ადილური წარმომავლობა): სვანური ერგატივის -მ/-ემ წარმოიქმნა საერთოქართველური *მან/-იმან ნაწევარის ცვეთის გზით (როგორც სამწიგნობრო ქართულსა და ქართველურ ე.წ. სისინა კილოებში): მარა-იმან>მარემან>მარემან>მარემ.

მეგრ.-ჭან. ერგატივის -ქ სხვადასხვაგვარადაა ახსნილი:

ქ- სუფიქსი ი-გ-ი, ე-გ-ე ნაცვალსახელის ძირეულ გ-ს უკავშირდება: გ>ქ (არნ.ჩიქობავა, 1936, გვ. 173-174).

-ქ (<*გ<*გო) ზანურში იმავე ფუნქციის მქონე ელემენტია წარმომავლობით, რაც -ნ სუფიქსი ქართულში (შდრ., მა-ნ, ზან. მუ-ქ) (კ. გაბუნია, 1998, გვ. 38).

-ქ მომდინარეობს მტკიცებითი ქო ნაწილაკისაგან: სახელის ბოლოკიდურ პოზიციამში -ქო გამარტივდა (გაცვდა): -ქო>-ქ; შედეგად -ქ-მ დაკარგა დადასტურებითობის ფუნქცია, რის გამოც ფრაზაში ხელახლა გაჩნდა ქო ნაწილაკი; შდრ., ფრაზის დინამიკა: კოჩ ქო მორთუ>კოჩქ ქო მორთუ>კოჩქ ქომორთუ “კაც მოვიდა”

(ნაწილაკისგან აფიქსის წარმოქმნა სხვა ენებისთვისაც არ არის უცხო; ტ.ფუტკარაძე, 2008, გვ. 122).

ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ქართველური ერგატივის ფორმირება დაკავშირებულია **განსაზღვრულობის კატეგორიასთან**. დეტერმინირება ესაჭიროება მხოლოდ III პირს. სახელური ფუძის განსაზღვრა შესაძლებელი იყო როგორც ჩვენებითი ნაცვალსახელისგან მომდინარე -მან ნაწევართ, ასევე, დადასტურებითი -ქო მორფემილით: დადასტურებითობა და განსაზღვრულობა გარკვეულწილად გულისხმობს ერთმანეთს (ტ.ფუტკარაძე, 2008, გვ.123).

მიცემითი ბრუნვის მაწარმოებელი ძირითადი ფორმანტი ქართველურ ქვესისტემებში არის **-ს**:

წყალ-ს, წიგნ-ს, მზე-ს, ცა-ს... წყარ-ს „წყალს“, ოსურ-ს „ქალს“, ბოში-ს „ბიჭს“, ბჟა-ს „მზეს“, თუთა-ს „მთვარეს“ (მეგრ.); კოჩი-ს „კაცს“, ოსურ-ს „ქალს“, ბერე-ს „შვილს“, კუჩხე-ს „ფეხს“ (ჭან.); მარა-ს „კაცს“, ზურა-ს „ქალს“, ყელ-ს „ძაღლს“, ხოჩა-ს „კარგს“ (სვან.)...

მიცემითის **-ს** მორფემა შემდეგი ალომორფებით დასტურდება: **-ს, -სა, -ჰ, ე, (//-ეს, -ეჰ, -ეჰს), ც, 0**. ისინი ფონეტიკური ცვლილებით არის მიღებული.

ჰ<ს:რა ჰ<რას, ძმაჰ<ძმას (სამცხ.-ჯავახ.) (ბ.ჯორბენაძე, 1998, გვ.550).

ე<ს: ქართლურში, კახურში, ჰერულ კილოებში: ბზე-ე რალა-ე უზამ? (ქართლ.); იმა-ე უთხრა(კახ.); ენაე ნუ უგდეე „ენას ნუ იჩლექ, ფენავს სუფრაე, იწყოვენ სახელეე დაღმაე (ჰერ.).

-ს>-ჰ>ე// -ეს// -ეჰ// -ეჰს: ქართლ., მთიულ.: დე-დას>დედაჰ>დედაე/დედაეს/დედაეჰ/ დედაეჰს (ქართლ.), სიზმა-რას>სიზმარადს (მთიულ.). ამ შემთხვევაში **-ეს, -ეჰ, -ეჰს** რთული ბგეობა, რომელსაც შემართვა ე-სი აქვს, ხოლო დამართვა ს-ს ან ჰ-სი.

-ც<ს: მეგრულში (ი.ყიფშიძე, 1914, გვ.024; გ.კლიმოვი, 1962, გვ.69-70; ა.ლომთაძე, 1987, გვ.10); აგრეთვე გურულსა და აჭარულში (ს.ჟღენტი, 1936; ი.მეგრელიძე, 1938; შ.ნიჟარაძე, 1975). მაგ.: მეგრ.: უწუ მუში ცხენ-ც “უთხრა თავის ცხენს” (ხუბ. 218,33), კოჩი ქემეთხოზ ირემ-ც კაცი მისდევს ირემს“, პალურ-ც ქუჩანთუანც „პანლურს ურტყამს“ (ხუბ. 185,36). გურ.: წალ-ც<წალდ-ს, ვარ-ც<ვარდ-ს, სტუდენ-ც<სტუდენტ-ს... (ი.მეგრელიძე, 1938); გულ-ც<გულ-ს, წყალ-ც<წყალ-ს, სადილ-ც<სადილ-ს (გრ.იმნაიშვილი, 1966, გვ.250); აჭარ.: ბლავილ-ც... (შ. ნიჟარაძე, 1957, გვ.31).

0: კახ., ქართლ., აჭარ., ჯავახ., კაკ., იმერ., ლაშხ., ლენტ., მეგრ. დიალექტებში: ას ნაბიჯზე კვერცხ-0 არტყამდა, ირმე-0 ქამანდო იჭერდა (ქართლ.). პოლ-0 რეცხენ, ჩედიან ქორწილ-0 (კაკ.). ცხენ-0 საძოვარი მისცა, თათრებ-0 დაუძახა, ხურჯინ-0 პირი მოხსნა (ჯავახ.). მა-

ტყუარა ხალხ-0 ვერ იპონი იქა. ვექსილ-0 დოუწერდენ (ზ.იმერ.). მე-ზობლეფ-0 დუროგეს. კარდლეფ-0 მუაკალიეფ (ზ.აჭარ.), იმა-0 მოყვებიან (რაჭ.)...

მიცემითის ბრუნვა ქართველურ ქვესისტემებში ძირითადად ერთნაირად არის გაფორმებული.

ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ალომორფებია: **-ის/-ისა/-ისი, -ს/-სა/-სი, -იშ-ი/-შ-ი, -იფ (/იფს, -იფჰ), -ფს, -ფჰ, -იზ, -იწ, -ი, 0.**

ამათგან სამწიგნობრო ქართულში წარმოდგენილია **-ის/-ს/-სი/-ფს/0**, დასტურდება დიალექტებშიც. ნათ. ბრუნვის ნიშნის ალომორფები ასე ნაწილდება:

-ფს (ძვ. ქართულის მსგავსად) დასტურდება ხმოვანფუძიან სახელებთან ქართულში, ლეჩხუმურში, აჭარულში: მიარტყა ძუძუ-ფს თავზედა (ქართლ.), ურო-ფს (ლეჩხ.), აგვისტო-ფს თვეში (აჭარ.)...

-ის>-იჰ (სამცხ.-ჯავახ.): ხ-ის ძირი>ხ-იჰ ძირი, თავ-ის(ი) ქალი>თავ-იჰ ქალი (ბ. ჯორბენაძე, 1998).

-იფს, -იფჰ, -იჰ გვხვდება ალგეთის ხეობის ქართულში: ქალ-იფს-თვინა/ქალ-იფჰ-თვინა (თ.სარალიძე, 1978, გვ. 55).

-იფ (<ის/იშ)/ფ(<ს,შ) ალომორფები დასტურდება: ქართლ., კახ., მეგრ... მაგ.: პურ-იფ ჭამა, გზ-იფ პირად... (კახ.); ხემწიფ-იფ ცოლი (ქართლ.); ხოჯ-იფ თოლი “ხარის თვალი“, დლა-ფ სინთე “დღის სინათლე“ (მეგრ.)...

-იზ ვარიანტი გვხვდება -გან თანდებულთან: კაც-იზ-გან, იმ-იზ-გან, არაფრ-იზ-გან...

-იწ ვარიანტი გვაქვს მეგრულში -კალა/-კუმა „თან“ თანდებულის მეზობლად. ბრუნვის ნიშნისეული **შ** თანხმოვანი თანდებულისეული **კ** ბგერის გავლენით იცვლება და, ნაცვლად **შკ** კომპლექსისა, ვიღებთ **წკ** კომპლექსს, სადაც **წ** არის ნათ.ბრუნვის ნიშნის ფონეტიკური ვარიანტი: კოჩ-იშ-კელა>კოჩ-იწ-კელა “კაცთან“.

-ი (<-ის/-იშ) ალომორფი თითქმის ყველა ქართველურ დიალექტში გვხვდება. ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის თანხმოვანითი ელემენტი ხშირად იკარგება საზღვრულის წინამავალ თანხმოვანფუძიან და ფუძეუკვეცელ მსაზღვრელ სახელებთან, მაგ.: ისხამს წიფლ-ი ხეში, დაჯდა სუფრ-ი თავსაო, მაწვნ-ი ქილა (ქართლ.); მამლი-ნაყი თარაფში “მამლის დანაყივლებ მხარეში“ (კაკ.); პურ-ი ჭამა, სახლ-ი პატრონი, გზ-ი პირას (ჯავახ.); რუ-ი პირზე (კახ.)... ბებ-ი ცუხა “ბების სახლში“... სვან.: ვან-ი მუჭ „ხარის რქა“...

0 დასტურდება პრეპოზიციურ მსაზღვრელთან, აგრეთვე -თან, -თვის თანდებულების წინ (იმერ., ქართლ., მეგრ.): ქალი-

თვინ, ამი-თანა.. პურ ჭამად, პატრა ზმად თავ დააძებნელა მივ (ინგ.)... ბაბუ ცუდე (მეგრ.) “ბაბუის სახლი“... ზულა-პიჯი (<ზულამ პიჯი) (ჭან.) “ზღვის პირი“.

-იშ, -შ (<-ის,-ს) წარმოდგენილია ზანურ და სვანურ დიალექტებში. ზანურ-სვანური **-იშ/-შ** კანონზომიერი შესატყვისია **-ის/-ს** სუფიქსისა. **-იშ** — თანხმოვანფუძიან სახელებთან, **-შ** — ხმოვანფუძიანებთან⁵⁶: მეგრ.: კოჩ-იშ სახელი „კაცის სახელი“, ჯა-შ ცუდე „ხის სახლი“... ჭან.: კუჩხე-შ(ი) „ფეხის“, ორძო-შ(ი) „სკამის“, კატუ-შ-ი „კატის“... სვან.: ვან-იშ „ხარის“, ჟელ-იშ “ძაღლის“...

ჭერულში, ფშაურში, მოხეურში, კახურში, მეგრულში, ჭანურში ნათ. ბრუნვის **-ის** ნიშანს ემფატიკური დანიშნულებით შეიძლება **ი** ხმოვანი დაერთოს⁵⁷: კარ გააღეს კიდობნ-ის-ი, ჩამაღეს ქობი წყლ-ის-ი (ალიაბათ.). ღმერთ-ის-ი-ც სახელის ჭირიმენ, იმ ქალ-ის-ი-ც მალ დოვლათ ადღეს. ეფ ქალ ჩემ ზმ-ის-ი (<ზმ-ის-ი-ა) (კაკური); ძმ-ის-ი-ა, იმ დრო-ს-ი (მოხ.); არაფერ არ მესმის ამ ქვეყნ-ის-ი (ფშ.); ყამდა ორი ვაჟიშვილი, უმფროსი რვა წლ-ის-ი (კახ.)... კოჩ-იშ(ი) ცუდე „კაცის სახლი“, ქობალ-იშ(ი) ქვირი „პურის ფქვილი“ (მეგრ.)...

ქართველურ ქვესისტემებში ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ალომორფები საერთო ფონეტიკური კანონზომიერების საფუძველზეა მიღებული.

მოქმედებითი ბრუნვის ნიშნები ქართველურ დიალექტებში (გარდა სვანური კილოებისა)⁵⁸ ძირითადად სამწიგნობრო ქართულის მსგავსია. თავისებურებებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

ა) დიალექტთა ნაწილში (მთარაჭ., აჭარ., გურ., ჰერ.) ხმოვანფუძიან სახელებთან (თანხმოვანფუძიანების მსგავსად), გვაქვს **-ით (>-ით)**: რძე-ით, ერბო-ით, დილა-ით (მთარაჭ. — შ. ძიძი-

⁵⁶ ლაზურში ნათესაობითის ნიშნად -ს ალომორფიც დასტურდება (რ.ერკერტი, 1895, გვ.347; ჰ.აჭარია, 1899, გვ.69; ნ.მარი, 1910, გვ.12; გ.კარტოზია, 2005, გვ.78). გ.კარტოზიას აზრით, -ს ნიშნის ფორმები -შ ფორმანტიანი ნათესაობითის ფონეტიკურ ვარიანტს უნდა წარმოადგენდეს; ბოლოკიდურ პოზიციაში მუს (გ.კარტოზია, 2005, გვ.78-80).

⁵⁷ მეგრ.-ლაზ. ნათესაობითის -ი დაბოლოების შესახებ არსებობს სხვადასხვა თვალსაზრისი: 1) ნათესაობითის -ი ემფატიკურ ხმოვანია (არნ.ჩიქობავა, 1942, გვ.71). 2) ი ნანათესაობითარი სახელობითია (გ.კარტოზია, 2005, გვ. 63-83).

⁵⁸ სვანურ კილოებში მოქმ. ბრუნვა გაფორმებულია -ტშ/-შტ ალომორფებით: -ტშ - ხმოვნის მომდევნო პოზიციაშია: დინა-ტშ „ქალიშვილი“... -შტ - თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში (ამ შემთხვევაში შესაძლებელია შტ/ტშ მონაცვლეობა): ვან-შტ (ჯან-ტშ) “ხარით“... გ.თოფურიას აზრით, სვანური მოქმედებითი ბრუნვის ნიშნისათვის ამოსავალია საერთოქართვ. -თ სუფიქსი, კერძოდ: თ>მღ>შ (გ.თოფურია, 1997, გვ.113).

გური, 1970, გვ. 199); ტუნგო-მთ, ბალანა-მთ (აჭარ. — ჯ.ნოლაიდელი, 1972, გვ.69); ძმა-ით, და-ით მდიდარია, გათფა მზე-ით (გურ. — ს.ჟღენტი, 1936). შდრ. ძვ. ქართ.: წყარო-მთ/წყარო-მთა, ძუძუ-მთ/ძუძუ-მთა (ა.შანიძე, 1976, გვ.38-39; ი.იმნაიშვილი, 1957, გვ.145-146).

ბ) ქართლ., კახ., ჰერ., ზ.იმერ., მეგრ. დიალექტებში მოქმედებითი ბრუნვის **-ით** ალომორფი შეიძლება გავრცობილ იქნეს ი ემფატიკური ხმოვნით: კიბ-ით-ი აღიან, მოღის თოხის ძალ-ით-ი, ჩაი-რა ფერხ-ით-ი (ქართლ.). ჰერულში ხმოვანფუძიანებთან გვაქვს მთ-ი: დაამბეს ცხენი ზუა-მთ-ი “დააბეს ცხენი ძლით”, წასულ შინა-მთ-ი “წასულა შინიდან”...

ჭანურში **ი-ს** ნაცვლად **ე** ხმოვანია: კოჩი-თ-ე(ნ) „კაცით“, კუჩხი-თ-ე(ნ) „ფეხით“, არგუნი-თ-ე(ნ) „ნაჯახით“...

ჭანურში **-თ** გვაქვს ყველა სახელთან: ინჯილი ქვათ იფშუ “მარგალიტის თვლით აივსო”; ხოჯი დო საფანით ხონუმტეს “ხართა და სახნისით ხნავდნენ” (გ.კარტოზია, 2005, გვ.84).

გ) ჰერულში **-ით/-მთ > -ი/-მ**: ურმი ვზიდავთ „ურმით ვზიდავთ“... კრი ზედად „კარის ზედაით, ზემოდან“...

ვითარებითი ბრუნვის ნიშნებად დიალექტებში ძირითადად ის ალომორფებია წარმოდგენილი, რაც სალიტერატურო ენაში. **-ად/-ლ** ალომორფები თითქმის ყველა კილოში იხმარება.

ვითარებითი ბრუნვის ნიშნად სვანურ დიალექტებში ყოველგვარ სახელთან ერთადერთი სუფიქსი **-დ** გამოიყენება: ბაჩ-დ „ქვად“, დინა-დ „ქალიშვილად“, მარა-დ „კაცად“ (ვ.თოფურია, 1944, გვ.342-343; გ.კლიმოვი, 1962, გვ.80-84). ა<ად (ვ.თოფურია, 1956, გვ.32; თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი, 1956, გვ.183; ა.ონიანი, 1989, გვ. 209).

მეგრულში კანონზომიერი ფონემური შესატყვისობა გვაქვს: **-ოთ/-თ (<-ად/-ლ)**: თანხმოვანფუძიანებთან **-ო**, ხმოვანფუძიანებთან — **-თ**: დიდ-ო “დიდად”, ცხენ-ო “ცხენად”; ბალანა-თ “ბავშვად”, ჭითა-თ “წითლად”...⁵⁹

ვითარებითის ნიშნის დაყრუების პროცესი **დ>თ** თითქმის ყველა კილოში დასტურდება: კაც-ათ არ ვარგა, გლახ-ათ მიეჭკა (გურ.); გაგ ზანა საომრ-ათ, სანადირო-თ გამოვიდა (ქართლ.); სახელ-ათ, მინდვრ-ათ (ჯავახ.), სოფლ-ათ, ციხე-თ (კახ.); სანადირო-დ/თ (ჰერ.)...

⁵⁹ თანამედროვე ჭანურში ვითარებითი ბრუნვა არა გვაქვს, თუმცა დასტურდება ვითარებითი ბრუნვის ფორმები, როგორცაა: დიდო კაი „ძალიან კარგი“, მოთ “რატომ, რად”, მჯვეშოთ “ძველად”, ართოთ “ერთად”, ლაზუროთ “ლაზურად”; ა.ლომათაძე, 1986, გვ.112; გ.კლიმოვი, 1962, გვ.82-84; გ.კარტოზია, 2005, გვ.85). ამდენად, ეს ბრუნვა ჭანურისათვის პრინციპულად უცხო არ არის” (არნ. ჩიქო-ბავა, 1936, გვ. 17). საინტერესოა ჭანური მიმართულებითი ბრუნვის ფორმები: ჩქიმ-და, კოჩი-შა (<*კოჩი-იშ-და)... -და<ად-ა- (-ად ვით. ბრუნვის მაწარმოებელია).

ასევე, ვითარებითი ბრუნვის ნიშნად **-ა (<ად)** ალომორფი (ძველი ქართულის მსგავსად) გვხვდება შემდეგ კილოებში: ხევს., ფშ., ჰერ., მესხ., რაჭ., იმერ., გურ., აჭარ., იმერხ... მაგ.: ლუნეა და-ლეველ-ა თქონსა მაახლოვარ (ჰერ.); ამოიგავა მისი გვარეულობა ძირიან-ა (ჯავახ.); ის ლამაზ-ა იუბნებს (ფშ.)...

ამგვარად, ვითარებითი ბრუნვის ნიშნის მიხედვით ქართველური ქვესისტემები თითქმის არ სხვაობენ.

დანიშნულებითი ბრუნვა მიღებულია ნათესაობითი ბრუნვის ფორმისაგან ვითარებითი ბრუნვის ნიშნის დართვით (**იშ+ოთ**) (არნ.ჩიქობავა, 1936, გვ.54; ვ.თოფურია, 1937, გვ.182). მეგრულის დანიშნულებითი ბრუნვის (კოჩი-იშ-ო(თ) „კაცისთვის“, **ჯიმა-შ-ო(თ)** „ძმისთვის“) ფუძე (**კოჩი-იშ**, **ჯიმა-შ**) კანონზომიერი შესატყვისისა სალიტ. ქართულის ნათესაობითი ბრუნვის ფორმებისა (**კაც-ის**, **ძმ-ის**), ხოლო **-ოთ** სუფიქსი გენეტურად იგივე ნიშანია, რაც სალიტ. ქართულის ვითარებითი ბრუნვის **-ად**: კაც-ად (არნ.ჩიქობავა, 1936, გვ.54).

მეგრულის დანიშნულებითის ფორმა ზუსტი ფონეტიკურ-მორფოლოგიური ეკვივალენტია ხევსურული დიალექტის დანიშნულებითი ბრუნვის ფორმებისა: კაც-ის-ად, ძმ-ის-ად, ამხანაგ-ის-ად (არნ. ჩიქობავა, 1936, გვ. 52).

ვ.თოფურიაც დანიშნულებითს ნანათესაობითარ ვნებითად (ვითარებითად) მიიჩნევს. ნიმუშად მოჰყავს ხევს., ფშ., გურ., სვან. მსგავსი წარმოების ფორმები:

ხევს.: ერთ დღისად დაამზადებს (=ერთი დღისთვის).

ფშ.: ქმრ-ის-ად სახელის მძებნელი (=ქმრ-ის-თვის).

გურ.: იმ-იზ-ა არ გაქ ხეირი (იმ-იზ-ა < იმ-ის-და „იმ-ის-თვის“).

სვან.: მერმა ლადლ-იმ-დ ასდენიხ „მეორე დღისთვის დარჩებიან“ (ლადლ-იმ-დ = დღ-ის-ად).

სვანურში **-იშ-დ** დაბოლოებიანი ნანათესაობითარი ვითარებითი, ჩვეულებრივ, გადმოსცემს დანიშნულებითის მნიშვნელობას (მუ-ემ-დ „მამისთვის“, ლადლ-იმ-დ „დღისთვის“, ქალაქ-იმ-დ „ქალაქისთვის“, გუმ-იმ-დ „გულისთვის“ (ვ.თოფურია, 1937, გვ. 180-181; გ.კლიმოვი, 1962, გვ. 96).

ი-ზა დაბოლოებიანი ფორმები გვხვდება ლეჩხუმურშიც: მადლ-იზ-ა, მომავლ-იზ-ა, გილ-იზ-ა... (ბ.ჯორბენაძე, 1989, გვ.503).

ამგვარად, ფორმობრივ-სემანტიკური თვალსაზრისით მეგრულის დანიშნულებითი ფორმა იდენტურია სვანური და ფხოვური კილოების, გურულის, იმერულის, ლეჩხუმურის შესაბამისი ფორმებისა (შდრ. ნანათესაობითარი ვითარებითი კუთვნილებითი დანიშნულებით გამოიყენება ძველ ქართულშიც:

და ვქმნეთ სამი ტალავარი: ერთი შენდად, ერთ მოსსხად, ერთი ელიაძსად, მრკ. 9).

მიმართულებითი ბრუნვა იწარმოება ნათესაობითის ფორმისაგან **ა** (<და) ვითარებითის სუფიქსის დართვით: კოჩ-იშ-ა... ნაცვალსახელთან **-და** გვაქვს: ჩქიმ-და... მიმართულებითის ფორმაში ძირითადად წარმოდგენილია ვითარებითის **ა** ხმოვნითი ელემენტი (**ად>ა**), თანხმოვანი დაკარგული ჩანს (**-და** ნაცვალსახელთან შემონახულია).

მეგრულში **-და** სუფიქსიანი ფორმები მიმართულებას გადმოსცემენ: სქან-და „შენსკენ, შენთან“, ჩქინ-და „ჩვენსკენ, ჩვენთან“... თანამედროვე სალიტ. ქართულსა რიგ დიალექტებში დანიშნულებას გამოხატავს: შენ-და „შენთვის“... იმიზა „იმისთვის“...

არქაულ ქართულში **და>ა** სუფიქსიანი ფორმები (ჩემ-და, მათ-და/მათ-ა, მის-ა...) გადმოსცემს როგორც კუთვნილებით დანიშნულებას, ისე მიმართულებას (თ. შარაძენიძე, 1956, გვ. 425-426; ი. იმნაიშვილი, 1957, გვ. 493-495; ა. მარტიროსოვი, 1968, გვ. 114-119). მიმართულებითობის ფუნქცია დაკარგა, შემოინახა კუთვნილებითი დანიშნულებისა, მეგრულში კი **და>ა** სუფიქსიანი ფორმებს მიმართულებითობის ფუნქცია შემორჩათ. კუთვნილებითი დანიშნულების ფუნქცია კი **ო(თ)** (<***-ად**) სუფიქსიანმა ფორმამ შემოინახა.

არქაულ ქართულში **-ისა/-ძსა/-თა** დაბოლოებიანი სახელური ფორმები მიმართულებითი ბრუნვის (ლატივის) ფუნქციით გვხვდება: მივედით ესავისა, ძმისა შენისა... სუკუდილი მიავლინა უფალმან იაკობისა.⁶⁰

ამგვარად, მიმართულებითი ბრუნვა მეგრულისთვის სპეციფიკურ მოვლენას არ წარმოადგენს, არამედ იგი საერთოქართველური მოვლენაა. ნანათესაობითარი ვითარებითის ფორმა თავიდან მიმართულებითობისა და კუთვნილებითი დანიშნულებითობისთვის საერთო (საზიარო) ფორმა იყო. მისი დიფერენციაციის

⁶⁰ მკვლევართა ნაწილი (ა. შანიძე, 1976, გვ. 213; ც. ქურციკიძე, 1960, გვ. 31-42; ა. ჭინჭარაული, 1960, გვ. 14-15) ამგვარ ფორმებს ნათესაობით ბრუნვად მიიჩნევს, ნაწილი (ვ. თოფურია, 1956; ი. იმნაიშვილი, 1957, გვ. 379-80; ა. მარტიროსოვი, 1968, გვ. 169-178) ნანათესაობითარ ვითარებითად თვლის. თ. უთურგაიძე მათ ბრუნვის ფორმად არ მიიჩნევს, რადგან ფუნქციით ზმნიზედებია და არაფერი აქვთ საერთო ბრუნვის პარადიგმასთან (თ. უთურგაიძე, 1986). ვ. თოფურიას აზრით, მიმართულებითი ბრუნვა ნაგენეტივარი ნაწილაკიანი ბრუნვაა: ა (<და) ნაწილაკი.

შედგადაა ჩამოყალიბებული კუთვნილებითი დანიშნულებისა და მიმართულების გადმომცემი ბრუნვები ძველ ქართულში (კაც-ის-ად/კაც-ის-ად-ა... ჩემ-და, უფლ-ის-ა), დიალექტებში (კაც-ის-ად, ჩემ-და, კაც-იზ-და > კაც-იზ-ა), სვანურსა (ლადლ-იშ-დ „დღისთვის“) და მეგრულ-ჭანურში (კოჩ-იშ-ო(თ) „კაცისთვის“, ჩქიმდა „ჩემთან“, კოჩ-იშ-ა „კაცთან“).

III. მწკრივთა წარმოება

ქართველურ ენა-კილოებში თვისობრივად ერთგვარია ზმნური სისტემა (პირისა და რიცხვის ნიშნები; ძირითად მწკრივთა წარმოება, ზმნური ყალიბები...).

ყველა ის მწკრივი, რომელიც თანამედროვე ქართულ სამწიგნობრო ენაშია, გვაქვს ქართველურ დიალექტებშიც.

I სერიის მწკრივთა წარმოების პრინციპი ქართველურ კილოებში ძირითადად სალიტერატურო ქართულის მსგავსია: საყრდენად გამოყენებულია აწმყოს ფუძე. ყოველი მომდევნო ფორმისთვის ამოსავალია წინამავალი ფორმის სტრუქტურა, რომელსაც, თავის მხრივ, დაერთვის ახალი ფორმანტი:

სალიტ. ქართ. აგ-ებ-ს — აგ-ებ-და — აგ-ებ-დ-ე-ს

მეგრ. ოგ-ან-ს — ოგ-ან-დ-უ — ოგ-ან-დ-ა-ს

სვან. აგ-ემ — აგ-ამ-დ-ა — აგ-ამ-დ-ე-ს

აწმყოს ფუძის წარმოება განსხვავებულია სხვადასხვა ტიპის (გარდამავალ, გარდაუვალ) ზმნებში; ამ მხრივაც ქართველური კილოები არსებითად ერთნაირ ტენდენციას ამჟღავნებენ.

ა) გარდამავალ ზმნათაგან თავისებურებებით ხასიათდება თემისნიშნისანი ფორმები. თემის ნიშნის დართვა-დაურთველობის თვალსაზრისით ქართველური ქვესისტემები 2 ჯგუფად დაიყოფა:

ა) დიალექტები, რომელთაც მარტივფუძიანი, უთემისნიშნო წარმოება ახასიათებს (იგულისხმება იმ რიგის ზმნები, რომლებმაც შემდგომ **-ავ** თემის ნიშანი დაირთეს **II** სერიის ფუძისგან განსახვავებლად);

ბ) კილოები, რომელთა ფუძე თემის ნიშნით არის გართულებული.

აწმყოს ფუძე განსაზღვრავს **I** სერიის დანარჩენ ფორმათა სტრუქტურას; თუ აწმყოს ფუძე უთემისნიშნოდ იწარმოება, ასევე თემის ნიშნის გარეშე იქნება უწყვეტელსა და კავშირებითშიც. და პირიქით, თუ ზმნა აწმყოში თემის ნიშანს დაირთავს, თემის ნიშნით იქნება წარმოდგენილი მისგან ნაწარმოები სხვა მწკრივის ფორმებიც.

არქაული (უთემისნიშნო) წარმოება უმთავრესად ფხოურ და სვანურ კილოებშია დაცული: ხევს.: ხ-ვოც-ს “ხოცავს”, ს-თიბ-ს “თიბავს”, ლ-რეცხ-ს “რეცხავს”... სვან.: ლნტ. ა-ვნი-ი, ა-ვნი-ი “ხნავს”...

მედარებით იშვიათია სხვა კილოებში: თეს-ს, რეცხ-ს (იმერ.); ხვეტ-ს, ჩხნ-ს, კეტ-ს (გურ.); თიბ-ს, ნაყ-ს (აჭარ.); რეცხ-ს, კეპ-ს (რაჭ.)...

თემისნიშნის წარმოება დამახასიათებელია ქართლ., კახ., ინგ., სამცხ., ჯავახ., იმერ., ლეჩხ., გურ., აჭარ., მეგრ., ჭან. კილოებისათვის, მაგ.: ვ-წერ-ავ (ქართლ., კახ...), ვ-წერ-ამ (ჯავახ.), პ-ჭარ-უნ-ქ (მეგრ.), ვ-ჭარ-უფ/უმ (ჭან.) „ვწერ“.

მეგრულსა და ჭანურში უნიფიკაცია დამთავრებულია: ყველა გარდამავალი ზმნა თემისნიშნისაა. სხვა დიალექტებთან შედარებით, მეგრულ-ჭანურში პროცესი შორს არის წასული და აწმყო-წყვეტილის ფუძეთა განსხვავებას მთლიანად თემის ნიშნის დართვა-დაუთველობა განსაზღვრავს: ჭარ-უნ-ს „წერს“ (აწმყო)>დო-ჭარ-უ „დაწერა“ (წყვეტილი), ხანტ-უნ-ს „ხატავს“ (აწმყო)>დო-ხანტ-უ „დახატა“ (წყვეტილი).

სალიტერატურო ენაში გარდამავალი ზმნები აწმყოს მწკრივში სპეციალურ ნიშანს არ დაირთავენ. ასეა დიალექტთა დიდ ნაწილში.

სვანურ კილოებში აწმყოს ფუძე დასრულებულია **ი, ე, ა** ნიშნებით, ან კიდევ უნიშნოდაა წარმოდგენილი: ახტ-პ-თ-ი „ხატავს“, ამარ-ე „ამზადებს“, ხაყ-ა „ჰყავს“, აგემ „აგებს“, იკედ „იღებს“...

მეგრულში აწმყოში ზმნას (როგორც გარდამავალს, ისე გარდაუვალს) მხ. რიცხვის I და II პირში დაერთვის დაერთვის **ქ**-სუფიქსი. ჭანურში გარდამავალი ზმნები რაიმე მაწარმოებელს არ დაირთავს. უღლების ნიმუში:

მეგრული

მხ. რიცხვი

მრ. რიცხვი

ვ/პ-ჭარ-უნ-ქ “ვწერ”	ვ/პ-ჭარ-უნ-თ “ვწერთ”
ჭარ-უნ-ქ “წერ”	ჭარ-უნ-თ “წერთ”
ჭარ-უნ-ს “წერს”	ჭარ-უნ-ა(ნ) “წერენ”

ჭანური

პ-ჭარ-უფ/უმ “ვწერ”	პ-ჭარ-უფ/უმ-თ “ვწერთ”
ჭარ-უფ/უმ “წერ”	ჭარ-უნ-უფ/უმ-თ “წერთ”
ჭარ-უფ/უმ-ს “წერს”	ჭარ-უნ-უფ/უმ-ა(ნ) “წერენ”

ბ) გარდაუვალ ზმნებს აწმყოს მწკრივში სალიტერატურო ქართულში სპეციალური მაწარმოებელი აქვს: I-II პირში დაერთვის **-ი** სუფიქსი, მესამეში დაკარგულია (ა-ს გამო): ვ-თბებ-ი (Iბ.), თბებ-ი (IIბ.), თბებ-ა (IIIბ.)... შდრ. ძველ ქართული: გან-ტფ-ებ-ი-ს...

არქაული ვითარება დაცულია ფხოურ კილოებში: დგ-ებ-ი-ს “დგება”, ე-ხვევ-ი-ს “ეხვევა”, კეთდ-ებ-ი-ს “კეთდება”... სხვა დიალექტები:

იმალ-ვ-ი-ს “იმალება”, ენატრ-ებ-ი-ს “ენატრება” (რაჭ.); იხარშ-ვ-ი-ს “იხარშება”, იბ-მ-ი-ს “იბმება” (აჭარ.)... იხილ-ი-ს “იხილება”, იკითხვის “იკითხება = ისწავლება” (იმერხ.), იყიდ-ვ-ი-ს “იყიდება”, იჭ-მ-ი-ს “იჭმება” (მაჭახლ.) (შ.ფუტყარაძე, 1995, გვ.13, 27).

მეგრულში გარდაუვალი ზმნები, გარდამავალთა მსგავსად, აწმყოს I-II პირში დაირთავს **ქ** სუფიქსს:

მხ. რიცხვი

მრ. რიცხვი

ვ/პ-ტიბუ-ქ “ვთბები”	ვ/პ-ტიბუ-თ “ვთბებით”
ტიბუ-ქ “თბები”	ტიბუ-თ “თბებით”
ტიბუ-(ნ) “თბება”	ტიბუ-ნ-ა(ნ) “თბებიან”

ჭანურში **ქ** სუფიქსის ნაცვლად წარმოდგენილია **-რ**:

პ-ტუბუ-რ “ვთბები”	პ-ტუბუ-თ “ვთბებით”
ტუბუ-რ “თბები”	ტუბუ-თ “თბებით”
ტუბუ-ნ “თბება”	ტუბუ-ნ-ან “თბებიან”

მეგრულში **ქ**-სუფიქსი ყოველგვარ ზმნას მოუდის, ჭანურში კი **რ**-მხოლოდ გარდაუვალ ზმნათა გარკვეული ჯგუფისთვის არის დამახასიათებელი.

მეგრულ-ჭანური **ქ**, **რ**-სუფიქსების წარმოშობისა და ფუნქციის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვა თვალსაზრისია გამოთქმული:

ჭანური **რ**- და მეგრული **ქ**-სუფიქსები ერთმანეთს შეიძლება დაუკავშირდეს მორფოლოგიური ფუნქციის მიხედვით (არნ.ჩიქობავა, 1936, გვ. 112, 115, 135).

მეგრ. **ქ**- და ჭან. **რ**- ერთი და იმავე წარმოშობის სუფიქსებია. მათ, ისევე როგორც მეშველ ზმნებს აფხაზურსა და ყაბარდოულში, ეკისრებოდათ სტატიკურობის, მდგომარეობის, არსებობის აღნიშვნა. **ქ**- და **რ**-სუფიქსები ორე(ნ) „არის“ მეშველი ზმნის ნაშთს წარმოადგენს (ქორენ>ქო ნაწილაკდართულს მეგრულში და უამნაწილაკოდ ჭანურში), რომელიც მეგრულში ზმნას, ქართული ზმნის მსგავსად, I თურმეობითში უნდა დართოდა. აქედან უნდა იყოს ის გადასული აწმყოში — ჯერ სტატიკურ ვნებითში და შემდეგ საშუალო გვარის გარკვეულ ზმნებში (ქ.ლომთათიძე, 1946, გვ.134).

მეგრ. **ქ**- მიღებული უნდა იყოს მტკიცებითი **ქო** ნაწილაკისაგან ხმოვნის დაკარგვით, რის შედეგადაც ენკლიტიკურად შეუერთდა ზმნურ ფორმას: **ქო-ვ-ჭარუნ-ქ<ქო-ვ-ჭარუნ-ქო...** (ტ.ფუტყარაძე).

უწყვეტლის მწკრივი ქართველურ ქვესისტემებში ერთნაირი წესით იწარმოება: საყრდენად იყენებს აწმყოფუძეს, რომელსაც დაერთვის მწკრივის სავრცობი და ნიშანი. **-დ** სუფიქსი საერ-

თოა ყველა ქართველური კილოსათვის. მწკრივის ნიშნების მხრივ გარკვეული თავისებურებები შეიმჩნევა (განსაკუთრებით სვანურ კილოებში).

სალიტერატურო ქართულში როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებს უწყვეტლის I-II პირში მწკრივის ნიშნად დაერთვის -ი სუფიქსი (III პირში იკარგება). მწკრივის სავრცობად გარდამავალ ზმნებთან -დ სუფიქსი გვაქვს: ვ-წერ-დი, წერ-დი, წერ-დ-ა...

ასევე იუღლებს -ავ, -ამ თემისნიშნის ზმნები თანამედროვე სალიტერატურო ენაში: ვ-კლ-ავ-დი, კლ-ავ-დი, კლ-ავ-დ-ა... შდრ. ძვ. ქართ.: ვ-კლ-ევ-დი(ი), კლ-ევ-დი(ი), კლ-ვ-ი-დ-ა...

ღიალექტებში -ავ, -ამ თემისნიშნის ზმნები განსხვავებულად იწარმოება:

ა) ქართლ., კახ., ჰერ., მოხ., მთ.-გულ., ფშ., იმერ. ღიალექტებში -ავ, -ამ უცვლელია: კლ-ავ-ს>კლ-ავ-დ-ა, აბ-ამ-ს>აბ-ამ-დ-ა...

ბ) ხევს., თუშ., მოხ., ქართლ., ფერ., იმერ., რაჭ., აჭარ., სამცხ., ჯავახ., იმერხ., ლივან., მაჭახლ. კილოებში -ავ, -ამ > -ევ, -ემ: კლ-ავ-დ-ა>კლ-ევ-დ-ა, აბ-ამ-დ-ა>აბ-ემ-დ-ა... რწყ-ევ-დ-ა, თიბ-ევ-დი (იმერხ.), კერ-ევ-დი-თ, ხარშ-ევ-დი-ენ(მაჭახლ.), ვხნ-ევ-დი-თ, აბ-ემ-დ-ა(ლივან.) (შ.ფუტყარაძე, 1995).

გ) გურ., აჭარ., მაჭახლ., ზ.რაჭ. კილოებში -ავ>-გ: კლ-ავ-ს>კლ-გ-ი-დ-ა, ხატ-ავ-ს>ხატ-გ-ი-დ-ა... გურულსა და მაჭახლურში -ევ-დ, -ემ-დ>ვ-ი-დ, მ-ი-დ სამივე პირში დასტურდება: ვასხ-მ-ი-დ-ი-თ, იც-მ-ი-დ-ა (მაჭახლ.) (შ.ფუტყარაძე, 1995, გვ.27); ვ-მალ-გ-ი-დ-ი (გურ.)...

თემის ნიშნითა გადაბგერება გავრცელებულია სვანურ კილოებშიც, დასტურდება ე>ან: აგემ„აგებს“>ავამ-დ-ა„აგებად“, აბ-ემ„აბამს“>აბამ-დ-ა„აბამდა“... (ბ.ჯორბენაძე, 1995, გვ.379-382).⁶¹

⁶¹ მკვლევართა ნაწილი ფიქრობს, რომ -ევ და -ემ არის თემის ნიშნები, რომლებიც ენაცვლება -ავ, -ამ ნიშნებს, ე.ი, თემის ნიშნითა მონაცვლეობასთან გვაქვს საქმე (არნ. ჩიქობავა, 1948, გვ. 98-100); ნაწილი კი -ევ, -ემ ნიშნებს ფონეტიკურ ნიშნად ხსნის: დ-ს მომდევნო ი იმსგავსებს ა-ს ნაწილობრივ და ე-დ აქცევს: კლ-ავ-დი-თ>კლ-ევ-დი-თ. პროცესი ჯერ მრ.-ის ფორმაში განხორციელდა, შემდეგ კი ანალოგიით მხოლოდითი გადავიდა (ლ.კიკნაძე, 1957, გვ.317-344).

კლ-ვ-ი-დ-ა ტიპის ფორმებში ი თანხმოვნათვასაყარი ხმოვანი უნდა იყოს, რომელიც მას შემდეგ გაჩნდა, რაც III სუბ. პირის ნიშნებმა შეკუმშეს თემის ნიშნები. ა ხმოვნის ამოღების შემდეგ თავი მოიყარა რამდენიმე თანხმოვანმა, რომელთა გასათიშად განვითარდა ი (ი.იმნაიშვილი, ვ.იმნაიშვილი, 1996, გვ.128).

მეგრულ-ჭანურშიც, გარდამავალ ზმნებს I-II პირში მხ. და მრ.-ში ი დაერთვის, სავრცობად კი მეგრულში -დ სუფიქსი გამოიყენება, ჭანურში დ>ტ:

მეგრული
ვ/პ-ჭარ-უნ-დი “ვწერდი” ვ/პ-ჭარ-უნ-დი-თ “ვწერდით”
ჭარ-უნ-დი “ვწერდი” ჭარ-უნ-დი-თ “წერდით”
ჭარ-უნ-დი-უ “წერდა” ჭარ-უნ-დე-ს “წერდნენ”

ჭანური
პ-ჭარ-უმ-ტი-ი “ვწერდი” პ-ჭარ-უმ-ტი-ი-თ “ვწერდით”
ჭარ-უმ-ტი-ი “ვწერდი” ჭარ-უმ-ტი-ი-თ “წერდით”
ჭარ-უმ-ტი-უ “წერდა” ჭარ-უმ-ტი-ეს “წერდნენ”

-დ უწყვეტლის მაწარმოებელი ძირითადი სუფიქსია სვანურ კილოებში; იგი უმთავრესად ი-ზე დაბოლოებულ ზმნებთან არის წარმოდგენილი: ა-ვნ-ი-დ-ა „ხნავდა“... I-II პირში დ-ს ემატება -ან (ბზ., ლნტ. ხუ-ა-ვან-დ-ან „ვნავდი“), -ანგჷ (ბეჩ.: ხუ-ა-ვნ-იდ-ანგჷ) ელემენტები.

ხუ-ა-ხტ-ან-დ-ან („ხუახატ-ან-ი+დანს) „ვხატავდი“ ლ-ა-ხტ-ან-და-დ „ვხატავდით“
ხუ-ა-ხტ-ან-და-დ „ხატავდი“ (ექსკლ.)
ხ-ა-ხტ-ან-და-დ „ხატავდით“
ა-ხტ-ან-დ-ა „ხატავდა“ ა-ხტ-ან-და-ხ „ხატავდნენ“.

ბ) გარდაუვალ ზმნებს უწყვეტლის მწკრივის ნიშნად იგივე -ი სუფიქსი მოუღის, ხოლო სავრცობად — -ოდ/-დ. -დ გვხვდება უყვარს ტიპის ზმნებთან: უყვარ-დ-ა, სძულ-დ-ა... -ოდ — ვნებითის ფორმებთან: თბებ-ოდ-ა, ჯდება-ოდ-ა...

შდრ. ძველ ქართულში -ოდთან ზმნებს უწყვეტლის I-II პირში (მხ. და მრ. რიცხვში) მწკრივის ნიშნად -ე სუფიქსი მოუღით: ვ-ტირ-ოდ-ე, ს-ტირ-ოდ-ე...

არქაული ვითარება შემონახულია თუშურში: ვაპირებ-დ-ე „ვაპირებდი“, აპირებ-დ-ე „აპირებდი“.

მეგრულში გარდაუვალ ზმნებთანაც -დ სავრცობი გვაქვს. ტიბ-უ-დ-უ “თბებოდა” ჭარ-უ-დ-უ “ეწერა“... (ი.ყიფშიძე, 1914, გვ.071-072; არნ.ჩიქობავა, 1937, გვ. 112; 1948, გვ.107; გ.როგავა, 1954, გვ.82; გ.მაჭავარიანი, 1959; კ.დანელია, 1976, გვ.169-170; რ.შეროზია, 1981, გვ. 203).

-დ სავრცობი უწყვეტლის ფორმაში გვხვდება სვანურ კილოებშიც: ხუ-ა-ყურ-დ “ვიწეკი”, ხ-ა-ყურ-დ “იწეკი”, ა-ყურ-დ-ა “იწვა“...

აწმყოს კავშირებითი იწარმოება უწყვეტლის ფუძისაგან შესაბამისი სუფიქსის დართვით. ერთნაირად აწარმოებს ყველა ტიპის ზმნა. სალიტერატურო ქართულში აწმყოს კავშირებითს ერთადერთი -ე სუფიქსი დაერთვის: ვ-წერ-დ-ე, ვ-მალ-ავ-დ-ე, ვ-თბ-

ებ-ოდ-ე, ვი-ჯდ-ე... შდრ. ძველ ქართული: -**ლ** სავრცობიანებთან ყოველთვის -**ე** იხმარება, ხოლო -**ოდ** სუფიქსიანებთან **ი** სუფიქსი (ა.შანიძე, 1927, გვ.117-118; ა.შანიძე, 1945, გვ.835-844).

ღიალექტებში კავშირებითის მწკრივთა წარმოების თვალსაზრისით მეტ-ნაკლებად განსხვავებული ვითარებაა:

ხევსურულში კავშირებითის ნაკვთთა მაწარმოებლად ერთადერთი -**ა** სუფიქსი გამოიყენება: ჩეჩ-დ-ა-ს “ჩეჩდეს”, წერ-დ-ა-ს “წერდეს”... მხ.რ. I-II პირში **ა>ი/გ**:

ვ-ჩეჩ-დ-ა/გ/ი “ვჩეჩდეს” ვ-ჩეჩ-დ-ა-თ “ვჩეჩდეთ”

ჩეჩ-დ-ა/გ/ი “ჩეჩდეს” ჩეჩ-დ-ა-თ “ჩეჩდეთ”

ჩეჩ-დ-ა-ს “ჩეჩდეს” ჩეჩ-დ-ა-ნ “ჩეჩდენ” (ა.ჭინჭარაული, 1960).

ხევსურულის იდენტური ვითარება გვაქვს ჭანურში, სადაც ასევე კავშირებითის -**ა** სუფიქსი ერთადერთია.

პ-ჭარ-უმ-ტ-ა “ვწერდეს” პ-ჭარ-უმ-ტ-ა-თ “ვწერდეთ”

ჭარ-უმ-ტ-ა “წერდეს” ჭარ-უმ-ტ-ა-თ “წერდეთ”

ჭარ-უმ-ტ-ა-ს “წერდეს” ჭარ-უმ-ტ-ა-ნ “წერდენ”

მეგრულში I კავშირებითის მაწარმოებლად -**ა**, -**ე** ნიშნები გამოიყენება. მხ. რიცხვის I-II პირში პარალელურად წარმოდგენილია -**ა/-ე** ნიშნები. მხ. რიცხვის III პირსა და მრ. რიცხვის სამივე პირში -**ა** სუფიქსი იხმარება (ი.ყიფშიძე, 1914, გვ.065-067; არნ.ჩიქობავა, 1936, გვ.140):

ვ/პ-ჭარ-უნ-დ-ა/ე “ვწერდეს” ვ/პ-ჭარ-უნ-დ-ა-თ “ვწერდეთ”

ჭარ-უნ-დ-ა “წერდეს” ჭარ-უნ-დ-ა-თ “წერდეთ”

ჭარ-უნ-დ-ა-ს “წერდეს” ჭარ-უნ-დ-ა-ნ “წერდენ”

არნ.ჩიქობავას აზრით, კავშირებითის “-**ა** უნდა იყოს ქართულში კავშირებითის მაწარმოებელი ძირითადი სუფიქსის -**ე**-ს კანონზომიერი შესატყვისი... -**ეე** უნდა იყოს ფონეტიკურად გამარტივებული დამხმარე სიტყვა **ერე** რომ (არნ.ჩიქობავა, 1936, გვ.139-140). არნ.ჩიქობავას მოსაზრებას იზიარებს გ. როგავა (1945, გვ.647). გ.კარტოზიას მტკიცებით, **ე**-ნიანი ფორმები მიღებულია **ა**-ნიან ფორმებზე **ინი** კავშირის დართვით. ამ შემთხვევაში შემდეგი ფონეტიკური პროცესი იგულისხმება: ბჭარუნდ-ა-ინი>ბჭარუნდ-ეინი>ბჭარუნდ-ეინი>ბჭარუნდ-ენი (გ.კარტოზია, 1958, 231).

სვანურ კილოებში I კავშირებითის მაწარმოებლად დასტურდება -**ე**დ, -**დ**ე (ბზ.), -**ადე**, -**იდე** (ბქვ.), -**დე**, -**გდე** (ბქვ., ქვ.სვან.) სუფიქსები.

I კავშირებითის ყალიბია: **ნამყო უსრულის ფუძე + ე**. -**დ**-ს შემცველი ნიშნები დაიშლება ასე: -**დ** (ნამყო უსრულის ფორმანტი) + -**ე** (კავშირებითის ნიშანი). -**ე** სუფიქსი დასტურდება

(ბალსზემოურში ხშირად მოკვეცილია): უშგ. **ა-მარ-ე-დ-ე**-ს, ბქვ. **ა-მარ-ა-დ-ე**-ს, ლშხ. **ა-მარ-დ-ე**-ს „ამზადდეს“ ბზ. **ა-მარ-ე-დ-ს**...

ბზ. -**ე**დ/-**დ**ე ფორმანტების შესახებ ვ.თოფურია აღნიშნავს: **ე** სუფიქსიან ზმნებზე დართული -**ე**დ მიღებულია ბოლოკიდური **ე**-ს მოკვეცივით, რამაც გამოიწვია წინა **ე**-ს დაგრძელება: *ამჩე-დე-ს „აბერდეს“ > ამჩე-ს. ამ ფორმათა ანალოგიით უნდა იყოს მიღებული აკლანტე-დე-ს ტიპის ფორმები, სადაც -**დ**ე ცალკე ფორმანტად იქნა მიჩნეული (ვ. თოფურია, 1967, გვ. 112).

მყოფადის მწკრივის წარმოების პრინციპი ქართველურ ენა-კილოებში იდენტურია; გამოიყენება:

1. **ზმნისწინი + აწყო**, რომელიც მყოფადის მწკრივის ყველაზე გავრცელებული სახეა: ქართლ., კახ.: წერავს - დაწერავს... თუშ.: კეთდებ(ის) - გაკეთდებ(ის)... ხევს.: რეცხს - გაღრეცხს, შჭრი - და-შჭრი; ინგ.: ლოჯერ „დავიჭერ“, ჩადომს „ჩაიცვამს“, გაწცლუ „გავცვლი“... ფერ.: ჩაიკმენ, დაიხოვენ; ჭან.: ფათხუმთ - დოფათხუმთ „გავფერთხავთ“, პტკამუმთ - დოპტკამუმთ „დავტკეპნით“... მეგრ.: ჭარუნს - დოჭარუნს „დაწერს“, ხანტუნს - დოხანტუნს „დახატავს“... სვან.: ავნი - აღვანი „დახნავს“, ახტუთი - აღხატუთი „დახატავს“, ახზუთი - ახზავუთი „დახზავს“...⁶²

2. **ფორმათა შენაცვლება**ც საერთოქართველური მოვლენაა. მაგ.: მუშაობს - იმუშავებს, მღერის - იმღერებს; ინგ.: უნადირევ „ვინადირებ“, უცხოვრევ „ვიცხოვრებ“... მეგრ.: მუშენს „მუშაობს“ - იმუშენს „იმუშავებს“, ლალატენს „ლალატობს“ - ულალატენს „ულალატებს“, ორე „არის“ - იყუაფუ/იყი - „იქნება“, არქენს „აძლევს“ - მეჩანს „მისცემს“... სვან.: ლი „არის“ - ირი/ირა „იქნება“, ესლუა/ესლუე „მიაქვს“ - აძესგი „წაიღებს“...

3. ჭანურში მყოფადის წარმოების ძირითად ტიპს წარმოადგენს **კავშირებითის ფორმაზე მეშველი ზმნის დართვა**, რაც კილოკავების მიხედვით განსხვავებულია. ხოფურში II კავშირებითის ფორმას დაერთვის **უნონ** „უნდა“ მეშველი ზმნა: მხ. რიცხვი: ბ-კითხა-**მინონ** „გკითხავ“, კითხა-**გინონ**, კითხას-**უნონ**... შდრ.: ჩხალურ თქმაში ზმნა იცვლება როგორც პირის, ისე რიცხვის მიხედვით, მეშველი ზმნა კი მას ერთვის უცვლელად, მხ. რიცხვის III პ. ფორმით: მხ.: ბ-კითხა-**უნონ**, კითხა-**უნონ**, კითხას-**უნონ**...

⁶² ზმნისწინის დართვა სვანურში ნაირგვარ ცვლილებებს იწვევს ფორმაში, რის გამოც აწყო-მყოფადის ფორმები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ვიწურ-არქაბულსა და ათინურში უნონ მეშველი ზმნის ნაცვლად დაერთვის **ერე**⁶³, რომელიც სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტით (**რე, ე, რ**) იხმარება. მაგ., მხ.: ბ-კითხა-რე, კითხა-რე, კითხას-ერე/კითხას-ე. მრ.: ბ-კითხა-თ-ერე/ბ-კითხათ-ე, კითხათ-ერე/კითხათ-ე, კითხა-ნ-ე/კითხა-ნ-ე-ნ.

II კავშირებითის მყოფადის მნიშვნელობით გამოყენება ჭანურში არქაული ფაქტია, მეშველი ზმნის დართვა კი დიალექტური მოვლენაა.⁶⁴

წყვეტილის მწკრივის მაწარმოებელ სუფიქსებად სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში **-ი, -ე, 0** ნიშნები გვხვდება.

არქაული ქართულის **ნულსუფიქსიანი** ზმნები გაფორმებულია **-ი** სუფიქსით: მოვხან(**ი**), მოგკალ(**ი**)... დაცულია ფხოურ კილოებში (ხევს., თუშ.).

-ი, -ე, 0 ალომორფების განაწილების წესი ქართველურ ენა-კილოებში მეტ-ნაკლებად განსხვავებულია:

-ე სუფიქსი მწკრივის ნიშნად თითქმის ყველა კილოშია: ქართლ.-კახ.: დაფხატ-ე, გავალ-ე, დავიწყ-ე... მეგრ.: დო-ვ/პ-ჰ-ე „შეგვარე“, გუათ-ე „გავათავე“, დო-ვ/პ-კილ-ე „დავკეტე“... სვან.: აღ-ხატუ-ე „დახატა“, აღ-კარ-ე „გაალო“...

მეგრულში წყვეტილის ნიშნებად **-ი** და **-ე** სუფიქსები გამოიყენება. მაგ.: ფხანტ-ი „ფხატე“, პკვათ-ი „ვჭერი“... პტყაბარ-ე „ვატყავ“... გიტ-ე „გაგიშვი“, პჰყ-ე „ვწყველე“...

⁶³ ერე-ს წარმომავლობასთან დაკავშირებით სხვადასხვა აზრია გამოთქმული; ერე-ორე „არის“ (ნ.მარი, 1910, გვ.53); ერე წარმოშობით კავშირია (შდრ. სვან. ერე „რომ“ (არნ.ჩიქობავა, 1936, გვ.148-49). -ერე სუფიქსი თურმეობითის ფორმებში მეშველი ზმნისგან არის მომდინარე (ქ. ლომთათიძე, 1946, გვ.137-39; ნ.ნათაძე, 1961, გვ.32; ირ.ასათიანი, 1970, გვ.147; ზ.ჭუმბურიძე, 1986, გვ. 153).

⁶⁴ მყოფადის მეშველზმნიანი ფორმები დასტურდება სვანურშიც. ლენტეხურში, სხვა კილოებისაგან განსხვავებით, მყოფადის ფორმას ხშირად ერთვის მეშველი ზმნა. მეშველი ზმნა ერთვის არა მიმდებარე (როგორც ეს ინგილოურშია), არამედ უშუალოდ მყოფადის ფორმას. მაგ.: ხუირა „ვიქნები“ ზმნის პარალელურად ლენტეხურში იხმარება ხუირახუი, ხირა/ხირახი „იქნები“. ასევე: ლამთერე/ლამთერე-ხუი „დავლევე“, ლახთერე/ლახთერეხი „დავლევე“, ანჭუდენი/ანჭუდენიხუი „მოვალ“, ანჭედენი/ანჭედენიხუი „მოხვალ“... მყოფადის ეს სახეობა ზ.ჭუმბურიძეს ენის განვითარების შინაგანი კანონზომიერების გამოხატულებად მიაჩნია (ზ.ჭუმბურიძე, 1986, გვ. 127, 213).

ჭანურში უნიფიკაციის შედეგად ერთი ნიშანი (**ი**) არის გაბატონებული, რომელიც I-II პ. ფორმას დაერთვის: ბ-ზუმ-ი, ზუმ-ი, ზუმ-უ... (ი.ქავთარაძე, 1973, გვ.33).

ჭანურის იდენტური ვითარებაა ხევსურულსა და ინგილოურში (III პირში **-ა** გამოვლინდება): ა-ვი-ლ-ი, ა-ი-ლ-ი, ა-ი-ლ-ა; გა-ვი-გ-ი, გა-ი-გ-ი, გა-ი-გ-ა... (შდრ., ალიბათურში წყვეტილის მწკრივს **-ე** სუფიქსი აწარმოებს: ვიცან-ე, მამეც-ე, წევველ-ე...).

სვანური კილოები წყვეტილს აწარმოებენ: ა) **-ე** სუფიქსით, ბ) ფუძის სახით.

-ე სუფიქსი მხ. რიცხვის I-II პირში არ გვაქვს. თუმცა ისტორიულად უნდა ყოფილიყო ყველა პირსა და რიცხვში. **-ე**-ს დაკარგვა ფონეტიკური ფაქტორით იხსნება:

1. ზსგ. ოთ-ზანტ < *ათუ-ა-ზანტ-ე *და-ვ-ა-ზანტ-ე
2. ათ-ზანტ < *ათ-ა-ზანტ-ე *და-პ-ა-ზანტ-ე
3. აღ-ზანტ < აღ-ა-ზანტ-ე *და-ა-ზანტ-ე-ა (ვ.თოფურია, 1967, გვ.140). შდრ. ძვ. ქართ. IIIპ. ფორმები: მხ.: წერ-ა (*წერ-ე-ა), მრ.: წერ-ეს (*წერ-ე-ეს).

ნულსუფიქსიანი ზმნებს III პირის ფორმებში მოკვეცილი აქვთ ნიშანი. პრევერბად იყენებენ **ა-ს**. I-II პირში მახვილს ატარებს წინდებული ან მატყევარი (სუფიქსი), III პირში კი — შიდა ხმოვანი ფუძეში: პ/პ, ო/ო, თ/თ. პრევერბისეული **ა-ს** დაგრძელება **ლა-ში**, სიგრძის უგულვებლყოფა I და II პირში... გამოწვეულია **ე-ს** მოკვეცივით და მახვილის „მოქმედებით“ (ვ.თოფურია, 1967, გვ. 152-153).

სვანურში წყვეტილის ფორმას შეადგენს: პრევერბი + პირის პრეფიქსი + მატყევარი + **-ე** ან **0** (ნული) სუფიქსი.

ბზ. მხ. რიცხვი **მრ. რიცხვი**

ო-ხუ-მარ	„მოვამზადე“	ინკლ. აღ-მარ-ე-დ	„მოვამზადეთ“
		ექსკლ. თ-ხუ-მარ-ე-დ	„მოვამზადეთ“
ა-ხ-მარ	„მოამზადე“	ა-ხ-მარ-ე-დ	„მოამზადეთ“
ან-მარ-ე	„მოამზადა“	ან-მარ-ე-ხ	„მოამზადეს“

არცთუ იშვიათად წყვეტილის I-II პირში (მხოლოდითში) **ი** დაბოლოება იკარგება: მეგრ.: გვენაცოთ(**ი**) „გადაავდე“, ქომილ(**ი**) „მოიტანე“, დოჭარ(**ი**) „დაწერე“... **ხევს., თუშ.:** გავიგ „გავიგე“, გაიგ „გაიგე; გადავუგდე“ „გადავუგდე“, გადაუგდე „გადაუგდე“...

ზოგჯერ წყვეტილის დაბოლოებაში მთელი მარცვალი იკარგება: მეგრ.: მოიცა(დე), ქომუ(ჩი) „მომეცი“ (შდრ.: მოიცა(დე), მომე(ცი), დახე(დე), მომე(ვი), გასწი(ე)...).

-ე სუფიქსის წარმომავლობის შესახებ სხვადასხვა აზრია გამოთქმული:

-ე სუფიქსი მომდინარეობს **ევ**-სგან (არნ.ჩიქობავა, 1938, გვ.405; 1936, გვ.135-38; გ.როგავა, 1945, გვ.651-653); -ე ნამყოს სახეობათა საერთო ნიშანია (ვ.თოფურია, 1955, გვ.459).

გ.როგავას აზრით, წყვეტილის III პირის ფორმაში **ევ** გადასულა **უ**-ში (**ო** საფეხურის გავლით): **ოგურ-უ-უ<ოგურ-ევ-უ**. I-II პირში გაორკეცებული ე (**ეე**) უნდა იყოს მიღებული **ე**-სთან **ი**-ს ასიმილაციით: **ვოგურეე<ვოგურეი** (გ.როგავა, 1945, გვ.648-653). (შდრ. **ვოგურეი** ტიპის ფორმა ლიტერატურაში კონტამინაციურ წარმოებადაა მიჩნეული (არნ.ჩიქობავა, 1936, გვ.136).

მეგრ. **ბრაგადეი** (<**ბრაგადევი**) ფორმის სრული ანალოგია დასტურდება დიალექტებში: **ვიჩივლეი<ვიჩივლევი, ავიდეი<ავიდევი** (ვ. თოფურია, 1925, გვ. 143). შდრ.: დევნახევით, გაალ-ევ-ი (იმერს.), ვიყიდ-ევ-ი, დევნახ-ევ-ი (ლივან.), დაანგრი-ევ-ი, გავწალდ-ევ-ი (მაჭახლ.), დევიჭირ-ევ-ი-თ, ვიკიდ-ევ-ი (ტაოური)... (შ. ფუტყარაძე, 1995).

II კავშირებითის წარმოების პრინციპი ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში იდენტურია: საყრდენად იღებს წყვეტილის ფუძეს, რომელსაც ურთავს შესაბამის მაწარმოებელს.

სალიტერატურო ქართულში II კავშირებითს აწარმოებს **-ე, -ა, -ო** სუფიქსები. მათ განაწილებას ძირითადად წყვეტილის ფუძე განაპირობებს, კერძოდ:

ა) **-ა** ნიშანი II კავშირებითში გვხვდება მაშინ, როცა წყვეტილში ზმნა **-ი** სუფიქსით ან უნიშნოდაა წარმოდგენილი: ვთქვ-ი - ვთქვ-ა, დავწვ-ი - დავწვ-ა...

ბ) **-ე** ნიშანი გვაქვს იმ ზმნებთან, რომლებიც წყვეტილს **-ი** სუფიქსით აწარმოებენ: დავეც-ი/ დავეც-ე, წავედ-ი/ წავედ-ე...

გ) **-ო** სუფიქსი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა წყვეტილში **-ე** გვაქვს: ვწერ-ე - ვწერ-ო, ვტეხ-ე - ვტეხ-ო...

სვანურ კილოებშიც II კავშირებითის ნიშანთა (**-ა, -ე, -ი**) განაწილებას წყვეტილის დაბოლოება განსაზღვრავს, კერძოდ:

ა) **-ა** სუფიქსი II კავშირებითში გვაქვს იმ შემთხვევაში, როცა წყვეტილის III პირის ფორმაში ზმნას **-ე** გააჩნია: ად-კალუ-ე “გალეწა” - ად-კალუ-ა-ს “გალეწოს”...

ბ) **-ე** სუფიქსი გვაქვს ფუძედრეკად ზმნებთან: ადივ “გააქრო” - ადგვ-ე-ს “გააქროს”...

გ) **-ი** დაბოლოება II კავშირებითში გვაქვს მაშინ, როცა წყვეტილის III პირის ფორმაში **-ე** მოკვეცილია (**ნულსუფიქსიანი**

წყვეტილის ზმნებთან): ანქჰ “მოჭრა” - ანქჰ-ი-ს “მოჭრას”... (ვ.თოფურია, 1967, გვ.164-167).

ჭანურში II კავშირებითს (ისევე როგორც I კავშირებითს) ერთადერთი **-ა** სუფიქსი აწარმოებს (პირის, რიცხვის განურჩევლად):

(დო)-პ-ჭარ-ა “დავწერო” (დო)-პ-ჭარ-ა-თ “დავწეროთ”
(დო)-ჭარ-ა „დაწერო“ (დო)-ჭარ-ა-თ “დაწეროთ”
(დო)-ჭარ-ა-ს „დაწეროს“ (დო)-ჭარ-ა-ნ “დაწერონ“

ჭანურის მსგავსი ვითარებაა ხევსურულში:

და-ვ-წერ-ა და-ვ-წერ-ა-თ
და-წერ-ა და-წერ-ა-თ
და-წერ-ა-ს და-წერ-ა-ნ

მეგრულში II კავშირებითი მხ. რიცხვის I-II პირში პარალელური **-ა/-ე** ნიშნითაა წარმოდგენილი:

(დო)-ვ/პ-ჭარ-ა/ე “დავწერო” (დო)-ვ/პ-ჭარ-ა-თ “დავწეროთ”
(დო)-ჭარ-ა/ე “დაწერო” (დო)-ჭარ-ა-თ “დაწეროთ”
(დო)-ჭარ-ა-ს “დაწეროს” (დო)-ჭარ-ა-ნ “დაწერონ“⁶⁵

III სერია რიგი მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებებით ხასიათდება.

მეგრულ-ჭანურ-სვანურში, სალიტერატურო ქართულთან შედარებით, დრო-კილოთა III ჯგუფის მწკრივთა წარმოების პრინციპი განსხვავებულია: I და II სერიის ფორმების მსგავსად, აქაც მწკრივები საწარმოებელი ფუძის მიხედვით არის დალაგებული: III სერიის ფორმებისათვის ამოსავალია I თურმეობითის ფუძე: დომიხანტუ - დომიხანტულუ - დომიხანტულას “დამიხანტავს - დამეხანტა - დამეხანტოს”.

სვანურ კილოებშიც ნამყოსრულის (თურმ. I) ფუძე არის ამოსავალი ნამყო წინარეწარსულისათვის (თურმ. II). ამ უკანასკნელს კი კონიუნქტივი III (კავშ. III) ეყრდნობა: ბხ.: ხოხტაჟ-ა - ხოხტაჟ-ჲნ - ხოხტაჟ-ჲნ-ს (უხატავს - ეხატა - ეხატოს) (ვ. თოფუ-

⁶⁵ ი.ყიფშიძეს შენიშნული აქვს II კავშირებითის წარმოებაში გარკვეული კანონზომიერებანი, კერძოდ: ზმნები, რომლებიც ნამყო სრულში **-ეე** ნიშნითაა წარმოდგენილი, II კავშირებითში მიიღებენ **-უა/-უე** დაბოლოებას: გოვთირეე — გოვთირუა/გოვთირუე “გავცვალე”... (ი.ყიფშიძე, 1914, 060).

II კავშირებითში **-უა/-უე** სუფიქსებს დაირთავს, აგრეთვე **-ი/-იი** ნიშნის ფორმები: „ვუწი - ვუწუა/ვუწუე „ვუთხრა“, ფთქვი - ფთქუა/ფთქუე „ვთქვა“ (ი.ყიფშიძე, იქვე). განხილული რიგის ზმნებში კავშირებითის ნიშნად იგივე **-ა/-ე** სუფიქსები გამოიყოფა, რომლებიც კავშირებითთა პარალელური წარმოებისას გვაქვს. რაც შეეხება **უ** ხმოვანს, იგი, გ.როგავას აზრით, **-ევ** სუფიქსის შერწყმული სახეობა უნდა იყოს: ვოგურუა<ვოგუროა<*ვოგურევა (გ.როგავა, 1945, გვ.650).

რია, 1967, გვ.177).

I თურმეობითს სხვადასხვა ტიპის ზმნა სხვადასხვანაირად აწარმოებს.

თანამედროვე სალიტ. ქართულში გარდამავალი ზმნის I თურმეობითის ფუძედ გამოყენებულია I და II სერიის ფუძე.

ა) გარდამავალი ზმნებიდან რიგ თავისებურებებს წარმოაჩენს **-ავ, -ამ** თემისნიშნის ფორმები. ამ ტიპის ზმნებისათვის I თურმეობითში ამოსავალია აწმყო-მყოფადის ფუძე. თუ ზმნა აწმყო-მყოფადში თემისნიშნისა, მას თემის ნიშანი ექნება I თურმეობითშიც. დაერთვის **-ი, -უ** პრეფიქსები. წესი უგამონაკლისა ძველი ქართულისათვის: გაუძარცვავს (აწმყო: ძარცვავს), მოუქარგავს (აწმყო: ქარგავს), დაუდგამს (აწმყო: დგამს).

როცა სახ.-ში დასმული ობიექტი III პირშია, უღლება მარტივია: მომიკლავს მე იგი, მოგიკლავს შენ იგი მოუკლავს მას იგი...

განსხვავებული ვითარებაა მაშინ, როცა ობიექტად I-II პირია წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში ძველ ქართულში მეშველი ზმნა არ ჩანს: მოუკლავ მას მე, მოუკლავ მას შენ, მოუკლავს მას იგი...

აღნიშნული ტიპის ზმნებს თანამედროვე ქართულში დაერთო მეშველი ზმნები: მოუკლავ-ვარ, მოუკლავ-ხარ.

სხვა ტიპის გარდამავალ ზმნებთან I თურმეობითში ძველი ქართულის **ი-ე-ს** დაბოლოება **-ი-ა** დაბოლოებითაა შეცვლილი.

არქაული უთემისნიშნო ზმნათა ნაწილი დღეს თემისნიშნისა გახდა: რეკავს, თიბავს, თესავს, კენკავს, კეტავს, კეცავს, რეცხავს, წეწავს, ჭედავს, ხეხავს, ხოცავს... ამგვარ ზმნათა ნაწილი **-ავ** თემის ნიშანს I თურმეობითშიც გამოავლენს: დაუხოცავს, გაურეცხავს, დაურეკავს... თუმცა უფრო ხშირია უთემისნიშნო ფორმები: დაუხოცია, გაურეცხია, დაურეკია... ამ შემთხვევაში ამოსავალი ჩანს II სერიის ფუძე.

ფხოურ კილოებში (ხევს., ფშ., თშშ.) გარდამავალ ზმნათა I თურმეობითი. (როცა რეალური ობიექტი III პირია) **-ავ** (**<ავ-ი-ს**) ფორმანტით იწარმოება: გაუკეთებ-ავ(ი-ს) “გაუკეთებია“, გაუგ-ავ(ი-ს) “გაუგია“, აუსხამ-ი-ს “აუსხამს“... ბოლოკიდური **-ი-ს** ხშირად მოკვეცილია.

მეგრულ-ჭანურშიც I თურმეობითი ნაწარმოებია სტატიკური ვნებითის **ი, უ** პრეფიქსიანი (სასხვისო ქცევის) ფორმით და ეყრდნობა I სერიის ფუძეს ან საწყისს: მ-ი-ჭარ-უ “მიწერია“, მ-ი-კეთ-ებ-უ “მიკეთებია“... მ-ი-თქუალ-უ “მითქვამს“, მ-ი-ციდირ-უ “მიყიდა“...

მეგრულ-ჭანურში I თურმეობითში ყველგან **-უ** დაბოლოება გვაქვს: (მიძირუ(ნ) “მინახავს“, მიხანტუ(ნ) “მიხატავს“... ფუძე წყვეტილისაა, მაგრამ **-უ** აწმყო სუფიქსია. გამოყენებულია აწმყო ფუძის საობიექტო ქცევის ფორმა, რომელიც წარმოშობით სტატიკური აწმყო უნდა იყოს (ჭარუნ „წერია“, მიჭარუნ „მიწერია“.

მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
(დო)მ-ი-ჭარ-უ	(დო)მ-ი-ჭარ-უ-ნ-ა(ნ)
(დო)ი-ჭარ-უ	(დო)ი-ჭარ-უ-ნ-ა(ნ)
(დო)უ-ჭარ-უ	(დო)უ-ჭარ-უ-ნ-ა(ნ)

ბ. ჯორბენაძე: მეგრულში გარდამავალი ზმნის III სერიაში გამოყენებულია აორისტის ფუძე, რომელიც ფორმდება I სერიაში დადასტურებული სუფიქსებით (შდრ. ქართ. ორპირიანი გარდაუვალი ზმნები, რომლებიც გაფორმებულია მეშველი ზმნით (ერთპირიანი ზმნების ანალოგიით), აწმყო: ეწერება - დასწერია - დასწერიყო - დასწერიყოს (შდრ. იწერება - დაწერილა - დაწერილიყო - დაწერილიყოს).

ჭანურში ინვერსიული თურმეობითები მასდარის მქონე ყველა გარდამავალი ზმნისაგან იწარმოება; იმ ზმნებს, რომელთაც მასდარი არ ეწარმოებათ, თურმეობითებიც არა აქვთ: მაგ.: მიგნაფუნ “გამიგია“, მითქუანს “მითქვამს“, უშუმუნან “უსვამთ“, მიჭკომუნ “მიჭამია“... (გ. კარტოზია, 2005, გვ. 99)⁶⁶.

ფუძის ჩვენების მიხედვით მეგრულ-ჭანურის გარდამავალი ზმნის III სერია რეალურად II სერიის პარადიგმას წარმოადგენს.

სვანურ კილოებში I თურმეობითის ერთადერთი დაბოლოება არის **ა**: მიმთხრა-ა “მითხრია“, მიმწრა-ა „მიმწადებია“, მისყა-ა „მიკეთებია“...

-ა წარმოშობით აწმყო სუფიქსია, ქართ. **-ავ** და ზან. **-უ** სუფიქსების კანონზომიერი შესატყვისი (გ. მაჭავარიანი).

ბ) ძველ ქართულში **ორპირიან გარდაუვალ ზმნათა** I თურმეობითში (საერთოდ III სერიაში) არ გვხვდება მეშველზმნიანი ფორმები: და-ვ-პ-ვიწყ-ებ-ი-ე, და-პ-ვიწყ-ებ-ი-ე, და-პ-ვიწყ-ებ-ი-ე-ს... და-მ-ვიწყ-ებ-ი-ე-ს, და-გ-ვიწყ-ებ-ი-ე-ს, და-პ-ვიწყ-ებ-ი-ე-ს...

⁶⁶ ლაზურის თურმეობითებთან დაკავშირებით სხვადასხვა თვალსაზრისია გამოთქმული: 1. ლაზურში ინვერსიული თურმეობითების წარმოება იშვიათია (ნ.მარი, 1910, გვ.46; არნ.ჩიქობავა, 1936, გვ.153; ა.კიზირია, 1967, გვ.70-71); 2. ინვერსიული თურმეობითები ჭანურში ხშირად გამოიყენება (ი.ყიფშიძე, 1911, გვ. 3-4; ჟ.დიუმეზილი, 1967, გვ.7, 11; გ.კარტოზია, 2005, გვ. 97-102). ლიტერატურაში გაბატონებულია ნ.მარისა და არნ.ჩიქობავას მოსაზრება ლაზურში ინვერსიული თურმეობითების შეზღუდული გამოყენების შესახებ.

ამგვარი წარმოების გვერდით გვაქვს I თურმეობითის -ია დაბოლოების ფორმებიც: დამიტყვებია, დაჰვიწყებია, მქონებია...

სტატიკური ზმნები III სერიაში ძირითადად ისევე იწარმოება, როგორც შესაბამისი დინამიკური ფორმები: აღწერიდა აღორგანულად.

ორპირიანი სტატიკურ ზმნათათვის საყრდენ ფუძედ გამოყენებულია მოქმედებითი გვარის ზმნის აწმყო-მყოფადის თემაზე დამყარებული მასდარი, რომელსაც I თურმეობითში ემატება მეშველი ზმნა, II თურმეობითსა და III კავშირებითში კი -ოდ-ი, -ოდ-ე სუფიქსები: ვბმი-ვარ, ვბმ-ოდ-ი, ვბმ-ოდ-ე.

ორპირიანი სტატიკური ზმნების წარმოება ყოველთვის არ ემთხვევა შესაბამისი დინამიკური ვნებითის წარმოებას: უწერია -სწერებია... ხურებოდა.

დიალექტებშიც სალიტერატურო ქართულის მსგავსი წარმოება გვაქვს.

გარდაუვალი რელატიური ზმნები III სერიას სინთეზურად აწარმოებენ. I თურმეობითში მეშველ ზმნას დაირთავენ, ხოლო II თურმეობითსა და III კავშირებითში გამოავლენენ -ოდ სუფიქსს.

ანალიზური წარმოება დიალექტებისათვისაც არ არის უცხო.

იმერულში ზოგი ორპირიანი გარდაუვალი ზმნა I თურმეობითს აღწერიდა აღწარმოებს: მოფერებ-ლარიენ (კ. კუბლაშვილი, 1985, გვ. 165).

მეგრულში ორპირიანი გარდაუვალი ზმნები I თურმეობითში სხვადასხვა ფუძეს იყენებენ. წარმოება მეშველ ზმნიანია:

ა) ამოსავალია I სერიის ფუძე, რომელსაც დაერთვის მეშველი ზმნა. აწმყოსეული -უ სუფიქსი გვაქვს I თურმეობითშიც: ქოდავბადებუქ “დავბადებვარ”, მორდუ(უ) “გაზრდია”, დომქვიდუ(უ) “დახრჩობია”...

ბ) ამოსავალია საულლებელი ზმნის საწყისი, რომელსაც დაერთვის მეშველი ზმნა: გოჭყოლადუ “დავიწყებია”, ქოგოთანაფუ “გასთენებია”, ქახვალამუ “მეხვედრია”...

გ) **ერთპირიანი ზმნების** დრო-კილოთა III ჯგუფის ფორმები ქართულში ჩამოყალიბდა ანალიზური წარმოების საფუძველზე: ნამყო დროის საობიექტო მიმღეობა + მეშველი ზმნა (I თურმეობითში აწმყოს - “არს”, II თურმეობითში ნამყოს - “იყო” და III კავშირებითში II კავშირებითის - “იყოს” ფორმით): დახატულა(რს), დახატულ-იყო, დახატულ-იყოს.

ძველ ქართულში ერთპირიანი ზმნათა აღწერით ფორმამი მხოლოდ მეშველი ზმნა ითლებოდა, მიმღეობას პირის ნიშანი არ

მოუღიოდა. თანამედროვე ქართულში III პირში ორივე სიტყვა გაერთიანდა, ამას მოჰყვა პირის ნიშნების გადმოტანა თავში. I-II პირი ორმაგი პრეფიქსით გამოიხატა: ვ-ჩვეულ-ვარ, ჰ-ყოფილ-ხარ... III პირში მეშველი ზმნა გამარტივებულია: მოსულ-ა, წასულ-ა...

ერთპირიანი ზმნები ყველა ქართველურ ქვესისტემაში აღწერიდა იწარმოება. ცალკეულ დიალექტებში (იმერ. გურ., ლეჩხ.) მეშველი ზმნა სრულად ჩანს III პირშიც: მოსულ-არიენ, ყოფილ-არიენ, დამალულ-არიენ...

ხევსურულში მეშველი ზმნა ზოგჯერ “ას” სახით გვხვდება: მამკვდარას... შესაძლებელია ა-ც გაუჩინარდეს და მხოლოდ მიმღეობით გადმოიცეს I თურმეობითი: **ამაბრუნვილ** (ა.ჭინჭარაული, 1960, გვ. 136).

ასეა **ჭანურსა და მეგრულშიც**. მეგრ.: დოპჰველექ “დავმწვარვარ”, დოპჰველედი “დავმწვარიყავი”, დოპჰველედა “დავმწვარიყო”:

-**ერე** სუფიქსიანი წარმოება მეგრულში მხოლოდ ერთპირიანი გარდაუვალი ზმნებს ახასიათებს⁶⁷, ჭანური კი თურმეობითის წარმოებაში არ განასხვავებს გარდამავალ და გარდაუვალი ზმნებს.

მეგრულ-ჭანურში ერთპირიანი ზმნათა ნაწილი I თურმეობითს ორგანულად აწარმოებს (იყენებს ინვერსიულ ფორმებს): მეგრ.: მიდამირთუმუ, მინგარუ... ჭან.: მიხთიმუნ “წავსულვარ”, უნჯირუნ “უძინია”... (გ.კარტოზია, 2005, გვ. 98).

სვანურ კილოებში I თურმეობითი ყოველგვარ ზმნასთან გაფორმებულია -ა სუფიქსით. ქვემოსვანურ დიალექტებში სუბიექტური წყობის პარადიგმის I-II პირის ფორმებში სუ-ი „ვარ“, ხ-ი „ხარ“ მეშველი ზმნაა წარმოდგენილი (ვ. თოფურია, 1967, გვ. 169-171).

II თურმეობითი

ა) **გარდამავალი ზმნათა II** თურმეობითის წარმოებისას სამწიგნობრო ქართული იყენებს დინამიკური ზმნის II სერიის ფუძეს. წარმოების ყალიბი ყველა ზმნისათვის ერთია: ფორმა ეყრდნობა სათანადო ზმნის წყვეტილის ფუძეს და ფორმობრივად წარმოადგენს შესაბამისი ენიანი ვნებითის წყვეტილს. მწკრივის ნიშნებია: -ი, -ე სუფიქსები და **ნულა**.

⁶⁷ მეგრულში -ელე(ერე)-იანი წარმოების გვერდით გამოიყენება გამარტივებული, ელემენტარული ფორმებიც: ყოფერედას/ყოფედას “ყოფილიყოს”, დოლურედას/დოლურედას “მომკვდარიყოს”, დოჰველედას/დოჰველედას “დამწვარიყოს”... მიუთითებენ, რომ ე-ერე (მ.მარგველაშვილი, 1982, გვ.97).

ძველ ქართულში გვხვდება II თურმეობითის მოკლე ფორმები: აღმეშწნა, დამეტევა, განმეახლა, მომემზადა, მედიდა... თანამედროვე სალიტერატურო ენაში ისინი **-ებ-ინ-ა** დაბოლოებითაა წარმოდგენილი: ამემენებინა, დამეტოვებინა, მედიდებინა... არქაული წარმოება შემორჩენილია ფხოურ კილოებში.

მეგრულსა და ჭანურში II თურმეობითი იმავე ფუძეს იყენებს, რასაც I თურმეობითი, ოღონდ მას უწყვეტლის **-დ** სუფიქსს ურთავს: მიზიმ-უ(ნ)>მიზიმ-უ-დ-უ... (არნ.ჩიქობავა, 1936, გვ.145-147; ი.ყიფშიძე, 1914, გვ.086-088) (მდრ. სალიტ. ქართულის ორპირიანი გარდაუვალი ზმნები: მომსვლია>მომსვლოდა, მქონია>მქონოდა).

ჭანურის ნიმუშები: მითქვაფუტუ “მეთქვა“, დუკიდაფუტეს “აეგოთ“, გუნწკიმუტუ “გაეხსნა“, უბირაფუტუ “ემღერა“ (გ.კარტოზია, 2005, გვ.100-101).

ვიწურ-არქაულში II თურმეობითი ზოგჯერ **დორენ/რენ** “არის“ მეშველი ზმნით არის გართულებული: მუხტიმუტუ-დორენ “მოსულიყო“, უგნაფუტეს-რენ “გაეგონათ, გაეგოთ“... (გ. კარტოზია, 2005, გვ. 101).

სვანურშიც II თურმეობითის ფორმა I თურმეობითისაგან ძირითადად მხოლოდ მწკრივის ნიშნით განსხვავდება. II თურმეობითის მაწარმოებლად გვხვდება: ბზ.: **წწ**, ბქვ.(ეცერ.) **წწ**, ლნტ. **ან**, ლშხ. **წწ/წწ**. ბზ.: მიმწრ-**წწ** „მემზადებინა“, ჯიმწრ-**წწ**, ხომწრ-**წწ**; მიხტაუ-**წწ** “მეხატა“, ჯიხტაუ-**წწ**, ხოხტაუ-**წწ**...

ბ) ორპირიან გარდაუვალ ზმნათა II თურმეობითი ისტორიულად წარმოადგენს I თურმეობითის ნამყო უსრულს; გართულებულია -ოდ სუფიქსით.

II თურმეობითის ფორმათა ზოგადი სტრუქტურა ასეთია: ზმნისწინი + პირის ნიშანი + ძირი + თემის ნიშანი + ოდ სავრცობი + მწკრივის ნიშანი: და-ვ-ჰ-ვიწყ-ებ-ოდ-ე, და-ჰ-ვიწყ-ებ-ოდ-ე, და-ჰ-ვიწყ-ებ-ოდ-ა...

თანამედროვე სალიტ. ქართულში მწკრივის ნიშნად, **-ე**-ს ნაცვლად, გვაქვს **-ი**:

და-ვ-ვიწყ-ებ-ოდ-ი, და-ვიწყ-ებ-ოდ-ი, და-ვიწყ-ებ-ოდ-ა...

ორპირიანი გარდაუვალ ზმნების ორგანული წარმოების გვერდით მეშველზმნიანი ფორმებიც ჩნდება. გამოიყოფა 2 ტიპი:

1. ამოსავალია მასდარი, **-ოდ** სუფიქსის ნაცვლად წარმოდგენილია მეშველი ზმნა: **ვიყავ, იყავ, იყო**: ჰყოლ-**იყო**, სჯობნებ-**იყო**, დამკარგ-**ვიყო**, შესძლებ-**იყო**...

2. საყრდენია ვნებითი გვარის მიმღეობა, რომელსაც იგივე მეშველი ზმნა ემატება: ჩამოვრჩენილ-**იყავ**, მიახლოებულ-**იყვნენ**... მსგავსი ფორმები ხშირია აღმოსავლურ დიალექტებში.

ორპირიან გარდაუვალ ზმნათა II თურმეობითში პარალელური წარმოებიდან თანამედროვე სალიტერატურო ენაში გაბატონებულია **-ოდ**იანი ფორმები. აღწერითი წარმოების ნიმუშები დიალექტურ წარმოებად მიიჩნევა.

ხევსურულში, მოხეურში ყველა ზმნა მეშველზმნიანია: ხევს.: ხყვან-**იყვა**, ჰქონ-**იყო**, შამასჩვევ-**იყო**... მოხ.: გასთეთრებ-**იყო**, გახფუტებ-**იყო**, მასწონებ-**იყო**...

მეგრულში ორპირიანი გარდაუვალ ზმნების წარმოება ორგანულია: II თურმეობითი იმეორებს ვნებითი გვარის ზმნის უწყვეტელს: დაბადებუ-დ-უ “დაჰბადებია“, შეხვალამუ-დ-უ “შეხვედროდა“, გოჭყოლადუ-დ-უ “დავიწყებოდა“...

სვანურშიც რელატიურ გარდაუვალ ზმნათა ფორმები გარდამავალ ზმნებს მისდევს, ძირითადი განსხვავებას ქმნის მხოლოდ პირთა მიმართების ხმოვნების კლება (ვ.თოფურია, 1967, გვ. 169-170).

გ) ერთპირიანი ზმნები ძველ ქართულში მხოლოდ აღწერითად იწარმოება: საუღლებელი ზმნის ვნებითი გვარის მიმღეობის ფუძე + ყოფა ზმნის წყვეტილის ფუძე: იუღლება მეშველი ზმნა, მიმღეობა პირის ნიშანს არ დაირთავს: წარსრულ ვიყავ, წარსრულ იყავ, წარსრულ იყო...

თანამედროვე ქართულშიც წარმოების პრინციპი უცვლელია. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ **გ-** პრეფიქსი მეშველ ზმნას ჩამომორდა და ზმნისწინის მომდევნოდ ჰპოვა ადგილი, მეშველი ზმნა კი მიმღეობის ფუძეს შეუხორცდა: წა-ვ-სულ-იყავი, წა-სულ-იყავი, წა-სულ-იყო...

ხევსურულშიც ყველა ერთპირიანი ზმნა II თურმეობითს “იყო“ მეშველი ზმნით აწარმოებს: წერებულ-**იყვა**, ჩამასულ-**იყო**, სძინებ-**იყვა**, ზღებ-**იყვა**, შამამდგარ-**იყვა**...

მეგრულ-ჭანურში ერთპირიანი ზმნები ეყრდნობა I თურმეობითის ფორმას და დაირთავს **-დ** სავრცობს: დოჭველე-დ-უ “დამწვარიყო“...

ჭანურის ნიმუშები: გამუხთიმუტუ “გამოსულიყო“, მუხთიმუტუ “მოსულიყო“ (გ.კარტოზია, 2005, გვ. 101).

III კავშირებითის წარმოებას სალიტერატურო ქართულში განსაზღვრავს II თურმეობითის წარმოება: III კავშირებითი ისევე იწარმოება II თურმეობითისაგან, როგორც აწმყოსა და მყოფადის კავშირებითი უწყვეტლისა და ხოლმეობითისაგან. მოქ-

მედლებითი გვარის ზმნათა III კავშირებითი სტატისტიკური ვნებების აწმყოს კავშირებითს ემთხვევა.

ა) **გარდამავალ ზმნებს III კავშირებითი დაერთვის -ა, -ე, -ო** სუფიქსები.

მეგრულ-ჭანურშიც III კავშირებითი II თურმეობითს ეყრდნობა. მაწარმოებლად ძირითადად -ა სუფიქსია გაბატონებული. -ე შედარებით იშვიათია.

დო)მ-ი-ხანტ-უ-დ-ა-ს „მეხატოს“ (დო)მ-ი-ხანტ-უ-დ-ა-ნ „გვეხატოს“
(დო)გ-ი-ხანტ-უ-დ-ა-ს „გეხატოს“ (დო)გ-ი-ხანტ-უ-დ-ა-ნ „გეხატოთ“
(დო)უ-ხანტ-უ-დ-ა-ს „ეხატოს“ (დო)უ-ხანტ-უ-დ-ა-ნ „ეხატოთ“

ჭანურის ნიმუშები: დოგირჩაფუტას „დაგვეფინოს“, გიკვანდაფუტას „გემათხოვროს“ (გ. კარტოზია, 205, გვ. 102).

მეგრულ-ჭანურის იდენტურია III კავშირებითის წარმოება **ხევისურულში**, სადაც ერთადერთი -ა სუფიქსი გამოიყენება: და-მ-ე-ხატ-ა-ს, და-გ-ე-ხატ-ა-ს, და-ე-ხატ-ა-ს...

III კავშირებითის წარმოების პრინციპი ანალოგიურია სვანურ კილოებშიც. მ-ი-მპრ-ენ-ს*მ-ი-მპრ-ენ-ეს „მემზადდებინოს“. აქ კავშირებითის -ე სუფიქსი მოკვეცილია. სვან. სუფიქსები: ბზ., ლშხ. -ენ, ბქვ., ლნტ. -ენ, ბქვ. ენ-ე.

ბ) **ორპირიანი გარდაუვალი ზმნებს** ძველ ქართულში III კავშირებითშიც აქვს ორგანული წარმოების ფორმები: და-ვ-ჰ-ვიწყ-ებ-ოდ-ი, და-ჰ-ვიწყ-ებ-ოდ-ი, და-ჰ-ვიწყ-ებ-ოდ-ი-ს...

თანამედროვე ქართულში მწკრივის ნიშნად, -ი სუფიქსის ნაცვლად, გვაქვს -ე: და-ვ-ვიწყ-ებ-ოდ-ე, და-ვიწყ-ებ-ოდ-ე-ს...

მეგრულ-ჭანურში III კავშირებითის ნიშნად ძირითადად -ა სუფიქსი გვხვდება: დო-პ-ჰვ-ელე-დ-ა „დავმწვარიყავი“, დო-ჰვ-ელე-დ-ა, დო-ჰვ-ელე-დ-ა-ს...

გ) **ერთპირიანი ზმნები** ძველ ქართულში აღწერიტად იწარმოება: მეშველი ზმნა წარმოდგენილია II კავშირებითის ფორმით: წარსრულ ვიყო, წარსრულ იყო, წარსრულ იყოს... შდრ. თანამედროვე ქართული: წავ-სულ-იყავი, წა-სულ-იყავი, წა-სულ-იყოს

მეგრულში ერთპირიანი ვნებითი (დინამიკური) გვარის ზმნათა ერთ ჯგუფს დრო-კილოთა III ჯგუფში (აქედან გამომდინარე, III კავშირებითშიც) აღწერიტითი წარმოება ახასიათებს, თავს იჩენს **-ელე (-ერე)** მაწარმოებელი: მო-ვ-ბ-რდ-ელე-დ-ა „გავზრდი-ლიყავი“, მო-რდ-ელე-დ-ა, მო-რდ-ელე-დ-ა-ს...

მეგრულში ერთპირიანი ზმნების ნაწილი ორგანულად აწარმოებენ III კავშირებითს: უცხოვრებუდას „ეცხოვროს“, მიძიცი-ნუდას „მეცინოს“, მინგარუდას „მიტიროს“... ჭანური: უხტიმუდას „ველოს“.

IV სერიის ფორმები.

ქართველურ ქვესისტემებში (მეგრ., იმერ., ლეჩხ., რაჭ., სვან.) დამოუკიდებელ უღვლილებს ერთეულებად გამოყოფილია ნა-/ნო- პრეფიქსიანი ზმნური ფორმები. დრო-კილოთა სხვა ჯგუფის ფორმებისაგან მათ განასხვავებს ყალიბი და ფუნქცია.

აღნიშნული ზმნური ფორმები ადრეულ გრამატიკულ ლიტერატურაში დრო-კილოთა III ჯგუფის ფორმათა პარალელურ წარმოებად (გარიანტებად) არის მიჩნეული (ი.ყიფშიძე, 1914, 089; არნ.ჩიქობავა, 1936, 146; ვ.თოფურია სვანურში მათ I სერიას იწოდებდა — ვ.თოფურია, 1967, გვ. 130-136).

მეგრულში ნო- პრეფიქსიანი ზმნურ ფორმათა ცალკე სერიად გამოყოფა გ.როგავას სახელთანაა დაკავშირებული. მკვლევარმა აღნიშნული ფორმები დრო-კილოთა IV ჯგუფში გააერთიანა და აწმყოს თურმეობითის მწკრივები უწოდა, განსხვავებით აორისტიკის თურმეობითის მწკრივებისაგან. IV ჯგუფში შემდეგი მწკრივები შევიდა: III თურმეობითი, IV თურმეობითი, IV კავშირებითი, IV პირობითი.

მეგრულში IV სერიაში დაცულია საწარმოებელი ფუძის პრინციპი: III თურმეობითი არის საყრდენი დანარჩენი მწკრივებისათვის. III თურმეობითის ფორმა მიიღება ნო- პრეფიქსითა და -უ სუფიქსით ნაწარმოები მიძლეობის ფორმაზე ორე(ნ) მეშველი ზმნის დართვით: ნო-ჰკირ-უ-ე-(ნ) < *ნო-ჰკირ-უ-(ო)რე(ნ) „ჭრის/ჭრიდა თურმე“ (გ.როგავა, 1953, გვ.23). უღვლების ნიმუში:

ვინიანი წყობა

I ნო-ვპ-ჰარ-უ-ე-ქ „ვწერდი თურმე“ ნო-მპ-ჰარ-უ-ე „მწერდა თურმე“
II ნო-ჰარ-უ-ე-ქ „წერდი თურმე“ ნო-რ-ჰარ-უ-ე „გწერდა თურმე“
III ნო-ჰარ-უ-ე „წერდა თურმე“ ნო-ჰარ-უ-ე „წერდა თურმე“

აწმყოს თურმეობითისა და აორისტიკის თურმეობითის ფორმები განსხვავებულ კონსტრუქციას ქმნიან: აწმყოს თურმეობითის მწკრივებში გარდამავალი ზმნა ნომინატიური კონსტრუქციისაა (თინა ნოჰარუე თის „ის წერდა თურმე მას“), ხოლო აორისტიკის თურმეობითის მწკრივებში — დატიური კონსტრუქციისა (თის დუჰარუ თინა „მას დაუწერია თურმე“). ამასთანავე, დრო-კილოთა IV ჯგუფში გარდამავალი ზმნა სამპირიანობას ინარჩუნებს, III ჯგუფში - არა (გ.როგავა, 1953, გვ.18).

მეგრ. ნო- პრეფიქსიანი აწმყოს თურმეობითის ანალოგიური წარმოება გვაქვს იმერულში, ლეჩხუმურში, რაჭულში (შ.ძიძიგური, 1938, 129-130; მ.ალავიძე, 1941, 234; ქ.ძოწენიძე, 1973, 91-92; ო.კახაძე, 1954, 173-174), სადაც ნა- პრეფიქსით ნაწარმოები სამი მწკრივი გამოიყოფა: III თურმეობითი, IV თურ-

მეობითი, IV კავშირებითი. იმერ., ლეჩხ. და რაჭ. ნა- პრეფიქსიანი ყალიბი მეგრ. ნო- პრეფიქსიანი ყალიბის იდენტურია როგორც წარმოების, ისე მნიშვნელობის თვალსაზრისით.

წარმოების პრინციპი: ნა- პრეფიქსიანი წარსული დროის მიმღეობა + მეშველი ზმნა (ა<არს):

გინიანი წყობა

- I ვ-ნა-წერა-ვარ
- II ნა-წერავ-ხარ
- III ნა-წერავ-ა

მანიანი წყობა

- მ-ნა-წერავ-ა
- გ-ნაწერავ-ა
- ნაწერავ-ა (ო.კახაძე, 1954, გვ. 174-175).

ნა- პრეფიქსიანი ყალიბი აღნიშნავს ზოგადად უნახავ მოქმედებას. დროის მიხედვით გამოხატავს: ა. ნამყო უსრულს: კოწია ლექსს რო ნაწერავა, მაშინ მოსულა ი ბიჭი და... (= თურმე წერდა); ბ. კონკრეტულ აწმყოს: გედეონს ი გოგო ნაყვარება (= უყვარს თურმე); გ. შდრ. ზოგადი აწმყო: ი გოგო ლექსებს ნაწერავა (= წერს თურმე საერთოდ) (ო.კახაძე, 1954, გვ. 174).

ე.წ. IV სერია გამოიყოფა სვანურ კილოებშიც. წარმოდგენილია ორი მწკრივით: III თურმეობითი, IV თურმეობითი (გ.როგავა, 1953; ზ.ჭუმბურიძე, 1986; ა.ონიანი, 1998) (შდრ. ვ.თოფურია, 1967, 130-136).

სვანურ კილოებში III თურმეობითის ყალიბია: აწმყოს ფუძე + უნ-ა (ბქვ.), ინ-ა (ბზ., ქვ.სვ.). ქვემო სვანურში მხ. რიცხვის I-II პირში მეშველი ზმნა (ხუი „ვარ“, ხი „ხარ“) დაერთვის:

- ბზ. ხუაგმ-ინ-ა ლნტ. ხუაგემ-ნა(ხუი) „ვუშენებდი თურმე“
- ხაგმ-ინ-ა ხაგემ-ნა(ხი) „უშენებდი თურმე“
- ხაგმ-ინ-ა ხაგემ-ნა „უშენებდა თურმე“

ვ.თოფურიას აზრით, სუფიქსი „ა ეგებ ნ. უსრულის მაწარმოებელი იყოს“ (ვ.თოფურია, 1967, გვ.130). -ინ/-უნ სუფიქსთა წარმომავლობა საკვლევი.

სპეციალისტთა მიერ IV თურმეობითად მიჩნეული ფორმის ყალიბია: ლგ-მა + აწმყოს ფუძე + უნ-ე, ან: ლგ-+მა + (აწმყოს ფუძე) ე + მეშველი ზმნა. პრეფიქსები ყოველთვის სახეზეა, სუფიქსები კი — არა.

- ბზ. ლგმაგმჷნ ხუი ლნტ. ლგმაგემ ხუი „ნაშენებვარ“
- ლგმაგმჷნ ხი ლგმაგემ ხი „ნაშენებხარ“
- ლგმაგმჷნ ლი ლგმაგემ ლი „ნაშენება“

(ვ.თოფურია, 1967, გვ.134).

ვ.თოფურია: ლგ- პრეფიქსი შეიძლება ნამყოს მიმღეობის ლგ- იყოს. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სვანურ კილოებში ნამყო დროის მიმღეობის ძირითად მაწარმოებლად სწორედ ლგ პრეფიქსია, მაგ.: ლგ-გ-ე „აგებული“, ლუ-ქჷით „მოპარული“, ლგ-მ-ე „შეჭ-

მული“, ლგ-ბ-ე „დაბმული“... (ვ.თოფურია, 1979, გვ.218-219). ნა-პრეფიქსი წარსული დროის ფორმებში შედარებით იშვიათია. ამით უნდა აიხსნას ნა-ს ნაცვლად ლგ- პრეფიქსის გამოყენება IV თურმეობითში.

სვანური კილოების IV თურმეობითი სტრუქტურული თვალსაზრისით მეგრულ-იმერულ-ლეჩხუმურ-რაჭულ ნა- პრეფიქსიან ფორმათა გვერდით დადგება.

სვან. III თურმეობითი და IV თურმეობითი კონსტრუქციითაც განსხვავდება: პირველი რელატიურია, მეორე - აბსოლუტური.

IV სერიის ფორმები არ გვაქვს ჭანურში (თუმცა წინავითარების ნო- პრეფიქსი გამოიყენება). სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია ჭანურის თურმეობითის ორი ფორმა: ნანამყოუსრულარი თურმეობითი და ნააორისტალი თურმეობითი. აწმყოს თურმეობითის შინაარსი გადმოიცემა ნანამყოუსრულარი თურმეობითით, რომელიც ანალიზური წარმოებისაა: ნამყო უსრულის ფორმა + დორენ (ვიწ.-არქ.)//ერე(ათინ., ხოფ.) მეშველი ზმნა:

ვიწურ-არქაბული

ხოფური

- Iპ. მა ბ-ზუმ-უმ-ტ-ი-დორენ ბ-ზიმ-უფ-ტ-ერ-ე „თურმე ვზომავდი“
 - IIპ. სი ზუმ-უმ-ტ-ი-დორენ ზიმ-უფ-ტ-ერ-ე „თურმე ზომავდი“
 - IIIპ. ზუმ-უმ-ტ-უ-დორენ ზიმ-უფ-ტ-ერ-ენ „თურმე ზომავდა“
- (არნ.ჩიქობავა, 1936, გვ.141).

შდრ. ნააორისტალი თურმეობითი:

ბ-ზუმ-ი-დორენ/ბ-ზიმ-ერე „თურმე მიზომავს“.

ჭანური ნანამყოუსრულარი თურმეობითი ფუნქციური თვალსაზრისით იგივეა, რაც მეგრულ-იმერულ-სვანური თურმეობითები, ხოლო შედგენილობით მსგავსია სვან. III თურმეობითისა.

მაშასადამე, აწმყოს თურმეობითის სპეციფიკური წარმოება დამახასიათებელია არა მხოლოდ მეგრულ-იმერული... კილოებისათვის, არამედ ჭანური და სვანური კილოებისთვისაც; ე.წ. IV სერიის ფორმები საერთოქართველური მოვლენა ჩანს და არა რომელიმე დიალექტის ან დიალექტური ჯგუფის კუთვნილება; შდრ.:

ვარაუდობენ, რომ ნა- პრეფიქსიანი ფორმები ქართული ენის დასავლურ დიალექტებში მეგრულის გავლენით არის დამკვიდრებული (არნ.ჩიქობავა, 1936, გვ. 146). ამგვარი აზრის გაზიარების შემთხვევაში ძნელი ასახსნელია ნო>ნა პროცესი. ბგერათშესატყვისობის ცნობილი კანონზომიერების საფუძველზე უფრო ლოგიკურია ვივარაუდოთ პირუკუ პროცესი: ნა>ნო; შდრ., აგრეთვე, რ.შეროზიას თვალსაზრისი: მეგრ. ნო- პრეფიქსიანი ფორმები მას შემდეგ გაჩნდა, რაც მეგრული და ჭანური ერთმანეთს დაშორდა (რ.შეროზია, 2004, გვ. 86).

თეორიულად მართლაც არსებობს ალბათობა იმისა, რომ მეგრ. ნო-პრეფიქსიანი ყალიბი იყოს ამოსავალი იმერ.-ლექს.-რაჭ. ნა-პრეფიქსიანი ფორმებისათვის (ამ შემთხვევაში ნა-პრეფიქსიანი წარმოება მეგრ. ნო-პრეფიქსიანი ფორმების სემანტიკური კალკირების შედეგად უნდა მივიჩნიოთ), მაგრამ აქვე დაისმის სვან. IV თურმეობითისა და მეგრ. III თურმეობითის მიმართების საკითხიც; მეგრულის უწინარესობის დაშვებით სვან. ლგ-მეგრ. ნო-პრეფიქსის ფონეტიკური ვარიანტი გამოდის... ვფიქრობთ, სვან. ლგ-მომდინარეობს ლა-პრეფიქსისგან, რომელიც საერთო-ქართველური ნა-/სა-ს ეკვივალენტი ჩანს (პრობლემა დამატებით კვლევას ითხოვს).

ე.წ. IV სერიის ფორმების საერთოქართველურად აღიარებას არ ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომ სალიტერატურო ქართულსა და აღმ. დიალექტებში მსგავსი წარმოების ფორმები არ გვხვდება. შესაბამის შინაარსს გადმოსცემს I თურმეობითის მწკრივი, რომელიც კონტექსტის მიხედვით იმავე მნიშვნელობას აღნიშნავს, რასაც მეგრ.-ჭან.-იმერ.-სვან. აწმყოს თურმეობითები.

აწმყოს თურმეობითის ფორმათა მიხედვით თანამედროვე ქართველური ქვესისტემები შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ: ა) დასავლეთ საქართველოში არსებული ქართველური კილოები (მეგრ., იმერ., ლექს., რაჭ., ჭან., სვან.), რომლებიც აწმყოს თურმეობითის შინაარსს განსხვავებული ყალიბით აღნიშნავენ, ბ) სამწიგნობრო ქართული და აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტები, რომლებსაც აწმყოს თურმეობითის სპეციალური ფორმა არ გააჩნიათ და საიმისოდ I თურმეობითს იყენებენ.

IV. სინტაქსი

მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა ქართველურ ქვესისტემებში თვისობრივად ერთგვარია.

ძველ ქართულში ატრიბუტული მსაზღვრელი საზღვრულს ეთანხმებოდა ბრუნვასა და რიცხვში. თანამედროვე სალიტერატურო ენაში საზღვრული ბრუნვაში ითანხმებს მასთან დაკავშირებულ ატრიბუტულ მსაზღვრელს, მაგრამ რიცხვში ვერ ითანხმებს. ამასთან, განსხვავებულია ხმოვანფუძიანი და თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელების ურთიერთობა საზღვრულთან: ბოლოხმოვნიანი მსაზღვრელი ფუძის სახითაა წარმოდგენილი (პატარა სახლი, პატარა სახლ-მა...), ბოლოთანხმოვნიანი მსაზღვრელი კი ბრუნვის ნიშანს დაირთავს (დიდ-ი სახლ-ი, დიდ-მა სახლ-მა...).

ძველ ქართულში არცთუ იშვიათად მართული მსაზღვრელიც ეთანხმებოდა საზღვრულს ბრუნვასა და რიცხვში: რებეკაძის ძმად, კაცისას გრძნობას..

მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაქსური დამოკიდებულება მეგრულ-ჭანურ-სვანურში ძირითადად ერთნაირია: ატრიბუტული მსაზღვრელი (როგორც ხმოვანფუძიანი, ისე თანხმოვანფუძიანი) საზღვრულთან ურთიერთობისას არ იცვლება ბრუნვისა და რიცხვის მიხედვით, მაგ.:

მეგრ.: ჭიჭე ძლაბი, ჭიჭე ძლაბიქ, ჭიჭე ძლაბის, ჭიჭე ძლაბიშ(ი), ჭიჭე ძლაბით(ი), ჭიჭე ძლაბით...⁶⁸ ჭან.: მორდერი ჭუკანითე “მოზრდილი ქვაბით” (არნ.ჩიქობავა, 1936, გვ. 68-69; ელ. ლომთაძე, 1954, გვ. 210-211).

სვან.: ფერი ბალე “წითელი ფოთოლი”, ფერი ბალე-დ, ფერი ბალე-ს, ფერი ბალეშიშ, ფერი ბალე-ჟშ, ფერი ბალე-დ... (ა.ონიანი, 1998, გვ.96)

მსგავსი ვითარებაა იმერ., ლექს., გურ., აჭარ., ქართლ., კახ., ფერ., ლივან... დიალექტებშიც:

იმერ.: დიდი კეტის, ბეგრი აფხანიკებს (ქ.ძოწენიძე, 1973, გვ.296); ლექს.: სამი ბათმანმა, სამი ბათმანს (შ.ძიძიგური, 1974, გვ.174); აჭარ.: თელი სოფელმა, უნცროსი ძმამ (შ.ნიჟარაძე, 1961, გვ.114); გურ.: დიდი კაცმა, დიდი კაცს (ბ.ჯორბენაძე, 1989, გვ.536); ქართლ.: ბებერი ქალმა, კოჭლი გოგომ (გრ.იმნაიშვილი, 1974, გვ.234); კახ.: მდიდარი კაცსა, ახალი რაიონს (ა.მარტიროსოვი, გრ.იმნაიშვილი, 1956, გვ.124; ფერ.: ჩემი ამხანაგებმა, კარგი საუზმეს (არნ.ჩიქობავა, 1927, გვ.215)...

მართული მსაზღვრელი მეგრულ-ჭანურ-სვანურშიც ნათესაობით ბრუნვაში დგას: მეგრ.: კოჩიშ(ი) ყუდე, კოჩიშ(ი) ყუდექ... ჭან.: ბერეშ(ი) ნანა, ბერეშ(ი) ნანაქ... სვან.: ვანი(შ) მუჭ “ხარის რქა”, ვანი(შ) მუჭ-დ, ვანი(შ) მუჭ-ს, ვანი(შ) მუჭ-იშ, ვანი(შ) მუჭჟშ, ვანი(შ) მუჭ-დ (ა.ონიანი, 1998, გვ. 98). ნათ. ბრუნვის ნიშანი ფონეტიკურად იცვლება: ოქროდ ბურთი (ქართლ.), რკინიდ კარი (კახ.), თოხი პირი (იმერ.), კოჩი ყუდე (მეგრ.) “კაცის სახლი”, ყელი გეზალ (სვან.) “ძაღლის შვილი”... მაჭახლ.: თოფი ხმაზე (შ.ფუტყარაძე, 1993, გვ.29). ტაოური: პარხლი ქილისა (შ.ფუტყარაძე, 1993, გვ.35).

პოსტპოზიციური მსაზღვრელი, ჩვეულებისამებრ, დაირთავს ბრუნვის ნიშანს: მეგრ.: ყუდე კოჩიში, ყუდექ კოჩიშიქ... ჭან.: ოხორიქ ჯაშიქ, ოხორის ჯაშის... სვან.: ლუსდგვანს ვოჭკრანშ “წაწნავენს ოქროსას”...

ვ.თოფურიას აზრით, მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნვისას არსებულ ერთგვაროვან მოვლენებს ერთნაირი საფუძველი აქვს,

⁶⁸ მეგრულ-ჭანურში სახელობითში მსაზღვრელი ხშირად კარგავს -ი სუფიქსს და ფუძის სახითაა წარმოდგენილი: დიდ კოჩ-ი, დიდ კოჩიქ... ჟურ კოჩი “ორი კაცი”, სუმ ბეე “სამი ბავშვი”...

კერძოდ: ა) ახალწარმოშობილი ერთნაირი ფუნქციის ერთნაირად გამონახვა ენაში არსებული საშუალებებით; ბ) ენის ტენდენცია რთული ფორმების გამარტივებისაკენ და გ) ენის ტენდენცია სხვადასხვა ფორმის გაერთფორმებისაკენ, უნიფიკაციისაკენ (ვ.თოფურია, 1954, გვ.455).

მარტივი წინადადების სტრუქტურა

ქართულ სალიტერატურო ენაში ქვემდებარე-შემასმენლის ურთიერთობას განსაზღვრავს გარდამავლობა-გარდაუვალობა (პირდაპირი ობიექტის არსებობა): თუ შემასმენლად გარდაუვალი ზმნაა, მასთან შეწყობილი ქვემდებარე სახელობით ბრუნვაშია; გარდამავალ ზმნა-შემასმენელთან დაკავშირებული ქვემდებარე კი ბრუნვაცვალებადია: I სერიაში სახელობითშია, II სერიაში - მოთხრობითში, მესამეში - მიცემითში.

აღნიშნული სინტაქსური წესი ქართველურ კილოებში, გარდა მეგრულ-ჭანურისა, ძირითადად დაცულია.

მეგრულში ქვემდებარე ყოველთვის მოთხრობითში დგას II სერიის ფორმებთან (ზმნის გარდამავლობა-გარდაუვალობის მიუხედავად). ჭანურში კი მნიშვნელობა აქვს გარდამავლობას: თუ ზმნა გარდამავალია, მასთან დაკავშირებული ქვემდებარე ყველა სერიაში მოთხრობითში იქნება.

ჭანურის მსგავსი შემთხვევები შენიშნულია აჭარულში: ხელმწიფემ კლავს; ქაჯებმა საჩიხელით დეიხლიტენ... (ა.კიზირია, 1982, გვ.105). აგრეთვე ლივანურში: ისე იტყვიან ძველებმა (შ.ფუტკარაძე, 1993, გვ.21).

მოთხრობითში დასმული ქვემდებარე სახელობითის ნაცვლად გარდაუვალი ზმნის II სერიის ფორმებთან, გარდა მეგრული-სა, გვხვდება იმერ., ლეჩხ., რაჭ., გურ., აჭარ., იმერხ., მაჭახლ., ქართლ., კახ., ფერ. დიალექტებში:

ქვ.იმერ.: ხვამ გევიკიდა ჯორს; ლეჩხ.: ამ ქალმა დაფიქრდა; გურ.: მევიდა სალამოს დეგმა; აჭარ.: ადგა ამ დედაბერმა; ქართლ.: დლით ცოლმა ადგა; კახ.: იმ ბიჭებმა გავიდნენ კალოზე; ფერ.: მოდდა ქერიხანმა; იმერხ.: ბებრმა მივიდა ფამასთან... (ა.კიზირია, 1982, გვ.103-105); დათვმა გამომესხრიკა (შ.ფუტკარაძე, 1993, გვ.29).

მსგავსი ფაქტები იშვიათად დადასტურებულია ძველ ქართულში: გარდამოკვდეს მღვდელმან აღსავალსა საკურთხეველისასა; მადლმან შენმან შემეწიოს; მამამან მათმან ქსენეფორე წარვიდა... (ა.შანიძე, ივ.იმნაიშვილი, ზ.სარჯველაძე, ა.კიზირია).

განხილულ სინტაქსურ მოვლენასაც "საერთო საფუძველი უძვეს" (ვ.თოფურია, 1954, გვ.455).

კითხვითი წინადადების სტრუქტურა

ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი კითხვითი -ა ნაწილაკიანი კონსტრუქცია (გნებავსა?) მეტ-ნაკლებად დაცულია ქართველურ დიალექტებში:

არქაული -ა ნაწილაკი თანამედროვე სალიტერატურო ენაში დაიკარგა, დაცულია დიალექტებში: ხევსურულში, ფშაურში, მთიულურში, თუშურში, ჰერულში, რაჭულში, მეგრულში, სვანურში... იშვიათად დასტურდება: იმერხელში, ლივანურში, ტაოურში, მაგ.:

იმერხ.: ინეგოლს შიგან ხარა? აქვერობას ცნობილობსა? (შ.ფუტკარაძე, 1993, გვ.11); ლივან.: ტანზე რასა ვიცვამთა? (შ.ფუტკარაძე, 1993, გვ.18)... სვან.: ანღრია? "მოდის?"; აშიდ ხარია? "ცოცხალი ხარ?" (ა.კიზირია, 1982, გვ.65).

-ა ნაწილაკის ფონეტიკური შესატყვისია მეგრული -ო⁶⁹: თენა ვა(გ)იჩქუნო? "ეს არ იცი?", თუერე მეურქო? "იქით მიდიხარ?"

V. ლექსიკა

ქართველური კილოების ლექსიკური ფონდის ძირითადი ნაწილი საერთოქართველურია.

მეგრული დიალექტის ლექსიკის უმთავრეს ნაწილს ქმნის საერთოქართველური სიტყვები (სალიტერატურო ქართულის ფორმათა იდენტური, ან კიდევ ფონეტიკურად სახეცვლილი ვარიანტები). საკუთრივ დიალექტური ლექსიკური ერთეულების ხვედრითი წილი შედარებით ნაკლებია.

იდენტურ ფორმათა რაოდენობა ძალზე ბევრია, მაგალითად: ადრე, ზღვა, ცა, ცხენი, კარი, დრო, ხანი, წამი, წამალი, ძალა, ღონე, წესი, წირვა, ხარება, მდიდარი, ღარიბი, ქონება, შარა, შეძენა, შეცოდება, შეწუხება, დაბადება, ხელობა, წადილი, ძღვენი, შიში, შორი, წყნარი, სწორი, დიდი, მწარე, ეზო, ჭირი, ჭკუა, ტვინი, კვალი, მხარე, კარი, ეზო, დიდი, კისერი... უდავოა, ჩამოთვლილი სიტყვები საერთოქართველური წარმომავლობისაა და უძველეს ლექსიკურ ფონდს განეკუთვნება. აღნიშნულმა ლექსემებმა დღემდე შეინარჩუნეს თავდაპირველი სახე (როგორც ფორმა, ისე სემანტიკა).

მკვლევართა ნაწილი სამწიგნობრო ენის იდენტური ლექსიკური ერთეულების არსებობას მეგრულში სალიტერატურო ენის გავლენით ხსნის: ისინი ან ნასესხებია სამწიგნობრო ენიდან, ან

⁶⁹ ჭანურში ამ ფუნქციით -ი ნაწილაკი გამოიყენება: სი ვა ვანჯიენი? "შენ არ გეძინება?"; ხატიჯე მოხთუი? "ხატიჯე მოვიდა?" (მღრ. აფხაზური -ი ნაწილაკი).

კიდევ სახეცვლილია სალიტერატურო ქართულის სათანადო მასალასთან შეგუების (ადაპტაციის) პროცესში (გ. როგავა, 1960, გვ. 161-168). ვფიქრობთ, არასწორია მათი ნასესხებ (ქართული სალიტერატურო ენიდან) სიტყვებად მიჩნევა (სესხება, როგორც წესი, უცხო ენობრივ სისტემებს შორის ხდება). მეგრულ-ჭანურ-სვანური საერთოეროვნულ ენასთან ისეთსავე მიმართებაშია, როგორც ქართლური, კახური, იმერული... დიალექტები.

ამავე დროს მეგრულს შემონახული აქვს უამრავი ისეთი სიტყვაფორმა, რომელიც თანამედროვე სამწიგნობრო ენას დაუკარგავს, მაგრამ გვხვდება ძველ წერილობით ძეგლებში; მაგ.: მეგრ. წილუა “მოკრეფა, მოწყვეტა” (მდრ. ძვ. ქართ. მოწილვა “ხილის კრეფა”); მეგრ. წინდა “ჭუჭყი” (მდრ. ძვ. ქართ. წიდა “ჭუჭყი”); მეგრ.-ჭან. გუბუა/გიბუა “ხარშვა” (მდრ. ძვ. ქართ. გობა “ხარშვა”)... მეგრ. წიკუა “დასვრა, გაჭუჭყიანება” (მდრ. ძვ. ქართ. მწიკ “ჭუჭყი”); მეგრ. კურთა “ქვედა საცვალი” (მდრ. კვართი “ზედა ტანსაცმელი, გრძელი პერანგი”)...

საერთოქართველურ ლექსიკურ ერთეულთა მნიშვნელოვანი ნაწილი სახეცვლილია ფორმოზომიერად და სემანტიკურად. ფონეტიკური ცვლილება შეიძლება იყოს პოზიციური (კომბინატორული) და ისტორიული (ბგერათმესატყვისობანი).

ძირეულ, არქაულ მასალას უმთავრესად განეკუთვნება ნათესაური ურთიერთობის, სხეულის ნაწილების, ცხოველების, ფრინველების, მცენარეების, ბუნებრივი მოვლენების, დრო-ჟამის აღმნიშვნელი ლექსიკა. აგრეთვე, რიცხვითი სახელები, ნაცვალ-სახელები, ზედსართავი სახელები, ზმნები.

საერთოქართველურ ძირ-ფუძეთა ანალიზი წარმოდგენილია არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურის, ჰ. ფენრიხის, ზ. სარჯველაძის, რ. აბაშიას, მ. ჩუხუას და სხვათა ნაშრომებში.

წარმოდგენილი მასალა ნათლად წარმოაჩენს ქართველურ ენობრივ ერთეულთა **სისტემურ ერთგარობას**. ამ დონის ენობრივი მსგავსება მხოლოდ ერთი ენის დიალექტებს შორის, ანუ ერთ სისტემაში შემავალ ქვესისტემებს შორის შეიძლება იყოს. ქართველურ დიალექტებში არ გვაქვს ისეთი ფონეტიკურ-მორფოლოგიურ-სინტაქსური მოვლენა, რომელსაც ანალოგი სალიტერატურო ენასა და სხვა დიალექტებში არ ჰქონდეს. ამდენად, **მეგრულ-ლაზურ-სვანური წმინდა ლინგვისტური (ფონეტიკურ-მორფოლოგიურ-სინტაქსურ-ლექსიკური...) ნიშნებითაც წარმოადგენს დიალექტებს და არა ენებს.**

ქართველურ კილოთა შორის არსებული ენობრივი მსგავსება-იგივეობის ფონზე რამდენად მიზანშეწონილია მეგრულ-ლაზურ-სვანური მეტყველებების დანარჩენი ქართული ქვესისტემებისაგან გამოთიშვა/განცალკევება “ქართველური ენები” სახელით. მონათესავე ენებს შორის, როგორც წესი, სხვა დონის მიმართებებია (მდრ. ქართული და აფხაზური ენები...).

ქართველური ქვესისტემები, რა თქმა უნდა, გარკვეული თავისებურებებითაც ხასიათდება (განსაკუთრებით სვანური კილოები); მაგრამ არსებული განსხვავებები/ ცვლილებები არ არის იმ რანგისა, რომ ახალი ენობრივი სისტემის წარმოქმნის საფუძვლად მივიჩნიოთ. ქართველურ დიალექტთა თავისებურებანი უნდა განვიხილოთ ქართული ენის საერთო სისტემასთან მიმართებით და არა ცალკე, იზოლირებულად.

აქვე აღვნიშნავთ, რომ მსგავსი ენობრივი სტრუქტურის მქონე ერთეულები არცთუ იშვიათად დამოუკიდებელ ენებად განიხილება (მაგ., რუსული, უკრაინული და ბელორუსული; რუმინული და მოლდოვური, სერბული, ხორვატული და სლოვენური...) ⁷⁰ ანუ: სისტემური მსგავსება-განსხვავება არ არის საკმარისი პირობა მონათესავე ენობრივ ერთეულთა სტატუსის დასადგენად.

სისტემური ერთგარობის გარდა მნიშვნელოვანია, ასევე, ეთნიკური, კულტურული და სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ფაქტორები. ქართველურ ენობრივ სამყაროში ამ მხრივაც ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ ქართველები, როგორც ერთი ცივილიზებული ეთნოსი, მრავალი საუკუნეა ერთი დედაენით ვქმნით კულტურას და ერთი ეროვნული ენა გვაქვს სახელმწიფო ენად.

ყველა პირობა გვაქვს ვთქვათ: მეგრულ-ლაზურ-სვანური მეტყველებები “დანარჩენი ქართული კილოებისაგან არ განსხვავდება იმაზე მეტად, ვიდრე გერმანული, ფრანგული, იტალიური, არაბული, სომხური, ჩინური ენების დიალექტები ერთმანეთისაგან” (თ. გვანცელაძე, 2006, გვ. 10). უდავო ფაქტია, ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება-ფორმირებაში მეგრულ-ლაზ-სვანები ისევე მონაწილეობდნენ, როგორც დანარჩენი კუთხის ქართველები. მეგრულ-ჭანურ-სვანურის

⁷⁰ მდრ.: მსოფლიოში უამრავი ენაა, რომელთა დიალექტები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ფონეტიკურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ და ლექსიკურ-სემანტიკურ დონეზე, მაგრამ მაინც დიალექტებად განიხილება და არა დამოუკიდებელ ენებად (მაგ., გერმანული, არაბული, ფრანგული, იტალიური, სპარსული...).

“უმწერლობო ენებად“ გამოცხადება ისტორიის გაყალბება უფროა, ვიდრე (ენათ)მეცნიერული ჭეშმარიტება!

გარდა ამისა, კუთხური მეტყველებების ენებად გამოცხადების შემთხვევაში დგება მისი მატარებელი სოციუმის, საზოგადოების სტატუსის საკითხიც. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ენა და ერი ურთიერთგანმსაზღვრელი ცნებებია: ენა აქვს ერს (ნაციას, ხალხს), ხოლო დიალექტი (კილო) - ამ ერის ცალკეულ ჯგუფებს (თემებს).

“მიუხედავად ეთნოგრაფიული თავისებურებებისა და ენობრივი სისტემის ვარიანტთა (დიალექტთა) სიმრავლისა, ქართველურ სინამდვილეში არ წარმოქმნილა არც ერები და არც ენები, - ენას ქმნის ხალხი, მაგრამ ასევე ენა აყალიბებს ერს... არც სალიტერატურო ენისაგან განსხვავებული სისტემა ჩამოყალიბებულა (რ. შეროზია, 2007, გვ. 391).

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, უფრო ლოგიკურია ქართველური ენობრივი სამყარო ერთიან სისტემად განვიხილოთ: არსებობს **ერთი ეროვნული ენა** (ერთი ენობრივი სისტემა) და **ათეულობით მისი ვარიანტი** (სალიტერატურო ენა და დიალექტები).

P. S. ვის სჭირდება ქართველურ დიალექტთა მეცნიერულად დაუსაბუთებელი ისეთი კლასიფიკაცია, რომელიც საუკუნეების განმავლობაში შედუღებულ ქართველთა ერთიან ენობრივ-ეთნიკურ ორგანიზმს დანაწილება-დაქუცმაცების საფრთხეს უქმნის?

დამოწმებული ლიტერატურა

რ. აბაშია, ბგერათმეცნიერების ახალგამოვლენილი რიგისათვის ქართველურ ენებში, I: არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის 62-ე სამეცნიერო სესიის მასალები, 2003.

რ. აბაშია, ბგერათმეცნიერების ახალგამოვლენილი რიგისათვის ქართველურ ენებში, II: ქართველოლოგიური კრებული, III, თბ., 2006.

ა. არაბული, მესამე სერიის ნაკვეთელთა წარმოება და მნიშვნელობა ძველ ქართულში, თბ., 1984.

ირ. ასათიანი, -ერე სუფიქსიანი თურმეობითი მეგრულში, იკე, XVII, თბ., 1970.

ირ. ასათიანი, -რ სუფიქსის კვალი მეგრულ ზმნაში, იკე, XVIII, თბ., 1973.

გ. ახვლედიანი, ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები, თბ., 1938.

ლ. ბარამიძე, პირველი თურმეობითის წარმოების ზოგი თავისებურება ქართული ენის მთის კილოებში: თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, XX, თბ., 1977.

კ. გაბუნია, ბრუნვათა სისტემები ქართველურ ენებში, სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 1998.

თ. გამყრელიძე, სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბ., 1959.

თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965.

ბ. გიგინეიშვილი, ზ. სარჯველაძე, ნანათესაობითარი მიმართულებითისა და ნანათესაობითარი დანიშნულებითის ადგილი ძვ. ქართულისა და ქართველური ენების ბრუნვათა სისტემაში: მრავალთავი, VI, თბ., 1978.

ე. დადიანი, კავშირებითის ფორმები მეგრულში (სხვა ქართველურ ქვესისტემებთან მიმართებით), საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 2001.

ე. დადიანი, გ. ბგერის დისტრიბუციისათვის მეგრულში: საენათმეცნიერო ძიებანი, XXVI, თბ., 2007.

გ. თოფურია, მოქმედებითი ბრუნვის ისტორიისათვის: მაცნე, №3, თბ., 1997.

ვ. თოფურია, კვლავ უმლაუტისათვის სვანურში, ტუმ, ტ. 8, 1928.

ვ. თოფურია, ბრუნების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით: საქ. აკად. მოამბე, ტ. V, №3, თბ., 1944.

ვ. თოფურია, გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში: იკე, VI, თბ., 1954.

ვ. თოფურია, ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის დაბოლოებანი: სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956.

ვ. თოფურია, ვითარებითი ბრუნვის დაბოლოების საკითხისათვის ქართულში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956.

ვ. თოფურია, სვანური ენა, ზმნა: შრომები, I, თბ., 1967.

ვ. თოფურია, შრომები, III, თბ., 1979.

ვ. თოფურია, სვანური ენა, შრომები, II, თბ., 2002.

ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნვა და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957.

ი. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი, ზმნა ძველ ქართულში, I-II ნაწილი, მაინის ფრანკფურტი, 1996.

გრ. იმნაიშვილი, უმლაუტი ინგილოურში: იკე, V, თბ., 1953.

გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბ., 1966.

გრ. იმნაიშვილი, ქართული დიალექტი, თბ., 1974.

ნ. იმნაძე, ზანური ენის მეგრული დიალექტის ბგერითი შედგენილობა, თბ., 1981.

გ. კარტოზია, კავშირებითთა წარმოებისათვის მეგრულში: თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, №8, 1958.

გ.კარტოზია, მეგრულის ნი (<*ინი) „რომ“ კავშირის გენეზისისათვის: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, VI, თბ., 1996.

გ.კარტოზია, ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში, თბ., 2005.

ვ.კახაძე, მეოთხე სერიის მწკრივთა წარმოება დიალექტებში: ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, თბ., 1972.

ო.კახაძე, ოკრიბულის თავისებურებანი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VI, თბ., 1954.

ო.კახაძე, აწმყოს თურმეობითის შესახებ ქართულში: კრებ. არნოლდ ჩიქობავას, თბ., 1979.

ა.კიზირია, მარტივი წინადადების შედგენილობა ქართველურ ენებში, თბ., 1982.

ბ.კიკვიძე, მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის გენეზისისათვის ქართულში, კომუნისტური აღზრდისათვის, 1960, №2.

ლ.კიკნაძე, პირველი სერიის მწკრივთა წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები: თბილისის უნივერსიტეტის შრომები, XXXB-XXXIB, თბ., 1947.

მ.კობაიძე, მთიულურის ზოგი თავისებურება, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 1990.

კ.კუბლაშვილი, ქართული ენის ქვემოიმერული დიალექტი, თბ., 1985.

ვ. კუზიბაშვილი, ხმოვანთა სისტემა ინგილოურში: მაცნე, 4, თბ., 1991

ქ.ლომთათიძე, -ქ სუფიქსისათვის მეგრულ ზმნაში: იკე, I, თბ., 1946.

ქ.ლომთათიძე, დამოკიდებულ წინადადებათა ერთ თავისებურება ზოგ ქართულ დიალექტში, I, თბ., 1946.

ა. ლომთაძე, სახელთა ბრუნვის ისტორიისათვის მეგრულში, თბ., 1987.

ელ.ლომთაძე, მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა მეგრულში, იკე, VI, თბ., 1954.

მ.მარგველაშვილი, მწკრივთა წარმოება მეგრულში, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1982.

ა.მარტიროსოვი, მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში: სახელთა ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956.

ა.მარტიროსოვი, ჩემდა, შენდა... ტიპის ნაცვალსახელთა წარმოება და ფუნქციები ქართველურ ენებში, იკე, ტ. XI, 1959.

ა.მარტიროსოვი, ქართული ენის ჯავახური დიალექტი, თბ., 1984.

გ.მაჭავარიანი, ბრუნვის ერთი ტიპის გენეზისისათვის სვანურში, თსუ შრომები, ტ. 93, 1960.

გ.მაჭავარიანი, ხმოვანთა სისტემის დახასიათებისათვის სვანურში (ბალსზემოური დიალექტის მიხედვით), თბ., 1963.

გ.მაჭავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბ., 1965.

გ.მაჭავარიანი, ქართველურ ენათა დიაქრონიული ფონოლოგიის ზოგიერთი საკითხი: თბილისის უნივერსიტეტი გიორგი ახვლედიანს, თბ., 1969.

გ.მაჭავარიანი, უმლაუტის ისტორიიდან სვანურში: იკე, XVII, თბ., 1970.

გ.მაჭავარიანი, ბრუნვის ზოგიერთი საკითხი სვანურში იკე, XXIII, 1985.

გ.მაჭავარიანი, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა, თბ., 2002.

ი.მეგრელიძე, მიცემითი ბრუნვის ნიშნისა და მესამე პირის სუბიექტური ნიშნის სახეცვლილება გურულში: თსუ შრომები, VI, თბ., 1937.

ნ.ნათაძე, მესამე სერიის დრო-კილოთა წარმოებისათვის ქართულში: იკე, VII, თბ., 1955.

ნ.ნათაძე, მყოფადისათვის ქართველურ ენებში: ქესს, ტ. II, თბ., 1961.

შ.ნიყარაძე, ზემოაჭარულის თავისებურებანი, ბათუმი, 1957.

ა.ონიანი, გრძელი ხმოვნების საკითხისათვის სვანურში: იკე, XIII, თბ., 1962.

ა.ონიანი, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები, თბ., 1989.

ა.ონიანი, სვანური ენა, თბ., 1998.

ს.ჟღენტე, სვანური ენის ფონეტიკის საკითხები, თბ., 1949.

ს.ჟღენტე, ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბ., 1953.

გ.როგავა, აორისტისა და კავშირებითი მეორის ზოგ აფიქსთა გენეზისისათვის -ევ სუფიქსთან დაკავშირებით ქართულსა და მეგრულში: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VI, №8, 1945.

გ.როგავა, ქართველურ ენათა ბგერათმესატყვისობიდან: მეგრ. რ : ქართ. გ: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ.X, №8, თბ., 1949.

გ.როგავა, დრო-კილოთა მეოთხე ჯგუფის ნაკვთები ქართველურ ენებში: იკე, თბ., 1953.

გ.როგავა, ქართველურ ენათა ბგერათმესატყვისობიდან: ქართ. რ : მეგრ. ჯ: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I, თბ., 1959.

გ.როგავა, ბგერათმესატყვისობათა დარღვევის შემთხვევისათვის ქართველურ ენებში: იკე, XII, თბ., 1960.

გ.როგავა, ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, თბ., 1962.

გ.როგავა, ქართ. ე, ზან. ი ხმოვანთა შესაბამისობის ახსნისათვის: თსუ შრომები, ტ. 164, 1975.

თ.უთურგაიძე, სახელობითი ბრუნვის -ი სუფიქსის მეხორცებისათვის ადამიანთა სახელებში, იკე, XXIV, თბ., 1985.

თ.უთურგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება, თბ., 1965.

თ.უთურგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა ვოკალიზმი: მეტყველების ანალიზისა და სინთეზის საკითხები, თბ., 1969.

თ.უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1976.

თ.უთურგაიძე, ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი, თბ., 1986.

მ.ფალავა, გ სამხრულ კილოებში: XXIV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2004.

ჰ.ფენრიხი, ზ.სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თ., 2000.

ტ.ფუტკარაძე, საერთოქართველური ა-ს ზანური რეფლექსები, იკე-ს წელიწადეული, XVII, თბ., 1990.

ტ.ფუტკარაძე, პალატალიზებული ხმოვნები ქართველურ ენებში, როგორც სუპერსტრატული გავლენების შედეგი: საენათმეცნიერო ძიებანი, VI, თბ., 1997.

ტ.ფუტკარაძე, თანამედროვე ქართული ენის ხმოვანთა სისტემა, სადოქტორო დისერტაცია, თბ., 1998.

ტ.ფუტკარაძე, ე.დადიანი, და-/დო- ზმნისწინი მეგრულში: არნ.ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 62-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2003.

ტ.ფუტკარაძე, ქართველები, ნაწილი I, ქუთაისი, 2005.

შ.ფუტკარაძე, ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების თავისებურებანი ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების მიხედვით, სადოქტ. დისერტაცია, თბ., 1995.

მ.ქალდანი, სვანური ენის ლახამულური კილოკავის ფონეტიკური თავისებურებანი: იკე, VII, თბ., 1955.

მ.ქალდანი, სვანური ენის ფონეტიკა, I, თბ., 1969.

მ.ქალდანი, უმლაუტის სისტემა სვანურში: სვანური ენის ფონეტიკა, I, თბ., 1969.

ი.ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბ., 1985.

ნ.ქუთელია, ლაზურის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 2005.

ც.ქურციკიძე, ორპირიანი ვნებითი გვარის ზმნების III სერიის მწკრივთა წარმოებისათვის ძველ ქართულში: საქ. მეცნ აკად. მოამბე, ტ.30, №2, თბ., 1963.

ა.შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973.

ა.შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.

ა.შანიძე, უმლაუტი სვანურში: თხზულებანი, ტ. II, თბ., 1981.

თ.შარაძენიძე, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში: სახელთა ბრუნვების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956.

თ.შარაძენიძე, ა > ა̄ > ე პროცესისათვის სვანურში, იკე-ს წელიწადეული, VI, თბ., 1979.

თ.შარაძენიძე, სვანურ-ქართულ-ზანური შესატყვისობის ზოგიერთი საკითხი: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXX, თბ., 1991.

ვ.შენგელია, ქართ ე: ზან. ჟგ შესატყვისობისათვის: პროფ გ.როგავას დაბადებიდან 90 წლისასდმი მიძღვნილი საიუბილეო სესია, მოხსენებათა თეზისები, 1996.

რ.შეროზია, ნო- პრეფიქსიან თურმეობითებთან დაკავშირებული ზოგი საკითხისათვის მეგრულში: ქართველოლოგიური კრებული, III, თბ., 2004.

რ.შეროზია, ქართველური სალიტერატურო ენისა და სულხან-საბას "სიტყვის კონის" ზოგიერთი საკითხისათვის, ქართველური მემკვიდრეობა, XI, ქუთაისი, 2007.

არნ.ჩიქობავა, გრძელი ხმოვნები მთიულურში: ტფ. უნივერსიტეტის მოამბე, №4, 1924.

არნ.ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტფ., 1936.

არნ. ჩიქობავა, მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის: ენიმკის მოამბე, I, თბ., 1937.

არნ.ჩიქობავა, ჭანური მყოფადის წარმოებისათვის: საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. V (1), თბ., 1944.

არნ.ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა, I, თბ., 1948.

არნ.ჩიქობავა, აწმყო ფუძის წარმოქმნის ისტორიისათვის: იკე, XIV, თბ., 1964.

არნ.ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფ., 1938.

არნ.ჩიქობავა, მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის ძველ ქართულში; სახელთა ბრუნვების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956.

არნ.ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979.

მ.ჩხუჭუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბ., 2000-2003

ქ.ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, თბ., 1973.

ა.ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960.

ზ.ჭუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში, თბ., 1986.

ბ.ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989.

ბ.ჯორბენაძე, ქართველურ ენათა დიალექტები, თბ., 1995.

ბ.ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, II, თბ., 1998.

И.Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, С.Пб., 1914: ი.ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბ., 1994.

Г.Климов, Склонение в картвельских языках сраинительно-историческом аспекте, Москва, 1962.

ეკა დადიანი

კიდევ ერთხელ ქართველურ ენა-კილოთა დაჯგუფების შესახებ

ქართველთა ენობრივი სამყაროს შედგენილობის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში არსებული მოსაზრებები ორ ძირითად ჯგუფად შეიძლება დავყოთ:

ა) ერთი ენა, ათეულობით დიალექტი: ქართული (ქართველური) ენობრივი სამყარო, ისევე როგორც ქართველი ერი, ერთიანია; ქართველთა ეროვნული ენა - ქართული ენა წარმოადგენს ერთიან სისტემას, რომელიც ქვესისტემების სახით მოიცავს ქართულ სალიტერატურო ენასა და ცალკეულ კუთხეთა მეტყველებებს/დიალექტებს, მათ შორის მეგრულ-ლაზურ და სვანურ კილოებს. ქართველთა ერთი ენის თეორია საფუძველს იღებს საისტორიო ქართული მწერლობიდან (“ქართლის ცხოვრება”); ქართველთა ერთი ენას ასახელებენ ძველი თუ ახალი თაობის მკვლევრები: ი. გიულდენშტედტი, ფრ. ალტერი, მ. ბროსე, რ. ერკერტი... პ. ჭარაია, ს. ხუნდაძე... ტ. ფუტყარაძე, თ. გვანცელაძე, მ. ტაბიძე, რ. შეროზია, მ. ნაჭყებია...).

ბ) რამდენიმე ენა, ათეულობით დიალექტი: ქართველური ენობრივი სამყარო შედგება სამი/ოთხი ენისგან: ქართული, მეგრული/ლაზური, სვანური. თითოეული მათგანი წარმოადგენს ცალკე ენობრივ სისტემას, რომელიც, თავის მხრივ, შედგება ქვესისტემებისაგან/დიალექტებისაგან. მათგან დამწერლობა საკუთრივ “ქართულს” აქვს, მეგრულ-ლაზურ-სვანური კი “უმწერლობო ქართველური ენებია”. ეს მოსაზრება სათავეს იღებს XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, გაბატონებული მოსაზრება იყო საბჭოთა პერიოდში და დღეს მას იზიარებს ენათმეცნიერთა არც თუ მცირე ნაწილი.

მონათესავე ენობრივ ერთეულთა დაჯგუფება სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით ხდება (ისტორიულ-ეთნოგრაფიული, გეოგრაფიულ-ტერიტორიული, ლინგვისტური, სალიტერატურო ენასთან სიმორე-სიახლოვე და სხვ.). ჩვენი აზრით, ქართველურ ენა-კილოთა კვალიფიკაცია-კლასიფიკაციისას უფრო ადეკვატურ შედეგებს იძლევა ე.წ. სისტემურობის პრინციპი, რომელსაც ამ ბოლო პერიოდში აქტიურად იყენებს პროფ. რევაზ შეროზია.

სისტემურობის პრინციპისთვის არსებითია ენობრივ თავისებურებათა თვისობრივი ცვალეობა: ექობრივი ქვესისტემა (დიალექტი) დამოუკიდებელ სისტემად (ენად) მაშინ იქცევა, როცა რაოდენობრივი სხვაობები გადადის თვისებრივში. ჩვენს შემთხვევაში:

მეგრულ-ლაზურ-სვანურისათვის დამახასიათებელი ენობრივი (ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკური) ნიშნები ძირითადად საერთოა ქართული სალიტერატურო ენისა და სხვა დიალექტებისა (ერთგვაროვანი ენობრივი მოვლენები ქართველურ ენა-კილოებში გაანალიზებულია პ.ჭარაიას, არნ.ჩიქობავას, ვ.თოფურის, შ.ძიძიურის, გ.როგავას, ა.კიზირის, ო.კახაძის, ბ.ჯორბენაძის და სხვათა ნაშრომებში).

მოხსენებაში კონკრეტულად განვიხილავთ ქართველური ენა-კილოების მასალას, აქ კი ზოგად სურათს წარმოვადგინოთ:

1. ქართველურ ენა-კილოებში ფონემატური სტრუქტურა არსებითად იდენტურია: თვისობრივად ერთნაირია სამეტყველო ბგერები (როგორც პარადიგმატული, ისე სინტაგმატური თვალსაზრისით); საერთოა ბგერათცვლილების კანონზომიერებები (ხმოვანთკომპლექსთა ტრანსფორმაცია, ასიმილაცია, დისიმილაცია, მეტათეზისი...); ბგერათშესატყვისობის სახელით ცნობილი ბგერათმიმართებები სპორადულად სხვა დიალექტებშიც ვლინდება.

2. ქართველურ ენა-კილოებში თვისობრივად ერთგვარია ბრუნვათა სისტემა.

3. ქართველურ ენა-კილოებში თვისობრივად ერთგვარია ზმნური სისტემა (პირისა და რიცხვის ნიშნები; ძირითად მწკრივთა წარმოება, ზმნური ყალიბები...).

4. ქართველურ ენა-კილოებში თვისობრივად ერთგვარია მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა, მარტივი წინადადების სტრუქტურა...

5. ქართველურ ენა-კილოებში თვისობრივად ერთგვარია ლექსიკა; კერძოდ, მეგრულის ლექსიკის დიდი ნაწილი სხვა ქართველური ქვესისტემების იდენტური ან ფონეტიკურად სახეცვლილია; ლაზურისა და სვანურის ლექსიკას უფრო ეტყობა უცხო ენების გავლენა.

ყველა ქართველური ქვესისტემა გარკვეული თავისებურებით ხასიათდება (განსაკუთრებით - სვანური კილოები); ცვლილებები მეორეული, გვიანდელი მოვლენებია, ამავე დროს, არ არის იმ რანგისა, რომ ახალი ენობრივი სისტემის წარმოქმნის საფუძველად განვიხილოთ; შესაბამისად, ვფიქრობთ, ქართველური ენობრივი სამყაროსთვის უფრო არგუმენტირებული ჩანს მოსაზრება: ერთი ეროვნული ენა (ერთი ენობრივი სისტემა) და ათეულობით მისი ვარიანტი (სალიტერატურო ენა და დიალექტები). ნაკლებლოგიკურია, რომ ქართველთა მრავალსაუკუნოვან ეროვნულ ენას გავუთანაბროთ რომელიმე კუთხური მეტყველება.

ლუიზა ხაჭაპურიძე

იაკობ გოგებაშვილი ქართველთა სათემო კილოების შესახებ

ენა-ლიალექტის მიმართება ერთ-ერთი საცილობელი საკითხია ენათმეცნიერებაში. ენისა და ლიალექტის გამიჯვნა, შეიძლება ითქვას, დღეისათვის გადაუჭრელ პრობლემად რჩება.

2000 წელს საქართველო მიუერთდა ევროსაბჭოს დოკუმენტებს: “ევროპული ქარტია რეგიონალური და უმცირესობათა ენების შესახებ“ და “ჩარჩო კონვენციის ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“; შესაბამისად, **საქართველოში უფრო აქტუალური გახდა ეთნიკური და ენობრივი უმცირესობების თემა.**

სამწუხაროდ, საქართველოს ენობრივ-ეთნიკური სიტუაციის ის აღწერები, რომლებიც საბჭოთა პერიოდის პოლიტიზებული სქემების გავლენით გავრცელდა საერთაშორისო ქსელში, ქართველთა დიდ ნაწილს (მეგრელებს, სვანებს, მესხებს, ლაზებს, აჭარლებს...) უმწიგნობრო ეთნიკურ უმცირესობებად აცხადებს. ირიბად თუ პირდაპირ ამ პრობლემას უკავშირდება ქართველურ ენა-კილოთა კვალიფიკაციის თემა. ნიშანდობლივია, რომ თანამედროვე ქართველ ენათმეცნიერთა წრეში ცხარე კამათია ამ პრობლემის გარშემო.

კამათის პროცესში სადავო გახდა ქართველ კლასიკოსთა მოსაზრებებიც; მაგ, მოკამათე ორივე მხარე სათავისოდ იმოწმებს დიდი ეროვნული მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის ნაწერებს. ჩვენი დღევანდელი მოხსენების თემად სწორედ “დედაენის“ ავტორის ენობრივი კონცეფცია ავირჩიეთ.

აღსანიშნავია, რომ **ქართველურ ენა-კილოთა** სტატუსის შესახებ აქტიური **დისკუსია დაიწყო** საქართველოში რუსეთის იმპერიის დამკვიდრების შემდეგ; კერძოდ, XIX საუკუნის 60-იან წლებში რუსეთის იმპერიის მოხელეები საკმაოდ დაუფარავად აცხადებდნენ, რომ საქართველოს სახელმწიფო და ქართველი ერი არ არსებობს. არიან მხოლოდ სხვადასხვა ტომები: ქართლები, კახელები, იმერლები, სვანები, მეგრელები, რაჭველები, გურულები, აჭარლები და ა.შ. მათ ერთმანეთთან ძალიან მცირე აქვთ საერთო, ისინი სხვადასხვა ენებისა და ტრადიციების მქონე

ხალხებია⁷¹ (ამ “დამოუკიდებელ ხალხებს“ კი თავს ახვევდნენ იმპერიულ ენასა და კულტურას). მეფის რუსეთის “გათიშე და იბატონეს“ პოლიტიკას წინ აღუდგნენ ქართველი საზოგადო მოღვაწენი; ხმა აღიმალღეს ფართო საზოგადოების წარმომადგენლებმაც.

იაკობ გოგებაშვილმა ქართველური ენობრივი სამყოს შედგენილობასა და ქართველური იდიომების სტატუსის საკითხს რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა. მისი წერილები ძირითადად მიმართული იყო ცარისტულ-იმპერიული **ენობრივ-ეთნიკური დივერსიის** წინააღმდეგ;

ი. გოგებაშვილთან “**მთავარი ენა**“, “**დედა ენა**“ ეროვნული ენისა და სალიტერატურო ქართული ენის სინონიმები; როგორც წესი, ტერმინი “ენა“ გამოყენებულია როგორც ეთნოსის/ეროვნების ენის (ქართული ენა, რუსული ენა, ფრანგული, სომხური...) აღსანიშნავად:

“ყოველს ერს აქვს **მთავარი ენა**, რომელიც საერთო საუნჯეს შეადგენს ამ ერის ყველა ნაწილისათვის და იწოდება მის **დედა-ენად**“ (ენა და კილო, 1902)⁷²... “რუსული ენა კი უნდა ისწავლებოდეს, როგორც ცალკე საგანი... საშუალო სასწავლებლებში... **ნემეცურსა და ფრანგულს ენას** მოწაფენი რიგიანად ვერა სწავლობენ“⁷³...

“აღარ გაიხსენო შენი ურთიერთობა დედა-ქვეყანასთანა, ილაპარაკე მხოლოდ შენს **შინაურ კილოზედ**, ზურგი შეაქციე შენს **მთავარს დედა-ენასა**“⁷⁴...

“სამეგრელოსა და სვანეთის სკოლებიდან **დედა-ენა** უნდა იქნას გამორიცხული, რადგან აქ ხალხი ადგილობრივს **კილოკავებსა** ხმარობსო?.. სომეხ ხალხსაც მთავარის სომხურის გარდა აქვთ პროვინციალური ენებიც, მაგალითად, ზოკური, რომელნიც ისე განირჩევიან მათი **დედა-ენისაგან**, რომ ბევრგან ბავშვებს ძილიერ უჭირთ ამ უკანასკნელის გაგება. მიუხედავად

⁷¹ შდრ.: ცარისტული რუსეთის იმპერიის მესვეურთა აზრით, ქართველები ერს ვერ შეადგენენ, არა აქვთ ერთიანი ეროვნული ენა, ერთიანი სამწიგნობრო კულტურა და მხოლოდ პროვინციული “თემების გროვას წარმოადგენენ“, გოგებაშვილი, 1990გ.

⁷² გოგებაშვილი, 1990გ, გვ. 516-518.

⁷³ საარაკო გადათქმა; “ივერია“, 1903; გოგებაშვილი, 1990ა გვ.473-480.

⁷⁴ ანტიპედაგოგიური ჯიუტობა “კოლხიდის“ პედაგოგისა, გაზ. “სახალხო გაზეთი“, 1911; გოგებაშვილი, 1990ბ, გვ. 293-300.

ამისა, ყველა სომხურს სკოლებში იხმარებიან სახელმძღვანელონი ლიტერატურულ **დედა-ენაზე**“ (1903)⁷⁵.

თანამედროვე ქართულის მსგავსად, იაკობ გოგებაშვილის ნაწერებშიც, იშვიათად, ტერმინი “ენა” გამოყენებულია მეტყველების, “სასაუბრო ენის” მნიშვნელობითაც და იგულისხმება **კილო-კავი**, თუმცა, როგორც წესი, “დედაენის” ავტორის შრომებში ხალხური მეტყველების მნიშვნელობით ძირითადია ტერმინი “**კილო**“.

იაკობ გოგებაშვილმა ენისა და კილოს საკითხს საგანგებო წერილიც მიუძღვნა: **“ენა და კილო“**, რომელიც **ამავე სათაურით ჯერ დაიბეჭდა 1902 წელს გაზეთ “ივერიაში” და 1903 წელს ვ. გუნიას “საქართველოს კალენდარში“**; სათაურით: **“ბოროტი წადილი სამეგრელოს შესახებ“** თავად ავტორმა შეიტანა 1903 წელს გამოცემულ თავის **“რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერების“ I ტომში** (სტატია **“ენა და კილო“** იხ. დანართში); აქვე წარმოგიდგენთ მცირე ამონარიდებს ამ და ი. გოგებაშვილის სხვა სტატიებიდან, საიდანაც ნათლად ჩანს მისი ენობრივი კონცეფცია:

“ყველა სკოლებში სწავლება მოწყობილია დედა-ენაზე და ადგილობრივ კილოებს ხმარობენ ასახსნელად და განსამარტავად იმ საერთო სიტყვებისა, რომელნიც ადგილობრივ ბავშვებს კარგად არ ესმით. ამ სახით ეფინება მთელს ხალხში დედა-ენის სრული ცოდნა... ასეთი წესია ევროპაში, ამერიკაში და ყველა კულტურულს ქვეყნებში... ასეთი გონივრული წესი იყო ჩვენს საქართველოშიაც მას უკან, რაც ქრისტიანობა მიიღო ჩვენმა ერმა. ვინ მოიფიქრებდა, თუ ამ გონივრულს წესსა მოწინააღმდეგენი გამოუჩნდებოდნენ ჩვენს საქართველოში... მაგრამ მხოლოდ ჩვენში და სხვაგან არსად... არ აღმოჩენილა იმისთანა ჭკუა-მოკლე და უკუღმართი ადამიანი, რომელსაც ეთქვას, სკოლებში სწავლება თემურ კილოებზე უნდა იყოს და არა დედა-ენაზეო.

ჩვენში კი აღმოჩნდნენ იმისთანა ჭკუით გლახაკნი, რომელთაც გაბედეს და წარმოსთქვეს, რომ სამეგრელოსა და სვანეთის სკოლებიდან **დედა-ენა** უნდა იქმნას გამორიცხული, რადგან აქ ხალხი **ადგილობრივ კილოებს** ხმარობსო.

⁷⁵ ბოროტი წადილი სამეგრელოს შესახებ; რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები“ ტ. I, 1903; გოგებაშვილი, 1990ა, გვ. 357-360

... ჩვენ ყველამ წმინდა მოვალეობად უნდა დავსახოთ მტკიცედ დაცვა და აღორძინება ქართულის **დედა-ენისა** სამეგრელოსა და სვანეთის ეკლესიაში და სკოლაში“ (სრულად იხ., დანართში).

“მეგრელები შეადგენენ ქართველთა შტოსა. სხვა ქართველებისაგან ბევრით არაფრით განსხვავდებიან, მარტო ენით არიან ცოტათი განცალკევებულნი, მაგრამ ძირი და ცხრა მეთაიანი მეგრული ენისა სულ ქართულია. ღრმა მცოდნენი ქართულის ენისა მეგრელებს შორის უფრო ბევრნი მოიპოვებიან, ვიდრე სხვა ქართველებში“; მაგრამ იქვე ვკითხულობთ: **“...მათ თავის სალიტერატურო ენად მიიჩნიეს ქართული ენა, პროვინციულ კილოს კი მხოლოდ შინაურობაში ხმარობდნენ“... ან “ამ 15 წლის წიდად სამოსწავლო ბიუროკრატიაში მოიწადინა სამეგრელო მოეწყვიტნა და განეცალკავებია საქართველოსგან. დაიწყო ხმამაღალი ღალადისი, მეგრელები ქართველები არ არიან, საკუთარი ენა აქვთო; შეადგენინა აშორდია-განშორდებებს მეგრული ანბანი... ამ საკითხის თაობაზე მე დავწერე წერილი, რომელიც მოთავსებულია ჩემს “რჩეული ნაწერების“ კრებულში სათაურით “ბოროტი წადილი სამეგრელოს შესახებ“ (ანტიპედაგოგიური ჯიუტობა “კოლხიდის“ პედაგოგისა, გაზ. “სახალხო გაზეთი“, 1911)⁷⁶;**

“მართლაც, რას წარმოადგენს მეგრელის ტიპი, თუ არა ქართველს? რას წარმოადგენს მეგრული ენა, თუ არა ოდნავ შეცვლილ ქართულს. პრაგმატული ენა ბევრად უფრო დაშორებულია ფრანგულისაგან, ვინემ მეგრული ქართულისაგან“⁷⁷

“ამ პროვინციებს თავიანთი თავი მუდამ, უხსოვარი ღრობიდან, საქართველოს ნაწილებად მიიჩნდათ და ქართული ენა თავიანთ დედა ენად სწამდათ. მწერლობაშიც იმასა ხმარობდნენ ადმინისტრაციამაც და სამართალშიაც. შინაურ მიწერ-მოწერასაც კი და სავაჭრო დაფორებს ქართულად აწარმოებენ ქართულის ანბანითა... მეგრელები და სვანები ხშირად ლაპარაკობენ თავიანთ სახლში თავიანთებურ კილოზე, მაშასადამე, ქართული არ უნდა ვასწავლოთ იმათო, მაგრამ განა სომხები, ოსები, თათრები — კი არა ლაპარაკობენ სხვადასხვა კილოზე? მაშ, იმათ რაღათ ასწავლიან თავიანთ ზოგად დედა

⁷⁶ გოგებაშვილი, 1990ბ, გვ. 293-300

⁷⁷ სტატია სამი ახალი წიგნი ი. გოგებაშვილისა, ივერია, 1904, №107

ენას? ქართველთა სხვადასხვა ტომობამ ვის რა დაუშავა, რომ იმათთვის აკრძალული ხილი უნდა იყოს **ზოგად ქართული კულტურული ენა**“ (შევიწროვება ქართულისა ენისა და ქართველებისა, სწავლა-განათლების სფეროში)⁷⁸;

“სად თქმულა და გაგონილა, რომ უბრძანონ მთელს მხარესა, კარგა ბლომს ნაწილს ქვეყნისასა: აღარ გაიხსენო შენი ნათესაური დამოკიდებულება **დედა-ქვეყანასთანა**, ილაპარაკე მხოლოდ შენს **შინაურ კილოზედ**, ზურგი შეაქციე შენს **მთავარს დედა-ენასა** და დაივიწყე იგი, გადაადგე იქით მშობლიური ანბანი, შენი მონაწილეობით მოგონილი, უარჰყავ სამშობლო ლიტერატურა, რომლის სალაროში არც ერთ ძმაზედ შენ ნაკლები არ შეგიტანია, გააუქმე შენი საღმრთო მეტყველება, რომელთანაც შეხორცებულა შენი სარწმუნოება, **დაივიწყე შენი ათასის წლის ისტორიული არსობა და გადაიქეც ველურ ხალხად, რომელმაც ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყოსო**“ (დაბალი ლოზე ერთა შორის, 1894)⁷⁹

“მეგრელებმა ყველა ქართველ ტომთან ერთად, იმთავითვე აღიარეს ქართული ანბანი თავის საკუთარ ანბანად და თავის სალიტერატურო ენად მიიჩნიეს **ქართული ენა, პროვინციული კილოს** კი მხოლოდ შინაურობაში ხმარობდნენ... მეგრელთა ტომი **ქართულ ენას** ყოველთვის თვლიდა თავის ძირითად **მშობლიურ ენად (დედა-ენად)** ხოლო თავის **ადგილობრივ დიალექტს** უცქეროდა როგორც **მშობლიურ კილოს**... მეგრელები-სათვის იმის თქმა, რომ მათ არა აქვთ ანბანი, არც დამწერლობა, არც ლიტერატურა, რომ ყველაფერი ეს ამიერიდან უნდა შექმნასო, განა იმას არ ნიშნავს, რომ წავართვათ მათ მთელი მათი სახელოვანი წარსული, მთელი ისტორიული მონაპოვარი, გამოვაცხადოთ ისინი გონებრივ ლატაკებად და გვერდით ამოვუყენოთ ისეთ ბარბაროსულ ტომებს, რომელთაც არავითარი ისტორია არ გააჩნიათ?... ფრანგი მოგზაურის შარდენის გადმოცემით, რომელმაც XVIII საუკუნის დამდეგს იხანულა სამეგრელო, სამეგრელოში მცხოვრებ და მქადაგებელ კათოლიკე მისიონერებს, **მეგრული კილოს** შესწავლის შემდეგ, ადვილად ესმოდათ ქართული ენა“ (მეგრული დაწყებითი სკოლის საკითხისათვის, გაზ. “პეტერბურგსკიე ვედმოსტი“, 1903)⁸⁰.

⁷⁸ გოგებაშვილი, 1990გ, გვ. 519

⁷⁹ გოგებაშვილი, 1990ა, გვ. 102

⁸⁰ იქვე, გვ. 460-472

“...რომ ქართული მწიგნობრობა მეგრელთათვის საკუთარი არ ყოფილიყო, მეგრულ მწიგნობრობას თვით მეგრელები შექმნიდნენ, შექმნიდნენ მრავალ საუკუნით ადრე“ (იქვე). ამავე წერილის ბოლოს ი. გოგებაშვილი კიდევ უფრო შორს მიდის:

“საღვთო სჯულის სწავლებას **განუვითარებელ მეგრულ კილოზე**, რომლის საშუალებითაც მხოლოდ მატერიალური საგნებისა და მატერიალური ურთიერთობის გამოხატვა შეიძლება, სამეგრელოს ხალხი სარწმუნოების პროფანაციად, თავისი სარწმუნოებრივი გრძნობის შელახვად თვლის... ყოველივე ზომოხსენებულს ჩვენ საჭიროდ ვთვლით და ვუმატოთ ისიც, რომ ის, რაც მეგრელთა შესახებ ითქვა, სავსებით შეეხება ქართველი ხალხის მეორე შტოსაც — სვანებს, რომელთა არაქართველებად გადაქცევას ლამობენ იგივე გულმოდგინე, ხებრე პოლიტიკანები“ (მეგრული დაწყებითი სკოლის საკითხისათვის, გაზ. “პეტერბურგსკიე ვედმოსტი“, 1903)⁸¹.

სტატიის “**აფხაზეთის შესახებ**“, რომელიც 1907 წელს გამოქვეყნდა ი. გოგებაშვილი გარკვეულ ზღვარს ავლებს აფხაზურის, როგორც ენისა და მეგრულის, როგორც კილოს შორის:

“იშვითად შემხვედრია სოფლელი აფხაზი, რომელსაც ქართული ლაპარაკი ესმოდა. იმავე დროს არ მინახავს არც ერთი მეგრელი, რომელსაც ეგვე ენა არ ესმოდა. აი რა განსხვავებაა აფხაზთა და მეგრელთა შორის. ამ განსხვავების შედეგი იყო, რომ მაშინ, როცა **მეგრელები ყველა საუკუნეში საქმიან მონაწილეობას დებულობდნენ ქართული სასულიერო და საერო ლიტერატურის გამდიდრებაში თავისი ნიჭიერ ნაწარმოებებით**. აფხაზეთისათვის ასეთი მონაწილეობა სრულიად უცხო იყო. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქართული წარმოშობის ზოგიერთ არისტოკრატს. **აფხაზური ენა ქართული ენის კილო კი არ არის**, არამედ დამოუკიდებელი ენა“ (აფხაზეთის შესახებ, 1907)⁸².

ზოგი თვლის, რომ იაკობის ფრაზა: “მეგრელი ბავშვები ქართულს სწავლობენ“ მიუთითებს, რომ მეგრული ენაა⁸³. სრულ კონტექსტში მოყვანილი დამოწმებული ციტატა, ვფიქრობთ,

⁸¹ იქვე, გვ. 468

⁸² გოგებაშვილი, 1990ბ, გვ. 134

⁸³ გოგებაშვილი, 1990გ, გვ. 516-518

ამგვარი დასკვნის საფუძველს არ იძლევა⁸⁴; შდრ.: იაკობი ამავე აზრს იქვე სხვა სიტყვებით აყალიბებს:

“ჩვენებურს სკოლებში, შავი ზღვიდან მოკიდებული დაღესტნის საზღვრამდე იხმარებოდა მხოლოდ წიგნები საერთო ლიტერატურულ დედა-ენაზე დაწერილი. განსამარტავად ადგილობრივ გაუგებარ სიტყვებისა და ფრაზებისა მასწავლებლები ხმარობდნენ სიტყვიერად ადგილობრივს ტერმინებსა და ფრაზებსა, მაგ., სამეგრელოში და სვანეთში, და სწავლასთან ერთად ავრცელებდნენ დედა-ენის სრულს ცოდნასა“ (ენა და კილო, 1902)⁸⁵.

რბილად რომ ვთქვათ, საკამათოა გ.გოგოლაშვილის სხვა შეფასებაც; კერძოდ, მისი აზრით, ი.გოგებაშვილი **კილოს, კილო-კავს**, მხოლოდ მეგრელთა და სვანთა აღსანიშნავად იყენებს და არა საქართველოს სხვა კუთხის შვილთა მეტყველების სინონიმად; გ. გოგოლაშვილი თვლის, რომ იაკობ გოგებაშვილი ტერმინ “კილოში” ენას გულისხმობს “პოლიტიკური მოსაზრებების” გამო: “რაც შეეხება ტერიტორიულ დიალექტებს (იმერული, გურული, კახური, ქართლური...) მათ იაკობი ამგვარი ტერმინებით არ განმარტავს, არ მოიხსენებს ამგვარად; ჩვეულებრივ მიანიშნებს: ასე იტყვიან იმერეთში, ქართლში, კახეთში... გართულებული ეროვნული ვითარების გამო წმინდა პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა თავშეკავებას, რომ მეგრულისა და სვანურისათვის ეწოდებინა ენა“ (გოგოლაშვილი, 2008, გვ. 21-22)⁸⁶.

“დედაენის“ ავტორისთვის პოლიტიზებულობის დაბრალება უხერხულად გვეჩვენება⁸⁷; გარდა ამისა, როგორც ზემოთ ვნახეთ,

⁸⁴ გარდა ამისა, ნებისმიერი კილოს მფლობელი, ვინც ენა აიღვა რომელიმე კილოზე, სწავლობს სტანდარტულ ენას; შდრ., მაგ., საენათმეცნიერო ლიტერატურაში არაერთგან კვითხულობთ: “სალიტერატურო ინგლისურს ინგლისელები სწავლობენ, როგორც დამოუკიდებელ ენას. ის აერთიანებს ერთ ერად ინგლისურენოვან სამყაროს და არა ინგლისურის დიალექტები, რომლებიც დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან“ (ნებიერიძე, 1999, გვ. 46); ანალოგიური სიტუაციაა არაბეთშიც (ჟორდანი, 1976).

⁸⁵ გოგებაშვილი, 1990გ, გვ. 516-518

⁸⁶ გოგოლაშვილი, 2008, გვ. 21-22

⁸⁷ მით უმეტეს, იაკობი დაუღალავად, მიუკერძოებლად და თავდადებით იბრძოდა რუსეთის იმპერიის მიერ პოლიტიზებული დებულებებისა და ქართველთა ეთნიკურ-ენობრივი ერთიანობის დასაცავად.

იაკობ გოგებაშვილი ტერმინ “ენასაც“ იყენებს (ოღონდ **კილოს** გაგებით!)⁸⁸.

იმპერიის ენობრივ-ეთნიკური დივერსიების წინააღმდეგ ი.გოგებაშვილის დაუცხრომელი ბრძოლის ერთ-ერთი ნიმუშია მისი წერილი “ანტიპედაგოგიური ჯიუტობა “კოლხიდის“ პედაგოგისა“ (1911 წ.); ერთ ფრაგმენტს დავიმოწმებთ:

“ამ თხუთმეტის წლის წინად სამოსწავლო ბიუროკრატია მოიწადინა სამეგრელო მოეწყვიტნა და გაეცალკავებინა საქართველოსაგან. დაიწყო ხმამაღალი ლაღადისი, მეგრელები ქართველები არ არიან, თავისი საკუთარი ენა აქვთო; შეადგენინა ამორდია-განშორდებს მეგრული ანბანი, რუსულს ენაზე აშენებული და სკოლებში შეეცადა მის გავრცელებას სამეგრელოს საზღვრებში. ამ საკითხის თაობაზე მე დავწერე წერილი, რომელიც მოთავსებულა ჩემს “რჩეული ნაწერების“ კრებულში ამ სათაურით “ბოროტი წადილი სამეგრელოს შესახებ“ (ეს ის წერილია, რომელიც თავდაპირველად, 1902 წელს, “ენა და კილოს“ სახელწოდებით გამოსცა — ლ.ხ.). **ბიუროკრატია ამ მეტად იწყინა და ადმინისტრაციას ააკრძალვინა ამ საგანზე წერა.** დავწერე რუსულად წერილი და ბ-ნ შიო დავითაშვილის რუსულს კრებულში “**Весь Кавказ**“-ში მოვათავსე, მაგრამ ცენზურამ არ გაუშვა და ამოსჭრა. მაშინ ჩემი წერილი უფრო გავაფართოვე და მოსკოვში გაუგზავნე დასაბეჭდად რომელსამე პერიოდულს გამოცემაში სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტს მიხეილ გედევანიშვილს, ახლა გამოჩენილს ექიმს თბილისში. **არც ერთს მოსკოვის გაზეთს არ მიეღო წერილი, მაგ თემაზე სჯა აკრძალული გვაქვსო.** მოსკოვიდან ქართველს სტუდენტებს გაეგზავნათ პეტერბურგში, მაგრამ იქაც ვერ დაებეჭდათ იმავე მიზეზის გამო. როცა ეს პეტერბურგიდან შემატყობინეს, მივწერე, ცალკე წიგნაკად გამოეცით მეთქი, და თხუთმეტი თუმანიც დასაბეჭდად გავუგზავნე. სტუდენტებმა დაბეჭდეს საუკეთესო სტამბაში, ჩინებულს ქალაქზე და შნოიან წიგნაკად გამოსცეს ამ სათაურით “მეგრული დაწყებითი სკოლის საკითხისათვის“. ეს წიგნი კი ბლომად მოეფინა საქართველოში... ხმა ამოიღეს

⁸⁸ “რას წარმოადგენს **მეგრული ენა**, თუ არა ოღნავ შეცვლილ ქართულს“ (სამი ახალი წიგნი ი. გოგებაშვილისა, “ივერია“, 1904); “ცხრა მეთაფი **მეგრული ენისა** სულ ქართულია“ (ანტიპედაგოგიური ჯიუტობა “კოლხიდის“ პედაგოგისა, გაზ. “სახალხო გაზეთი“, 1911; გოგებაშვილი, 1990ბ, გვ. 293-300)

მეგრულმა მოძღვრებმა, ინტელიგენტებმა, გლეხებმა... სხვა კუთხეებმაც ჩვენის ქვეყნისამ ბანი მისცეს მეგრულსა და შეიქმნა საზოგადო მოძრაობა, რომელმაც მოსპო ბოროტი განზრახვა და გააუქმა შეთითხნილი მეგრული ანბანი...

მე ვითხოვდი ჩემის დაჩაგრულის სამშობლოსათვის ყველა უფლებას, რომლის მიღება შესაძლებელი იყო იმ გარემოებაში, რომელშიაც იმყოფება საქართველო. ჩემი დევიზი იყო: **მაქსიმუმი შესაძლებლობისა**“ (გოგებაშვილი, 1990, 299-301)⁸⁹.

ჩვენ ვეცადეთ იაკობ გოგებაშვილის თვალსაზრისი ქართველთა სათემო კილოების შესახებ **აკადემიური კონტექსტებით** გადმოგვეცა, პატიოსნად გვეჩვენებინა ის, რასაც მიუძღვნა მან, როგორც საქართველოს ერთიანი ეთნიკურ-ენობრივი სივრცისათვის დაუღალავმა მებრძოლმა, თავისი სიცოცხლე და შემოქმედება.

“ვისაც ყურნი ასხენ ისმინონ!“ (იოანე, 13).

დამოწმებული ლიტერატურა

- გოგებაშვილი, 1990ა** - ი. გოგებაშვილი, რჩეული თხზულებანი, ტ. II, თბ., 1990.
- გოგებაშვილი, 1990ბ** - ი. გოგებაშვილი, ტ. III, თბ., 1990.
- გოგებაშვილი, 1990გ** - ი. გოგებაშვილი, ტ. IV, თბ., 1990.
- გ.გოგოლაშვილი**, ქართველური ენობრივი სივრცე ი. გოგებაშვილის თვალთახედვით, I რესპუბლიკური კონფერენციის ნაშრომები, ეძღვნება აკად. გ. ახვლედიანის ხსოვნას, წყალტუბო, 2008.
- ნებიერიძე, 1999** - გ. ნებიერიძე, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1999.
- ჟორდანიას, 1976** - ალ. ჟორდანიას, ორენოვების საკითხი ეგვიპტეში: მაცნე (ენა-ლიტ. სერია), თბ., 1976.

ლუიზა ნაჭაპურიძე

იაკობ გოგებაშვილი ქართველთა სათემო კილოების შესახებ

ენა-დიალექტის მიმართება ერთ-ერთი პრობლემური საკითხია ენათმეცნიერებაში. ენისა და დიალექტის გამიჯვნა, შეიძლება ითქვას, დღეისათვის გადაუჭრელ საკითხად რჩება.

იაკობ გოგებაშვილმა ქართველური ენობრივი სამყაროს შედგენილობასა და მათი სტატუსის საკითხს რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა. რამდენადაც დღეს საკამათო გახდა “დედაენის” ავტორის ენობრივი კონცეფცია, ჩვენ საგანგებოდ შევისწავლეთ მისი ნაშრომები.

ი.გოგებაშვილთან “მთავარი ენა“, “დედა ენა“ ეროვნული ენისა და სალიტერატურო ქართული ენის სინონიმებია; როგორც წესი, ტერმინი “ენა“ გამოყენებულია როგორც ეთნოსის/ეროვნების ენის (ქართული ენა, რუსული ენა, ფრანგული, სომხური...) აღსანიშნავად; იშვიათად, ენა ნიშნავს სასაუბრო ენასაც - კილო-კავსაც, თუმცა ამ მნიშვნელობით ძირითადია “კილო“; შდრ., რამდენიმე ციტატა:

“ალარ გაიხსენო შენი ურთიერთობა დედა-ქვეყანასთანა, ილაპარაკე მხოლოდ შენს შინაურ კილოზედ, ზურგი შეაქციე შენს მთავარს დედა-ენასა“;

“ცნობილია, რომ ყოველ ერს აქვს მთავარი ენა, რომელიც იწოდება მის დედა ენად და თემური კილო-კავები, რომელნიც იხმარებიან ადგილობრივ“;

“მეგრელები ლაპარაკობენ განსაკუთრებულ ქართულ კილოზე, რომელსაც მეგრული ეწოდება“; “მეგრელები შეადგენენ ქართველთა შტოსა. სხვა ქართველებისაგან ბევრით არაფრით განსხვავდებიან, მართო ენით არიან ცოტათი განცალკევებულნი, მაგრამ ძირი და ცხრა მეთათედი მეგრული ენისა სულ ქართულია. ღრმა მცოდნენი ქართულის ენისა მეგრელებს შორის უფრო ბევრი მოიპოვებიან, ვიდრე სხვა ქართველებში“; “...მათ თავის სალიტერატურო ენად მიიჩნიეს ქართული ენა, პროვინციულ კილოს კი მხოლოდ შინაურობაში ხმარობდნენ“...

გასათვალისწინებელია, რომ ქართველური ენობრივი სამყაროს შედგენილობის შესახებ მისი წერილები ძირითადად მიმართულია ცარისტულ-იმპერიული ენობრივ-ეთნიკური დივერსიის წინააღმდეგ; შდრ.: ცარისტული რუსეთის იმპერიის მესვეურთა აზრით, ქართველები ერს ვერ შეადგენენ, არა აქვთ ერთიანი ეროვნული ენა, ერთიანი სამწიგნობრო კულტურა და მხოლოდ პროვინციული “თემების გროვას წარმოადგენენ“.

⁸⁹ გოგებაშვილი, 1990ბ, გვ.299-301

27 ნოემბერი, 2009 წელი.

**საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების
პროფესორ-მასწავლებლებს**

პატივცემულო კოლეგებო!

დღეს ქართველობისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ეროვნული ენის (დედაენის) ისტორიისა და აწმყოსეული პრობლემების მცოდნე მომავალი თაობების აღზრდა. სამწუხაროდ, მეცნიერებისა და განათლების სფეროში 2004-2007 წლებში მიმდინარე რეფორმების პროცესში საქართველოში მოქმედ უნივერსიტეტთა უმრავლესობაში **მკვეთრად შეიზღუდა ქართული ენის სწავლება**; ზოგ უნივერსიტეტში ქართული ენა, თუნდაც ქართულენოვანი ტერმინოლოგია, სულ არ ისწავლება (ბუნებრივია, ე.წ. “აკადემიური წერა“ ვერ ცვლის საქართველოს სახელმწიფო ენას - ქართულ ენას).

ამ ფონზე ერთგვარ გამონაკლისს ქმნის **ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი**, სადაც “ქართული ენის ისტორიას“ (ქართველოლოგიის შესავალის ფორმატი) სწავლობს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ყველა პირველკურსელი (მომავალი ანგლისტები, გერმანისტები, ფრანკოფონები, ირანისტები, არაბისტები, თურქოლოგები და სხვ.).

აღვნიშნავთ ასევე, რომ მომავალი **ქართველოლოგების** გარდა “**ქართველურ ენათმეცნიერებას**“, როგორც დამოუკიდებელ საგანს, სწავლობენ რომანულ-გერმანული ენების სპეციალობის **დოქტორანტები**; ისტორიის, ჟურნალისტიკის, **ეკონომიკის** სპეციალობის ბაკალავრიატის სტუდენტებთან კი იკითხება “**ქართული ენის პრაქტიკული კურსი**“.

რეფორმისშემდგომი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველი კურსისთვის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის **ქართული ენის დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლების** (ტარიელ ფუტყარაძე, ჟუჟუნა ფეიქრიშვილი, მანანა

მიქაძე, მარინე ქაცარავა, რუსუდან სალინაძე, ეკატერინე დადიანი, იზოლდა რუსაძე, თამარ ლომთაძე, ნინო ფხაკაძე) **მიერ** 2006 წელს შეიქმნა სახელმძღვანელო: “**ქართული ენის ისტორია**“.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არაქართველოლოგი სტუდენტები მომდევნო კურსებზე აღარ სწავლობენ ქართულ ენას, ამიტომ **სახელმძღვანელოს მიზნად** განვსაზღვრეთ არა მხოლოდ ქართველთა ენობრივი სამყაროს, ქართველოლოგიური კერებისა და სამწიგნობრო ენის ფორმირების ისტორიის წარმოჩენა, არამედ მასში თავი მოვუყარეთ ძირითადი ენობრივი ფაქტების განსხვავებულ ინტერპრეტაციებსაც; შესაბამისად, სახელმძღვანელოს წინასიტყვაობაში ვწერთ:

“წარმოდგენილი სახელმძღვანელოს სახელწოდება **გარკვეულწილად პირობითია**, ვინაიდან მასში ზოგადადაა მიმოხილული არა მხოლოდ ქართველური ენობრივი სამყაროს ისტორია, არამედ ქართველოლოგიის შესავალი კურსისა და ქართული სამწიგნობრო ენის ნორმირების ზოგი საკითხი“ (ქართული ენის ისტორია, 2006, გვ. 3).

ჩვენდა გასაკვირად, “ქართული ენის ისტორიისაც“ საგაზეთო პასკვილით (<http://www.opentext.org.ge/09/sakartvelos-respublika/174/174-13.htm>) გამოუცხადა ბრძოლა გ. გოგოლაშვილმა, რომელიც ბოლშევიკური პათოსით დანაშაულად თვლის “ქართული ენის ისტორიით“ სწავლებას.

მიგვაჩნია, რომ პასკვილის ავტორი ლახავს “ქართული ენის ისტორიის“ ავტორებისა და სახელმძღვანელოს რედაქტორის ღირსებას, ამავე დროს ცდილობს, საგაზეთო პროვოკაციებით სახიფათო “პოლიტიკური ვნებები“ გამოიწვიოს და თან ხელი შეუშალოს ქართულ ენის ისტორიის სწავლებას აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც.

პატივცემულო კოლეგებო,

წარმოგიდგენთ ჩვენ მიერ შექმნილ სახელმძღვანელოს და გთხოვთ, შეაფასოთ წიგნიცა და მავანის მიერ მისი აკრძალვის მოთხოვნის “**საბჭო**“ური სტილი და მოტივი.

აქვე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანთან, ქ-ნ ნინო ჩიხლაძესთან წინასწარი კონსულტაციის შემდეგ, თავს უფლებას ვაძლევ, შემოგთავაზოთ:

2010 წელს ქუთაისში ჩავატარეთ **კოლოკვიუმი**. კოლოკვიუმზე წარმოვადგინეთ **2006-2010 წლებში** საქართველოს უნივერსიტეტებში **ქართველური ენათმეცნიერების** მიმართულე-ბით **გამოქვეყნებული ახალი სახელმძღვანელოები** და აკადემიური ოპონირების გზით განვიხილოთ ისინი (მათ შორის “ქართული ენის ისტორია”).

სასურველია, კოლოკვიუმზე წარმოდგენილი იყოს საუნივერსიტეტო გამოკითხვის შედეგებიც, რომლებშიც ასახული იქნება ბაკალავრიატის სტუდენტთა თუ მაგისტრანტთა დამოკიდებულება განსახილველი სახელმძღვანელოებისადმი.

ამგვარი ერთობლივი სამუშაო კარგი წინაპირობა იქნება ჩვენს უმაღლეს სკოლებს შორის პროფესორ-მასწავლებლებისა და სახელმძღვანელოების გაცვლისათვის.

პატივისცემით

პროფესორი ტარიელ ფუტყარაძე

“ქართული ენის ისტორიის“ რედაქტორი,

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ქართული ენისა და ზოგადი ენათმეცნიერების დეპარტამენტის სრული პროფესორი, ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი

დ ა ნ ა რ თ ი

იაკობ გოგებაშვილი

ენა და კილო⁹⁰

ყოველ ერს აქვს მთავარი ენა, რომელიც საერთო საუნჯეს შეადგენს ამ ერის ყველა ნაწილისათვის და იწოდება მის **დედა ენად და თემური კილო-კავები**, რომელნიც იხმარებიან ადგილობრივ. ხალხის განათლებაში ამ სიტყვიერების ფაქტორებს კაცობრიობის კეთილგონიერებამ ასეთი დანიშნულება მისცა: ყველა სკოლებში სწავლა მოწყობილია **დედა ენაზე და ადგილობრივის კილოკავებს** ხმარობენ ასახსნელად და განსამარტავად იმ საერთო სიტყვებისა, რომელნიც ადგილობრივ ბავშვებს კარგად არ ესმით. ამ სახით ეფინება მთელს ხალხში **დედა ენის** სრული ცოდნა და მასთან ერთად ვრცელდება განათლება. ასეთი წესია ევროპაში, ამერიკაში და ყველგან კულტურულ ქვეყანაში.

ასეთივე წესი არსებობს რუსეთის ხალხთა შორის და, სხვათა შორის კავკასიელებშიც. კავკასიელს თათრებს, მაგალითად, აქვთ რამდენიმე პროვინციული ენა. **ადგილობრივი კილო**, რომელიც დიდად განირჩევა მათის **დედა-ენიდან**, რომელსაცა ჰქვია ადერბეიჯანული ენა. სახელმძღვანელო წიგნები თათრულის ენისა და რუსულისა ყველა თათრულის სკოლებისათვის მხოლოდ ამ უკანასკნელს ენაზე არიან შემდგარი და ეს სახელმძღვანელოები იხმარებიან ყველა თათრულ თემთა შორის, სადაც კი სკოლები არსებობენ. თუ მკითხველი იფიქრებს, რომ ეს თათრული სახელმძღვანელოები რომელიმე პატრიოტ თათრისაგან იქმნებიან შედგენილი, ძალიან მოსტყუდება. მათი ავტორი არის

⁹⁰ გოგებაშვილი, რჩეული თხზულებანი, ტ. IV, თბ., 1990გ, გვ. 516-518

ბუნებრივი რუსი, ჩერნიავესკი, რომელიც ჯერ ჩინოვნიკად იყო თათრულს პროვინციაში, სადაც კარგათ შეისწავლა თათრული ენა, მერმე გაპედაგოგდა, გახდა ინსპექტორად გორის საოსტატო სემინარიის თათრულის განყოფილებისა და სწორედ ამ დროს შეადგინა თათართათვის მათის დედა-ენისა და რუსულის ენის სახელმძღვანელოები და ორივეში მხოლოდ საერთო ადერბეიჯანული ენა იხმარა. ახლა ვიკითხოთ: როგორ მიეგება ამ ნაბიჯს სასკოლო მთავრობა? დიდი სიამოვნებით, და არამც თუ მოიწონა ჩერნიავესკის წიგნები, არამედ საღსარიც მისცა, რომ თვითონ ავტორს გამოეცა ეს წიგნები და გაეგრცვლებინა სკოლებში. ახლა ყველა თათრულს სკოლებში იხმარებიან ეს სახელმძღვანელოები, **ადგილობრივის თათრულის კილოების დანმარებით და ავრცელებენ თათრულს დედა-ენას კავკასიელ თათარ თემთა შორის**, მისი შუამავლობით ცოდნასა ჰფენენ ხალხში და აერთებენ, ერთად კუმშავენ ყველა თემის თათრებსა.

ასეთი წესია სომეხთა შორისაც. ამ ხალხსაც, მთავარის სომხურის გარდა, აქვს პროვინციალური ენებიც, მაგალითად, ზოკური, რომელიც ისე განირჩევიან მათი დედა-ენისაგან, რომ ბევრგან ბავშვებს ძლიერ უჭირთ ამ უკანასკნელის გაგება. მიუხედავად ამისა, ყველა სომხურს სკოლებში იხმარებოდნენ და იხმარებიან სახელმძღვანელონი, რომელნიც შედგენილნი არიან ლიტერატურულ დედა-ენაზე. ამითი მთელს სომხობაში ღრმად იდგამს ფესვებს ერთი და იგივე ლიტერატურული დედა-ენა, ერთი და იმავე ცოდნა და მჭიდროდ აერთებს ხალხსა.

ასეთი გონივრული წესი იყო ჩვენს საქართველოშიაც მას უკან, რაც ქრისტიანობა მიიღო ჩვენმა ერმა და დააარსა სკოლები. IV საუკუნეიდგან დაწყებული დღემდე ყველა ჩვენებურს სკოლებში, **შავი ზღვიდგან მოკიდებული დაღისტნის საზღვრამდე, იხმარებოდა მხოლოდ წიგნები, საერთო ლიტერატურულ დედა-ენაზე** დაწერილნი. განსამარტავად ადგილობრივ გაუგებარ სიტყვებისა და ფრაზებისა, მასწავლებლები ხმარობდნენ სიტყვიერად ადგილობრივის

ტერმინებსა და ფრაზებსა, მაგ., სამეგრელოში და სვანეთში, და სწავლასთან ერთად ავრცელებდნენ **დედა-ენის** სრულს ცოდნასა. ვინ მოიფიქრებდა, თუ ამ გონივრულს წესს, ღვთისაგან დალოცვილს და კაცთაგან მოწონებულს, მოწინააღმდეგენი გამოუჩნდებოდნენ ჩვენს ქვეყანაში, საქართველოში, მაგრამ მოულოდნელი ახდა, შეუძლებელი აცხადდა, და აცხადდა მხოლოდ ჩვენში და სხვაგან არსად, არც სომეხთა შორის, არც თათართა შორის და არც სხვა კავკასიელებში არ აღმოჩენილია იმისთანა ჭკუა-მოკლე და უკუღმართი ადამიანი, რომელსაც ეთქვას, სკოლებში სწავლება **თემურს კილოებზე** უნდა იყოს და არა **დედა ენაზე**.

ჩვენში კი აღმოჩნდნენ იმისთანა ჭკუით გლახაკნი, რომელთაც გაჰბედეს და წარმოთქვეს, რომ სამეგრელოსა და სვანეთის სკოლებიდგან **დედა-ენა** უნდა იქნას გამოორიცხული, რადგან აქ ხალხი **ადგილობრივის კილო-კავებსა** ხმარობსო.

რას გვიქადის ამ უკუღმართის აზრის სისრულეში მოყვანა, გახორციელება? რასაკვირველია, მეტად ცუდს მომავალსა. ერთმა კავკასიელმა ერმა კაი ხანია მოჰკლიჯა ჩვენს სამშობლოს აღმოსავლეთის ვეებერთელა კუთხე, სახელდობრ ზაქათალის მაზრა, საინგილო, ყარაიასი, მეორემ ერთის საუკუნის განმავლობაში ხელთ იგდო სამი დიდი მაზრა საქართველოსი: ახალქალაქისა, ახალციხისა, ბორჩალოსი, და ამის გარდა გაბატონდა აღმოსავლეთის საქართველოს ყველა ქალაქებში. ჩვენმა სამშობლომ დაჰკარგა თითქმის მესამედი თავისი ტერიტორიისა, მიწა-წყლისა. აღმოსავლეთის საქართველო საკმაოდ შესუსტდა; მაგრამ დასავლეთის საქართველო თავისის ერთიანობით, თავისი სრული ქართველობით ღონიერი იყო დაბოლოს ხანს მისი გამჭრიახი, უნარიანი, მოხერხებული და მხნე ერი გაძლიერების გზას დაადგა. სრული იმედი იყო, რომ გაძლიერებულნი იმერნი გაჭირვებულს ამერებს მოეშველებოდნენ, ზურგს მისცემდნენ და შეერთებული ძალით დაუბრუნებდნენ ძვირფასს დანაკარგსა, როგორც თვითონ იბრუნებდნენ წინა საუკუნეებში თავისას იმერთა შემწეობით.

მაგრამ ეშმაკს როდი ეძინა. იმან მოიწადინა თვით იმერთა სამშობლოც დაენაწილებინა, დაექუცმაცებინა, მოეწყვიტა შავის ზღვის ნაპირებიდგან და დაეუძლურებინა. სახსრებიც მალევე იპოვნეს: სამეგრელოსა და სვანეთის მოწყვეტა, მოშორება საერთო ნიადაგიდგან...

რა მოელით თვით იმ მხარეებს, რომელთაც მოწყვეტას უპირებენ? ისინი იმავე სიკეთეს მოიმკიან, რა სიკეთეც მოელის ტოტებსა, ხიდგან მოჭრილებსა. დაჭკნობა და გახმობა აუცილებელი შედეგია მათის მოწყვეტისა საერთო ნიადაგიდან. ნუ ვინ მოიყვანს აქ საწინააღმდეგო საბუთად მყნობას, სხვა ხეზე შტომ შეიძლება იხაროს, მხოლოდ ახლოს ნათესავს ხეზე, მაგრამ თუ იგი ამყნეს სრულიად სხვა გვარს ხეზე, ვერც გაიზრდება და ვერც იხარებს. ნაწილი ერისა, რომელიც მოშორდა საერთო ეროვნულს ნიადაგსა, სწრაფად მიდის უკან-უკან, სუსტდება, ვეღურდება და ხდება მსხვერპლად იმ გამხრწნელი პროცესისა, რომელიც ერთმა სწავლულმა რუსეთისამ დაახასიათა ამ ტერმინით: **სისაძაგლე აოხრებისა!**

დიაღ, განცალკევება ჰლუბავს ეროვნულ ხესაც და მისგან მოშორებულს ტოტებსაც... ხოლო ღმერთს იმისთანა დიდებული არსება, როგორც არის მთელი ერი, შეუქმნია არა გადაშენებისა და დაქვეითებისათვის, არამედ წარმატებისა და ბედნიერებისათვის. ამიტომ ჩვენ ყველამ წმინდა მოვალეობად უნდა დავსახოთ მტკიცედ დაცვა და აღორძინება ქართულის **დედა-ენისა** სამეგრელოსა და სვანეთის ეკლესიაში და სკოლაში, ისეთივე მტკიცე დაცვა, როგორც მტკიცედ იცავდნენ **ამერნი, იმერნი — მეგრენი და სვანნი** — ამ ეროვნულს საუნჯეს მრავალ საუკუნის განმავლობაში, ნებითა და შეწევნითა ღვთისათა.